



μυτ



20 "ՀԵՂՈՎՐԴԻ ՀԱՆԳԻԿԵ

# ოლე

მწერალთა ასოციაცია  
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა

The Literary Magazine OLE

შურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან  
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა  
სულხან საპა

ოლე – ახოში საჩრდილობლად დატოვებული  
ხე  
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედევრი

## მთავარი რედაქტორი

აკაკი დაუშვილი

## რედაქტორები

ფარნა რაინა

ნუნუ ძამუკაშვილი

## მსამართული რედაქტორი

სოფიო ჭელიძე

მისამართი: 2200 თელავი

ერეკლე II-ის გამზირი №6

III სართული

მობ: 555 46 44 29

მწერალთა ასოციაცია

„ლიტერატურული კახეთი“

მობ: 558 48 24 80

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ  
ელექტრონული ფოსტით

E-mail: akakidau@mail.ru

შურნალ „ოლეს“ წინა ნომრების წაკითხვა  
შეგიძლიათ საქართველოს პარლამენტის  
ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე [www.nplig.gov.ge](http://www.nplig.gov.ge) — ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“  
ვებგვერდზე.

„ოლეს“ რედაქციაში შემოსული მასალა  
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

შურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მერიის (მერი ბატონი ლევან ანდრიაშვილი), თელავის მუნიციპალიტეტის საკრეპულოს (თავმჯდომარე ბატონი თენგიზ მთვარელიშვილი) მხარდაჭერით.

დაიხურდა გამომცემლობა „მერიდიანი“

გარეკანის პირველი გვერდზე გიორგი ლეონიძის  
სოსტერი. მხატვარი სოფიო ჭელიძე



№6(71), 2024

## შიდაარსი

შურნალი „ოლე“ - 20

2. მილოცვები. საქართველოს მწერალთა კავშირი, გიორგი ალადაშვილი, ლევან ანდრიაშვილი, თენგიზ მთვარელიშვილი, რევაზ მიშველაძე, დავით თედორაძე, ავთანდილ ბერიძე

დაკვირვებული



გამოისახობული სამთხვევა

მხატვრული ლიტერატურა

6. ფარნა რაინა. ლექსები

16. ელგუჯა თაპერიძე. ამომასუნთქე...  
მოთხოვთა

19. თიბეთინ თელაველი. ლექსები

22. ნინო მზესელი. სიღნაღ-აღა. მოთხოვთა

26. გიორგი გიგაური. ლექსები

28. ანი რაინაული. ორი მინიატურა

30. ნათალა ქურციკიძე. ლექსები

კრისტიანელი პოეზია

32. ელდარ ჟიჟიაშვილი. ლექსები

გავვეგისისთვის საკითხავი

37. ლევან ქაშკაშვილი. ლექსები

ვუპრუდეცით დაკაზდილს

39. ლევან სანიკიძე. 160 წლის ერისუფალი  
კვლავ ითხოვს ერის მსახურად  
მოსკოვს



გამოისახობული სამთხვევა

კრიტიკა-კუპლიცისტიკა

44. რობერ ჟიჟაძე. გურამ დოჩანაშვილი —  
ქართული სიტყვის პაპა ანუ ინტონაციური  
ოპერები გურამ დოჩანაშვილის თხზულებათა  
ენისა

45. თემო ჭახენავა. წმინდა ნინოს სახე-  
კონცეპტი ქართულ პოეზიაში

51. ზაალ ბორივოველი. ლექსი ვიყავ და  
ლექს ვწერდი

56. იამზე არველაძე-ხეცურიანი. გრიგოლ  
რობაქიძე და საქართველო

60. მარიამ ანდაურიძე. პროლეტარული  
მწერლობა და „ბედნიერი ქვეყნის მითი“



№6 2024



## შურნალ „ოლეს“ გამოქვეყნით

### კოლექტივს

ბატონებო!

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა ღრმა პატივისცემით მოგესალმებით და გილოცავთ დიდმნიშვნელოვან თარიღს თქვენი და ჩვენი უურნალის ცხოვრებაში – დაარსებოს 20 წლისთავს.

2



ოცი წელი გასულა მას შემდეგ, რაც კახთაბატონის სატახტო ქალაქში გამოსვლა დაიწყო „ოლემ“ და თავისი არსებობით დაამტკიცა, რომ მიუხედავად მირიადი დაბრკოლებისა და წინაღობისა, მის მიმართ გამოჩენილი უსამართლობისა და უსულგულობის მიუხედავად, გამონახა თავისი ნიშა თანამედროვე ქართულ სალიტერატურო პერიოდიკაში, მყარად დამკვიდრდა ქართველი მკითხველის ცნობიერებაში, როგორც ძალზე საინტერესო, ყურადსაღები ორგანო ქართული მწერლობისა, რომლის გარეშე ახლა უკვე წარმოუდგენელია დიდი, უძველესი შემოქმედებითი ტრადიციების მქონე თელავის სულიერი გინა კულტურული ცხოვრება.

ყოველივე ამას თქვენ მიაღწიეთ ყოველდღიური უმძიმესი შრომითა და რუდუნებით, იმის უმტკიცესი გააზრებით, რომ „ოლე“, სხვა ლიტერატურულ უურნალ-გაზეთებთან ერთად, ძალზე სჭირდება თქვენი საესავი სამშობლოს აწმყოს და განსაკუთრებით კი მის მომავალს, ძალზე სჭირდება ქართველ ახალგაზრდობას, რათა მან სწორად გაიაზროს, თუ რა დიდი ლიტერატურული ტრადიციების მქონე ქვეყანა ვართ, ქვეყანა, რომელიც მხარს უსწორებს ჩვენზე მრავალრიცხოვანი ქვეყნების ლიტერატურებს...

ყოველივე ამას ჩინებულად ართმევთ თავს, რისთვისაც დიდ მაღლობას და პატივისცემას იმსახურებთ ყველასგან, ვინც იცის ქართული სიტყვის ფასი, ამ სიტყვის ქურუმთა ფასი...

კვლავაც ასე, დაუღლელად, მუხლჩაუხრელად ემსახურეთ მშობელ ქვეყანას, მშობელ ხალხს, მშობლიურ მწერლობას, რათა „ოლე“ მარტოხე კი არ იყოს, არამედ საყოველთაო სიყვარულით გარემოცული უურნალი, ისეთი უურნალი, პატარა კახის ხსოვნას და თაყვანისცემას რომ ეკადრება.

უფალს ებარებოდეთ, ჩვენო ძვირფასებო!

## საქართველოს მთერალთა კავშირი

### შურნალ „ოლე“-ს გამოცემას მცნობიანი ისტორია აქვს

მსურს, ჩემი ღრმა პატივისცემა გამოვხატო ლიტერატურულ უურნალ „ოლე“-ს შემოქმედებითი გუნდის მიმართ და მოგილოცოთ უურნალის დაარსებიდან 20 წლის იუბილე.

საამაყოა, რომ ადგილობრივი ლიტერატურულ უურნალ „ოლე“-ს გამოცემას უკვე ოცნებიანი ისტორია აქვს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მკითხველი საზოგადოების ლიტერატურისადმი სიყვარულის გაღვივებისა და ცნობადობის ამაღლებისათვის.

მოხარული ვარ, რომ მერგო პატივი, უურნალის საიუბილეო თარიღზე, ჩემი გულწრფელი დამოკიდებულება გამომეხატა თითოეული იმ ადამიანის მიმართ, ვინც უდიდესი ენთუზიაზმითა და რუდუნებით დგანან ქართული სიტყვის სამსახურში და ენერგიას საზოგადოების ლიტერატურასთან დაახლოების საქმეში.

გისურვებთ წარმატებას შემოქმედებითი გუნდის თითოეულ თანამშრომელს, რომელიც ორი ათეული წელია უშურველად იღვნის და ერთგულად ემსახურება ქართული ლიტერატურული გამოცემის შექმნას. გაფასებთ და გისურვებთ მრავალი საინტერესო ინიციატივის განხორციელებას შემოქმედებით საქმიანობაში.

გიორგი ალადაშვილი

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული



## ვაგრძელების ურნალის გხარდაშერას

უურნალ „ოლეს“ შემოქმედებით გუნდს ვულოცავ საიუბილეო თარიღს. თელავის მუნიციპალიტეტის გამორჩეულ, ლიტერატურულ უურნალს, რომელსაც არაერთი ერთგული მკითხველი ჰყავს. ყოველი ნომრის გამოსვლას მუნიციპალიტეტის მასშტაბით ლიტერატურის, ისტორიისა და რელიგიის მოყვარული ასობით ადამიანი მოუთმენლად ელის.

ციფრული სამყაროს ეპოქაში, მუნიციპალიტეტის მერიისათვის მნიშვნელოვანია, რომ თელავში არსებობდეს ბეჭდური მედია. სწორედ ამიტომ, ჩვენ ვაგრძელებთ უურნალის მხარდაჭერას.

უურნალ „ოლეს“ ვუსურვებ წარმატებას და ერთგულ მკითხველთა სიმრავლეს.

### ლევან ანდრიაშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის მერი

3



### 20 წელი ლიტერატურული გამოცემისთვის მთელი ეპოქა

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელით უურნალ „ოლეს“ რედაქციას დიდი პატივისცემით გილოცავთ უურნალის დაარსებიდან 20 წლის საიუბილეო თარიღს, რომელიც ლიტერატურული გამოცემისთვის მთელი ეპოქაა.

„ყოველი ახალი მოთხოვბის წაკითხვის შემდეგ, ხდები უკეთესი, ვიდრე იყავი“, – ეს გენიალური სიტყვები გურამ დოჩანაშვილს ეკუთვნის. ლიტერატურა, მწერლობა არის კომუნიკაციის განსაკუთრებული აქტი მწერალსა და მკითხველს შორის. ის ერის ტიკივილისა თუ სიხარულის, ერთმანეთთან ჩვენი სათქმელის ჩამოყალიბების უნიკალური შესაძლებლობაა. ლიტერატურას ამავე დროს შეუცვლელი როლი აქვს მომავალი თაობების სულიერი და ინტელექტუალური განვითარების საქმეში.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ უურნალი „ოლე“ ამ მისიას ასრულებს და ამავე დროს თავისი წვლილი შეაქვს ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების საკითხში.

გისურვებთ, რომ კიდევ დიდი ხნის განმავლობაში ისმოდეს თქვენი სიტყვა.

### თემიზ მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

### ჩემთარითად, დიდი ილიას ლირსეული გთამომავლები

ძვირფასო მოეგობრებო! მოგეხსენებათ, საქართველოში ლიტერატურული პრესის მძიმე მდგომარეობა. შეიძლება, თამამად ითქვას, რომ ეგრეთნოდებულმა ფეისბუქმა შეიწყოვა, ისედაც უსასხროდ დარჩენილი ჩვენი უურნალები და გაზიერები.

ასეთ ვითარებაში, რამოდენიმე ლიტერატურული უურნალი და გაზიერები ჯერ, ისევ, ფეთქავს და ახერხებს მკითხველს ტრადიციულად მიაწოდოს თუ, რამ, ღირებული იქმნება ჩვენს მწერლობაში.

მათ შორის, უპირველესია ჩემი საყვარელი უურნალი „ოლე“, რომლის სახელოვანი გზაც განათებულია ერის სამსახურისა და მაღალი პროფესიონალიზმის შუქით.

მწერლობაში კვალის გასავლებად და მკითხველის ყურადღების მოსაპოვებლად 20 წელი ცოტა როდის.

ჩემი მოკაბლებული შექება რა მოსატანია, იმასთან შედარებით, რომ ლიტერატურულ ორგანოთა რესპუბლიკურ კონკურსზე, უკანასკნელ წლებში, „ოლემ“ ექვსჯერ გაიმარჯვა.

მიგმართავ, ჩემთვის უაღრესად ძვირფას „ოლეს“ სარედაქციო კოლექტივს და ავტორთა სახელოვან შემადგენლობას: გილოცავთ 20 წლის იუბილეს: ამ ხნის განმავლობაში, თქვენ არ-

№6 2024



აერთი, ლირსეული სახელი შემატეთ მწერლობას და დაამტკიცეთ, რომ ჭეშმარიტად, დიდი ილიას შთამომავლები ბრძანდებით. „მაგრად დევთ, მეგობრებო!“ ფეხზე ადგომით ვსვამ თქვენს სადღე-გრძელოს!..

## რევაზ მიშველაძე

რუსთაველის პრემიის ლაურეატი,  
საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავჯდომარე

4



### „ოლეს“ დიდი მისია აკისრია

მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარეს,  
ბატონ ფარნა რაინას  
უურნალ „ოლეს“ მთავარ რედაქტორს,  
ბატონ აკაკი დაუშვილს

ძვირფასო ბატონებო, მაქვს პატივი მოგილოცოთ უურნალ „ოლეს“ დაფუძნების საიუბილეო თარიღი.

„ოლეს“ დიდი მისია აკისრია ქართული მწერლობის განვითარებისა და ეროვნული ფასეულობების შენარჩუნება-აღორძინების საქმეში.

თელავი ხომ ისედაც მდიდარი ლიტერატურული ტრადიციებისა და მწიგნობრების ქალაქია. დაარსებისთანავე, უურნალი „ოლე“ გახდა ჭეშმარიტი საზოგადოებრივი და მხატვრული სიტყვის ალამდარი. ჩემი მხრივ, მადლობელი ვარ გიორგი ლეონიძისა და პრემია „ოლეს“ ლაურეატობის გამო. გულწრფელი, უკიდეგანო სიყვარულით მიყვარს კახეთი თავისი ისტორიითა და ლიტერატურული ცხოვრებით. ასე მგონია, მწერლობაში მეც აქ ავიდგი ფეხი, რამეთუ პირველად აქ ვიძეჭდებოდი, აქაურ ლიტერატურულ ცხოვრებაში ვლებულობდი მონაწილეობას. „ოლეს“ გამგეობის წევრთაგან დაძმური ურთიერთობა მქონდა ბრწყინვალე პოეტთან – ზინა სოლომინშვილთან, ხოლო უაღრესად განათლებული მწერალი და მეცნიერი, საქართველოს და, განსაკუთრებით, კახეთის ისტორიის ძირისძირამდე მცოდნე გიორგი ჯავახიშვილი ჩემი უახლოესი მეგობარი იყო.

ჩემი კახეთის და სრულიად საქართველოს საკეთილდღეოდ, უურნალ „ოლეს“ მინდა ხანგრძლივი მოღვაწეობა ვუსურვო. ხოლო იმ ადამიანებს, ვინც უურნალს სიცოცხლე შეუნარჩუნა, უპირველესად კი თქვენ, ბატონო ფარნა და ბრწყინვალე მწერალსა და რედაქტორს – აკაკი დაუშვილს, ბათუმელი მწერლების სახელით გულწრფელ მადლობას მოვახსენებ.

გაუმარჯოს უურნალ „ოლეს“!

## დავით თედორაძე

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის  
აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე,  
აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი

### გვეაგაყაგით და გვეიგედეგით!

ჩვენო ძვირფასო კოლეგებო და თანამოკალმენო, 2025 წელი დაგვიდგა, ისტორიის ურთულეს ეპოქაში გვიხდება დღეს ცხოვრება, ურთულესი ყველა გაგებით, რამდენადაც არა და არ დამშვიდ-და მშფოთვარე მსოფლიო. სისხლისა და დენისის სუნი კვლავ ტრიალებს ჩვენს ირგვლივ. მაგრამ ქართველ კაცს მაინც ყოველთვის იმედით უცხოვრია და უკეთესი მომავლის იმედით, ხმალიც არა-



სოდეს ჩაუგია ქარქაშში, თავის გადარჩენასთან ერთად საკუთარი კულტურის გადარჩენისთვისაც ძალა და ენერგია არ დაუზოგავს.

ქართველი კაცისათვის კულტურაში უპირველესად ასოცირდება ჩვენი თვითმყოფადი 15 საუკუნოვანი ეროვნული მწერლობა, რომელიც გვაიმედებს, რომ რუსთაველის, გურამიშვილის, ვაჟას, აკაკის, ილიას, გალაკტიონის და სხვათა მრავალთა შემქმნელი ერთ არასოდეს გადაშენდება. დღეს, როდესაც ბევრი თავის გადარჩენისათვის იპრდების, გადასარჩენი გვაქვს თვით ქართული ეროვნული მწერლობაც, რომელშიც თვითგადარჩენის ინსტიქტი უფრო მეტია, ვიდრე მის მიმართ ნამდვილი სახელმწიფოებრივი მიდგომა. მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც, ქართული მწერლობა ქართველი ერის სამსახურშია, რამეთუ „სულის ინჟინრებს“ ძალუძთ ადამიანების სულიერი სამყაროს გარდაქმნა, ბიძგი მისცენ – ურნმუნოთ დაანახონ, რომ თეთრი თეთრია და შავი – შავი. „ლია თვალებით ბრძებს“ აჩვენონ ჭეშმარიტების გზით მავალთა სიდიადე.

სწორედ ასეთ გზა-შარას ადგას ახლა უკვე ჭაბუკურ ასაქში შესული ჩვენი სულის მარადიული თანამგზავრი, ქართული მწერლობის ერთგული მსახური და სალიტერატურო უურნალებში ერთ-ერთი გამორჩეული, ჩვენი საყვარელი უურნალი „ოლე“, რომელსაც 20 წელი შეუსრულდა და ქართველ მკითხველთა უდიდესი სიყვარული მოიხვეჭა.

ურთულესი გზა განვლო უურნალმა „ოლემ“, ადვილი არაა დღეს, „თანამედროვე აზროვნების“ ადამიანებში, გააღვივო ის ჩამქრალი ნაღვერდალი, რომელიც თითქოს შთანთქა კომპიუტერულმა ეპოქამ და მეოთხველ საზოგადოებას ისევ იმ დოზით მიაწოდო ქართული სიტყვის მადლი და ძალა, რომელიც დღემდე მოჰყვება და დიდი ძალისხმევით შემოაბრუნო მკითხველი გაზეთის, უურნალისა თუ წიგნის სიყვარულისკენ და შენი სიტყვის მარგალიტებით დაუბრუნო ის, რაც თითქოს დაიკარგა, მაგრამ არ გამქრალა.

ამ დიდი საშვილიშვილო საქმის სამსახურშია ჩვენი საყვარელი უურნალი „ოლე“, რომელიც ტრადიციულად, ქართული სიტყვის ოსტატთა ნაღდი შემოქმედებით – პოეზიით, პროზიით, პუბლიცისტიკით იზიდავს ფართო მკითხველს და უანგაროდ დგას ქართველი ერის სამსახურში. ძნელია ჩამოთვალო ყველა ის მწერალი თუ პოეტი, რომელთა შემოქმედება ამაღლებს ამ უურნალის ავტორიტეტს, მაგრამ ერთი კი ცხადია, ბევრი მათგანი აკადემიური დონისაა და ქართულ საქმეს ემსახურებიან. ისინი კი დიდი ძალისხმევით ერთიანობაში მოჰყვავს სარედაქციო საბჭოს, რომელსაც ერთგულად უძლვებიან ჩვენი საიმედო თანამოკალმები – შესანიშნავი პროზაიკოსი აკაკი დაუშვილი, პოეტი თინათინ მრელაშვილი, პოეტი წუნუ ძამუკაშვილი, მხატვრული რედაქტორი სოფიო ჭელიძე და უბერებელი ფარნა რაინა, ნაღდი პოეტი, თელავის საპატიო მოქალაქე, მრავალი ლიტერატურული პრემიის ლაურეატი.

უურნალი „ოლე“ ერთი რიგითი, ჩვეულებრივი უურნალი რომ არაა, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსებში იგი ექვსჯერ გახდა გამარჯვებული, რაც დასტურია იმისა, რომ იგი ნამდვილი ფლაგმანია ქართულ სალიტერატურო უურნალებს შორის.

გვეამაყებით, ჩვენო „ოლელებო“, გვეამაყებით იმიტომ, რომ ჭეშმარიტ გზას ადგახართ, ქართული მწერლობის სიყვარულში იწვით და როგორც ფოლადი იწრთობა ცეცხლში, ასე შემოქმედებით წვაში ხართ და იმედია „სანთელ-საკმეველი“ თავის გზას არ დაკარგავს. თქვენთვის ოცი წელი რაა, კიდევ ბევრი 20-20 წელი მოგმატებოდეთ და მარადჟამს გეზიდოთ ეგ მძიმე, მაგრამ საპატიო ტვირთი, რომელსაც ქართული სიტყვის სამსახური ჰქვია.

**ავტორის გარე, გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორი**





ଓଡ଼ିଆ  
କବିତା

תְּבִ�ָה

ଦ୍ୱୟାପିଲାଙ୍କ ଘୃଣନ୍ତି  
ଜୀବିକାର ଜୀବିକାର  
ମାହିମାର,  
ପୁର୍ବଗ୍ରେ-ପାନ୍ଧୁନ୍ଦ୍ରବୀରୀ  
ପ୍ରାଚୀର ପ୍ରାଚୀର  
ମନ୍ଦିରର ?!..

ଶ୍ରୀପ୍ରଥମ ମନ୍ଦିରକଳ୍ପ  
ଦ୍ୱୟାପିଲାଙ୍କ ଏହିପିଲା,  
ମାହିମା,  
ଶ୍ରୀରାମ ଶ୍ରୀରାମରୀ -  
ମନ୍ଦିରର, -  
ମନ୍ଦିର...

ଓ. ৩৯৮

ମେତ୍ରୋପିଟନ୍ ଏକ ପ୍ରଦୀପିତା ହେଉଥିଲା ଏବଂ ଏକ ପ୍ରଦୀପିତା ହେଉଥିଲା

კატეგორი

მსოფლიო მტკიცა!!!

გაუსაძლისი –  
ტკივილი და..  
ნუხილი  
მახლავს,  
უცხდავ სამყაროს, –  
შულლით,  
როგორ იცვლის –  
იერსო...  
მსოფლიო მტკივა,  
ისე მტკივა,  
მზეს ვფიცავ,  
ახლა,  
ვითარ, სხეული –  
გოლგოთაზე,

15. VII. 2024

სიყვარულს ვაღმეოთებ...

დე, მოიქარგოს, –  
ყოველთვის,  
მზით – ცა,  
სიცოცხლე კენტი  
მსურს გახდეს –  
ლუწი...  
თუკი, რაიმეს,  
ვალმერთებ, –  
ვფიცავ,  
მზეს – სიყვარულის  
ვალმერთებ, –  
უწინ...

15. VII. 2024

ନ୍ୟୂଟୋର୍ ଫା...  
ନ୍ୟୁମିର୍ -  
ନ୍ୟୁଗ୍ରାନ୍ୟୁଲଶି  
ନ୍ୟୁଫା ଫାଇର୍ବାର୍କ୍‌ଗତ...

დაე, ვმიზეოთ,  
რატომ ვყოთ  
დღეთა მქუფრალი?...  
აროდეს,  
არ-რით,  
არ ვაკეთოთ –  
საქმე სახვანჯო,  
მიწაზე,  
მხოლოდ,  
ერთ სიცოცხლეს  
გვაძლევს უფალი,  
წუთიც და...  
ნამიც  
სიყვარულში  
უნდა დაგხარჯოთ...  
**3. VIII. 2024**

5. VIII. 2024

၁၆၈၁ ဇန်နဝါရီလ၏။

დაე, –  
ხალხის ხმა  
სჭერდეს ცხრა მთამდე,  
დრო აღარ მოვკლათ –  
შულლში,  
დავში...  
თუ, გვსურს გადავრჩეთ  
უნდა დამთავრდეს:  
დემოკრატიის –  
ცირკი,  
თამაში!!!!  
**13. VIII. 2024**

სიყვარული გადაგვარჩენს  
მხოლოდ...

მზედ ავანთოთ –  
გრძნობა, –  
მინავლული,  
ერი –  
შუღლმა, მტრობამ  
ვეღარ  
ქოლოს...  
გაქრობისგან გვიხსნის –  
სიყვარული,  
სიყვარული გადაგვარჩენს,  
მხოლოდ...  
**2. VIII. 2024**

ସବୁକ୍ରିମନ୍ଦ...

დასაბამიდან, –  
ლამეს ვებრძვით  
და... დღეს  
მოველტყით...  
იყო... ვაგლახიც,  
ბევრჯერ,  
მტრიბის  
გზას რომ მივნებდით...  
ვნატრობ –  
ცა-მზის ქვეშ,  
ვიყოთ მშვიდად, –  
ყველგან,  
ყოველთვის:  
სიკეთის,  
სიბრძნის,  
სიყვარულის,  
ძალმოსილებით...  
**5. VIII. 2024**

## სიურწმლე – ერის...

ადამის მოდგმას,  
ოდით,  
რამდენს დაედვა –  
მტერი, –  
თავისი თავის,  
ვინაც იყო:  
მთხრელი და...  
მტერი...  
მწერლობა გახლავთ:  
ერის სული,  
სიცოცხლე,  
სუნთქვა...  
კლავენ მას, როცა, –  
იქ მთავრდება  
სიცოცხლე –  
ერის...  
**7. XI. 2024**

## ვიზი...

ვიცი, – გაახელს  
ბევრი –  
„მე“-თი დაბინდულ  
თვალებს,  
ხვალის იმედი,  
ხვალის რწმენა  
მანიქებს –  
ხალისს...  
ერის ჭუჭყს,  
სირცხვილს,  
დრო წაიღებს –  
გვიან, თუ,  
მალე,  
დარჩება, მხოლოდ,  
ლირსება და...  
სახელი –  
ხვალის...  
**10. IX. 2024**

## რაფგან, უფლისგან – მენერა...

ლექშმი –  
მზე მიყვარს, –  
ათასჯერ,  
ვიდრე, უოლი და...  
კენერა,\*  
სიბრძნე –  
ნაქსოვი, ნაქარგი,  
აზრი, მუსიკა,  
ფერწერა...  
ჩემი სიცოცხლის  
დღეები –

სიკუდილმა ვერ-რით  
შეწვერა,  
რადგან, უფლისგან –  
მენერა,  
რომ... მზელექსები – მენერა...  
**14. XI. 2024**

\*მთის ხილი

## პირველი \*...

უფლისთვის,  
სანთლის,  
ვინ რა გულით  
არის –  
მწირველი?..  
ავით, თუ, კარგით, –  
ფიქრით... მიზნით,  
ვინ, რით  
ივსების?!..  
დასაპამიდან  
ვის, რით უნდა  
იყოს –  
პირველი?! –  
ფულით და... ძალით,  
თუ –  
ცოდნით და...  
განძით, –  
ლირსების?!..  
**V1. VIII. 2024**

\*ჩემი გადმისახედდან, – სტალინის ეპო-  
ქაში, როგორც ალგვზარდეს, პირველობის  
მარათონი იყო – ადამინობის, ლირსებისა  
და ცოდნისათვის, ხოლო, XX საუკუნის  
მეორე ნახევრისა და XXI საუკუნისათ-  
ვის: ძალისა და... ფულისათვის... ამიტომ,  
დღეს, ჩვენს პლანეტაზე ომია: ლირსების,  
ძალისა და... ფულის.

## ამ, წა-მზეს ვფირვ!

ამ, ცა-მზეს ვფიცავ,  
დაო და  
ძამი,  
ამ, გულს და...  
თვალებს, –  
ტკივილით  
ნამულს,  
ჩემი სიცოცხლის –  
ყოველი  
ნამი  
ეპუთვნის:  
ჯვარცმულ  
და... ნაგვეზ –  
მამულს!..  
**4. VIII. 2024**



## ჰარნა რაინა

### მგოსანი თუ, ხარ...

სათქმელი  
დაე, სხიოდეს –  
მზისებრ,  
რომ...  
ლექსი ჰგავდეს –  
რიურაჟის  
ლოდინს...  
მგოსანი თუ, ხარ,  
თქვა უნდა, –  
ისე,  
ჟრუანტელს გრძნობდეს:  
ქვაცა და...  
ლოდიც...  
**20. VIII. 2024**

### ტკივილი გულზე –

### ფიქრის ფიქრზე

მაშლის,  
ჯუნგლ-ჯოჯოხეთი  
ვითარ ვთქვა –  
მოცვად?!..  
ქვეყანა მწერალს  
ზურგს აქცევს,  
მაშინ,  
აღარ სჭირდება –  
ლირსება, –  
როცა...  
**5. X. 2010**





## რაჭომ?!

შემოქმედი  
დრომ რად  
რიყოს?...  
უკარგავდეს –  
გზას და...  
შუკას?!...  
და... მწერლობაც  
რატომ  
იყოს:  
როგორც –  
„ლებედ,  
რაკ და შჩუკა?!”  
**25. V. 2024**

## მიყვანს...

მიყვარს:  
ტრფიალით  
გულებს, როცა –  
ედება ალი...  
და...  
სიყვარულის სიდიადე  
მზეობს და...  
უფლობს...  
მიყვარს:  
სხეულის სილამაზით  
შემკული ქალი...  
სულით ლამაზი  
მიყვარს უფრო, –  
ათასჯერ  
უფრო:  
**23. X. 2024**

## მე – სიყვარულთან დავმარტოდი, – მხოლოდ...

მზემდე –  
ლამეთა უკუნი  
ავჭერ...  
და... დროს,  
რომც სურდეს,  
ვერაფრით  
მქოლოს...  
გამარჯვებული  
სიკვდილთან, –  
ასჯერ,  
მე –  
სიყვარულთან  
დავმარცხდი, –  
მხოლოდ...  
**5. XI. 2024**

## უნინ და... უფრო...

„სიყვარულო ძალსა შენსა  
ვინ არს რომე არ გმონებდეს”...  
გრიგოლ ორბელიანი  
ხომ, ძნელი არის –  
მწველი ფიქრი,  
ტკივილი,  
ურვა...  
უძნელესია:  
გულში სევდა,  
როდესაც –  
უფლობს...  
ასგზის  
ათასგზის მეცოდება,  
საერთოდ,  
თუ, რამ,  
გაუმხელელი  
სიყვარული, –  
უნინ და...  
უფრო...  
**5. IX. 2024**

## რაფ გვავინუფლერა?!

ვინც გაგვიკვალა –  
გზა და...  
დრო, – კალმით,  
ვისითაც,  
ერის ლამე –  
ილია,  
რად გვავინუდება,  
რომ... ჩვენ –  
მოვკალით:  
ის მზე... და...  
ბრძენთაბრძენი –  
ილია...  
**2. IX. 2024**

## უნდა იწოდეს!..

სიცრუით, –  
ყველა მოიტეხს  
კისერს,  
ვერავინ ივლის  
სიცრუით –  
წალმა...  
სიმართლე საქმეს  
ამშვენებს  
ისე,  
ვარდები, ვითარ –

ფრთებგაშლილ  
ბალნარს...

P.S.  
სიცრუე, რომ ჰგავს –  
სიბნელეს, –  
ელამს,  
უნდა სწამდეს და...  
იცოდეს –  
ყველამ!..  
**7. IX. 2024**

## როდესაც – ვმზეორთ...

სიხარულს ერი,  
აროდეს –  
ილევს, –  
ვმზეობთ, როდესაც  
არ ვგავართ –  
ობლებს...  
მზემშობლები ჰყავთ,  
როდესაც –  
შვილებს,  
მზეშეიღები ჰყავთ  
როდესაც –  
მშობლებს...

P.S.  
ლირსება თვალებს  
მზედ, როცა –  
ახელს,  
ანათებს... ამკობს:  
სახელი –  
სახელს...  
**8. IX. 2024**

## უნინარეს...

სიკეთე ხოა, –  
გზავნის, როცა –  
სიმართლის ცა ნამს,  
რად?!... რატომ ვცოდავთ?!  
უკადრებელს  
მართალს, რომ –  
ვკადრებთ?!..  
სხვაში დავინუებთ –  
მზესიმართლის  
ძიებას,  
სანამ,  
ჩვენში ვეძიოთ, –  
უნინარეს,  
უფრო და...  
ადრე...  
**1. IX. 2024**



**მჭერი, — უმჭრესი!!!..**

უფლის ღალადი  
უბირს ვერ ეშის,  
სიმშვიდე,  
შვება:  
გულთა... და სულთა...  
უბოროტესი,  
უპირველესი —  
ძალმომრეობა  
ველარ დასრულდა!!!..  
P.S.  
ძალმომრეობა არის —  
სულ, სტრესი, —  
კაცობრიობის მტერი, —  
უმტრესი!!!..  
**31. VIII. 2024**

**ვაგლახ, —**  
**გამრავლება!..**

ვინ —  
ფულს იყენებს:  
ძალის,  
ქიშპის,  
სიავის ფონად,  
ფულით —  
ზეიმობს,  
ზეობს,  
ზევსობს  
რამდენი ცეტი?!..  
ვაგლახ!... გამრავლდა:  
ფულის,  
განძის,  
სიმდიდრის მონა, —  
არ გააჩნია, ვისაც —  
გულის,  
და... სულის წვეთიც...  
**30. VIII. 2024**

**ვაგლახ!..**

ვაგლახ! —  
ვარდი, რომ...  
იქცევა —  
ბალბად,  
და... სიყვარული  
გახდება —  
ქაცვი...  
ჯოჯოხეთს, ვითარ,  
თავს იგრძნობს, —

ალბათ,  
ძველ ცოდვებში, რომ...  
ტრიალებს —  
კაცი...  
**19. VIII. 2024**

**უფრორე, მეტად...**

უფრორე, მეტად, —  
შინა ომით,  
მოვიტეზთ —  
კისერს...  
არავინ იცის, —  
უარესი,  
როდის, რა —  
გველის?!.  
მე —  
გარე მტერი  
არ მარისხებს, —  
მზეს ვფიცავ,  
ისე,

ვით, შინა მტერი,  
ვით, უბეში  
ჩასმული —  
გველი...  
**7. VI. 2024**

**ხომ, უნდა,**  
**ვფიქრობდეთ?!..**

მოვდივართ,  
ჩვენს კალოს  
მოვლენავთ,  
არ ვიცით —  
ხვალ,  
ვინ, რას  
მოველით...  
ხომ, უნდა,  
ვფიქრობდეთ, —  
ყოველ წამს,  
არ ვიყოთ:  
ორფესა —  
ცხოველი...  
**3. XI. 2024**

**ფრთ —**  
**ყოფნა-არყოფნის**  
**დღეს ცდილობს,**  
**რამდენი —**  
**მოირგოს დახლი სად?..**

ვინც უმზერს  
ქვეყნის ბედს —  
პირადი  
სარგებლით...  
სულაც არ ანალვებთ —  
ტკივილი ხალხისა,  
სურთ: ვიყოთ სუყველა  
ვითარცა —  
თხა — მგლები...

P.S.  
დრო დადგა —  
გულ-გონის  
სიცივის,  
ქარ-წვიმის,  
დრო —  
ყოფნა-არყოფნის:  
დაგვჩხავის,  
დაგვწივის...  
**2. XI. 2024**

**მთავარზე**  
**მთავარი...**

რამდენის სიცოცხლეს  
დრო ჩათვლის —  
იარად, —  
გაქრება —  
ამაო დიდების  
თალარი...  
ცოცხალს რომ ამკობენ,  
ის აზრი  
კი არა,  
მერე, რომ... იტყვიან,  
ის არის —  
მთავარი...  
**9. VIII. 2024**

**როდემდე?!..**

ხალხური სიუჟეტის  
ინტერპრეტაცია

როდემდე, ომის —  
საარი?! —  
შარ-შუღლმა  
გადაგვიყოლა...  
ჩვენი სიცოცხლე  
რა არი?! —  
იყო... და...  
არა-იყო, რა...  
**6. IX. 2024**





## ახალი საუკუნე...

ამ საუკუნის  
აღმართს –  
მივდევთ...  
და... დროშებს –  
ვაქნევთ...  
ლაპარაკია –  
წალმა,  
ხოლო, უკულმა –  
საქმე...  
**4. IX. 2024**

## მირაჟი...

რამდენი, –  
ტყვე იყო –  
ცრუ ფიქრთა,  
ცრუ ფასთა,  
კალმების –  
ვაზების მირობში  
ნაწებით...  
რამდენმა, –  
სიცოცხლე დახარჯა –  
სუფრასთან:  
ჭიქებით,  
ჯამებით...  
და... ჯიხვის  
ყანწებით\*...  
**16. VIII. 2024**

\*რამდენი კალმოსანი სმაში ბაძავდა გალა-  
აკტიონს „სმა გენიალურობის ნიშანია“  
და... სამწუხაროდ, მალე მოისწრაფა სი-  
ცოცხლე, ბოლომდე დაუყვავილებელი  
შემოქმედებით...

## სიკვდილ-სიკორწლე – ნარცისულით...

სამს იყო: ყოფნის –  
მისანი,  
მოგვი,  
ძნელია ჯვარცმა,  
ალმურის  
დება...  
ბედნიერია წარსულით, –  
ზოგი,  
რამდენი, ბევრჯერ,  
წარსულით –  
კვდება...  
**5. VIII. 2024**

## ათეურ საკოჩი...

მზეობს წინაპართ  
მზე, – ჯერაც,  
მათი სახელის –  
დარია...  
„ათას ცოცხალსა,  
ბევრჯერა,  
ათჯერ სჯობს –  
ერთი, –  
მკვდარია“...\*  
**31. X. 2024**

\*ვაჟა-ფშაველა

## ევროპარლამენტის უნდა – სტალინი!..

გულზე მომედვა  
ფიქრი –  
ამკლები...  
დამწვდა და  
დამცა,  
დამწვა,  
ალივით...  
რომ არ ვთქვა –  
მეტი...  
და... არც –  
ნაკლები,  
ევროპარლამენტის  
უნდა –  
სტალინი!..\*

**11. V. 2024**

\*2024 წლის 18 აპრილს სააკაშვილმა ევ-  
როსასამართლოს წერილი გაუგზავნა: „მე,  
უკვე, კარგად ვარ, ჩემს ჯამრთელობას  
საფრთხე აღარ ემუქრება და სარჩელს  
გაუქმებო...“  
ერთი კვირის თავზე კი, 2024 წლის 25  
აპრილს 425 ევროდებულტატი იღებს  
რეზოლუციას და საქართველოს ხელისუ-  
ფლებს მოუწოდებს – სააკაშვილი გაათა-  
ვს უფლეო პატიმრობიდან და...საზღვარ-  
გარეთ გაუშვით, – სამკურნალოდ (?!)  
რა გამაოგნებელი საოცრებაა?!

## ეიფორია...

გაქრობის, როცა,  
გვიტევს –  
იარა,  
განცხრომა  
ვისთვის –  
ბნელი ფონია?!.  
ერის სიცოცხლის

განცდა  
კი არა,  
აქვს:  
ფულის, განძის –  
ეიფორია...  
**6. VII. 2024**

## საზოგადოები...

სიცოცხლე მე მწამს,  
არის, როცა –  
სიკეთით  
სადა...  
მაგრამ... რა გითხრა –  
ყოფნავ,  
ჯვარცმით  
ნალასლასებო?!.  
სიმართლეს...  
სინდის...  
და...  
სიყვარულს მარხავენ,  
სადაც,  
იქ, ქართველობა  
და... ქვეყანაც –  
აღარ არსებობს...  
**21. VII. 2012**

## სინაზული...

საოცარია, ზოგჯერ,  
ჩვენი ბედის –  
ტრიალი, –  
დღეს, –  
ვის სჭირდება –  
მზედ ასწიო  
სიბრძნის  
აღამი?!.  
გამოესულიყავ –  
რაგბისტი და...  
რაგბის –  
ტრიუალი,  
რად?!.  
რად მხიბლავდა:  
შოთასი და...  
ვაჟას –  
კალამი?!.  
**9. V. 2024**

## ასგზის – ფხიზლად !!!.

გაფრთხილება  
არ დავკარგოთ –



ეს სამოთხე, –  
ნატვრისთვალი,  
ვინ არ გვისევს –  
უჩინმაჩინ  
აგენტურას?!  
ასგზის – ფხიზლად! –  
ასი – ყური!..  
ასი – თვალი! –  
ამდენ – მელას,  
ამდენ – მგელს და...  
ამდენ – ტურას!!!..  
**5. VIII. 2024**

### ჭვრეჭა...

დროც და... ეპოქაც  
ხდება, როცა –  
ფუტურო,  
თარსი,  
წარსულს ბარდება, როცა –  
განძი, –  
მზენიჭის შნოთა,  
აზრმა და სიბრძნემ  
დღეს დაკარგა  
კუთვნილი  
ფასი,  
ინატრებდაო, –  
სპორტსმენის ბედს –  
დიადი შოთაც...  
**26. VIII. 2024**

### სოფოზლევ ლირს კი?!

შავი აქციით,  
ავ ქარს ველოდით,  
ამ, ავი, შავი ქარით –  
გული თრთის...  
გავათენოთოთ:  
საქართველოსთვის?!.  
და... ათენებდნენ –  
შავი  
ფულისთვის...

P.S.  
და... განა, ერთხელ?  
ვამბობ –  
ათასჯერ  
ეს, ხომ, ცირკია?!..  
ათასჯერ –  
ცირკი?!.  
რომ... აოცებენ –  
მზეს და...

ცათა ჭერს,  
ასეთ ყოფაში, –  
სიცოცხლეც –  
ლირს კი?!.  
**14. V. 2024**

ვფიცა, –  
არ მიყვარს,  
არ მნამს!!!..  
**5. VIII. 2024**

ვამბობ:  
მზესიპრძნით, –  
მოგვის,  
მისთვის –  
არ გავხსნი  
წამნამს...  
ვფიცა,  
კონკურსი, –  
ზოგი:  
არ მიყვარს,  
არ მსურს,  
არ მნამს!!!..  
**2022**

ფიქრები...  
ხან, –  
ფრთებს შლის  
სევდის არია,  
მომიტაცებენ –  
ფიქრები...  
იყვნენ... და...  
ალარ არიან...  
ჩვენც, –  
ვართ... და...  
ალარ –  
ვიქნებით...  
**28. VII. 2024**

### შეგონება...

როგორ მოვითხოთ  
აზრი იმათ,  
ქვა, ვინაც –  
ხარშეს,  
ხომ, იყო, ისეც,  
მამულს ბედი –  
ჩვენ,  
თვითონ  
ვუწვით?!..  
წვრთნა და... რეჟიმი

თუკი, არ აქვს –  
ჯარსა და...  
ბავშვებს,  
დალუპულია –  
ის ქვეყანა, –  
ყველაზე  
უწინ...  
**30. VII. 2024**

ფართი...

ვმზევდები, –  
გულში  
დარდი, რომ...  
გამცრის,  
რომ... მაქვს –  
გრძნობა... და...  
არა ვარ –  
ღოლო...  
უტკივილო და...  
უდარდო კაცი –  
ქვა არის რიყის...  
და... ღოლი, –  
მხოლოდ...

P.S.  
დარდი მაქვს, დარდი –  
ქვეყნის და...  
ხალხის,  
სიცოცხლეც ჩვენი,  
რომ არის –  
მოკლე...  
უდარდელებმა  
ჩაგვაცვეს –  
თალხი,  
ბედნიერება –  
ანამეს,  
მოკლეს...  
**24. VIII. 2024**

### უნინარეს...

ვცდილობთ, რომ...  
გვექნდეს –  
ამ, ცა-მზის ქვეშ,  
ბედი, –  
კრიალა...  
მაგრამ...  
დრო, ზოგჯერ,  
სიავით და...  
ბნედით გვერევა...  
მე, თუ, მკითხავენ, –  
ტახტი,  
ჩინი,





ფული  
კი არა,  
ლირსება არის –  
უნინარეს,  
ბედნიერება...  
**23. VIII. 2024**

*აუ, რა?!*

რა, ია ხარ?!..  
რა – ვარდი?!..  
რა – მზე?!..  
რა – ცა?!..  
აუ, რა?!..  
სულის... გულის –  
ლაქვარდი,  
სასწაული, –  
აურა!..  
**5. IX. 2024**

*სურვილი...*

არა მწამს:  
ცრუ მზე,  
ცრუ დრო,  
ცრუ პალმა,  
არა მწამს:  
წამიც –  
სულის სახვანჯო...  
სიცოცხლე  
ერთი მომცა –  
უფალმა,  
სულ, –  
სიყვარულში,  
მინდა დავხარჯო...  
**28. VIII. 2024**

*ხომ, ხდება ისეე?*

რომ, არ დადგესო  
დრო –  
უნდო და...  
დრო –  
სულთა ხუთვის,  
რომ, არ იყოსო:  
სიტყვაც, საქმეც –  
ალთას,  
ბალთასი,  
ერთის აზრს სჯობსო –  
ორის,  
ხოლო,  
თხისას – ხუთის,

ხომ, ხდება ისეც,  
რომ...  
ერთის სჯობს,  
ზოგჯერ,  
ათასის?!..  
**8. XI. 2024**

*არჩევანი...*

რისხვით ვინთები,  
რომ, არა ვთქვა,  
ძალა არ მყოფნის,  
ვერ ვიტან ღალატს, –  
გულთან ვინაც  
ცეცხლი მოყარეს...  
არჩევანია, როცა –  
ერის  
ყოფნა-არყოფნის,  
ჩანს: უკეთ, ცხადად, –  
ვინ – მტერია  
და...  
ვინ – მოყვარე...  
**9. XI. 2024**

ქაჯს და...  
უმაღურ ქართველს,  
ზოგჯერ, –  
სიცოცხლეს აჩუქებ,  
ვისაც,  
სწორედ, ის –  
მზეს და...  
სიცოცხლეს გართმევს...  
**8. X. 2024**

*დემოკრატია...*

მოვწივი... მოვთქვამ –  
მკვნესარი,  
აქეთ – ცხვრებს უკვირს,  
იქით-თხებს...  
დემოკრატია  
ეს არი:  
მხოლოდ, –  
წერე და...  
იკითხე...  
**3. X. 2024**

*არა ხარ –*

*მარტო...*

ცხოვრება, ზოგჯერ,  
ვის რიყავს, –  
რამდე?!..  
და...  
მაშინ, ვისთვის,  
მაისიც –  
მარტობს...  
მარტო ჰელიხარ –  
ცამზის ქვეშ,  
რამდენს?!..  
მაგრამ... ხომ, ვიცი  
არა ხარ –  
მარტო...  
**1. X. 2024**

*მუხრანულად...*

მიყვარს, თუ, –  
გზნებას მოსტაცებ –  
ვისმე,  
რომ...  
სიტყვის ცეცხლი  
სატრიქონში ჩადო...  
მიყვარს, თუ, –  
შენს ხმას  
ლოდიც კი –  
ისმენს...  
და... მზედ ატყორცნი  
მამულის ჯადოს\*...  
**3. VIII. 2024**

\*ერთ-ერთი ვარიანტით, – სიკეთის თილ-ისმას...

*ვერ ვიტან:*  
*ქაჭა და...*  
*უმაფურ ქართველს*

რამდენს აქვს გული –  
უგრძნობი, –  
ქვისა,  
ვერ ვიტან –

*როგორს, პეტეფი –*  
*გაფრენილ*  
*ყანჩას...*

წარსულზე ფიქრი  
და... დარდი  
მახლავს, –  
თითქოს, იქ,  
რაღაც, ძვირფასი



დამრჩა...  
ჩემს სიჭაბუკეს  
მივტირი, –  
ახლა,  
როგორც, პეტეფი –  
გაფრენილ  
ყანჩას...

უგულო  
ლოდებსაც...  
დღეს, ვხედავ,  
ზოგისთვის –  
ლხინია... ზეიმი, –  
ქართული მწერლობა  
სულს ღაფავს,  
როდესაც...  
**10. XI. 2010**

სულს და გულს –  
დაშლის...  
სიკვდილი სიტყვით –  
ძნელია, –  
უფრო,  
სიკვდილი, ვიდრე –  
ტყვეით და...  
დაშნით...  
**12. XI. 2024**

ვერ ვწერები,  
ვერ ვენდე,  
ვერადფოროს –  
ვერ ვიჭან!..

დავლოცავ, –  
ვინაც თქეა:  
„ინ ვინო  
ვერიტას“\*...  
დაჭრილ სულს  
დაჭრილ გულს  
ვერაფრით  
ვამთელებ...  
ვერ ვცხრები,  
ვერ ვენდე,  
ვერასდროს –  
ვერ ვიტან:  
„პეტიონ“ –  
საქმეს და...  
„პეტიონ“ ქართველებს!..  
**8. XI. 2024**

\*(ლათ.) ლვინოშია  
ჭეშმარიტება

კუჟარია...

ჩვენმა გოგომ, –  
კესარიამ:  
ის – არია,  
ეს – არია...  
ვისი გულის  
კვნესა რია?!..  
ვის უმდერა –  
ეს არია?!..  
**2. X. 2024**

ფოროს ვნაჭორ...

სტრიქონები პოეტური  
არქივიდან

დროს ვნატრობ,  
როდესაც –  
სიმართლის მზე ივლის...  
და... გული ექნებათ –

საით მიღის სამყარო?!.  
საით მიდის  
სამყარო –  
შარით, შუღლით, –  
ნეტავი?!

აირია პლანეტა, –  
მოლიკლიკო თავნებით...  
ზოგი –  
ქარაფშუტაა,  
ზოგი – რკნის  
მკვნეტავი, –  
პოლიტიკოსები და...  
პოლიტიკომანები...  
**4. XI. 2024**

ჰვრეჭა...

როცა, –  
ჯვარცმული მგოსნისაგან,  
მიიღებს  
ცა – ვალს,  
და... კვალს დავტოვებ, –  
სხივჩაუმქრალს,  
ალალი  
მზისებრ,  
როგორც წავიდნენ –  
შორზე შორეთს,  
მეც, ისე,  
წავალ,  
არ გაჩერდება დედამიწა, –  
იბრუნებს,  
ისევ...  
**7. IX. 2024**  
**10. IX. 2010**

სიკვდილი –  
სიჭუპით...

რამდენი –  
ენის შხამ-გესლით  
ქუფრობს?!  
მზესავით ნათელ

ნინილი –  
გველის...

დამემოწმებით –  
ათასჯერ ათნო,  
ვინ იცის,  
კიდევ,  
რა ჯვარცმა  
გველის?!.  
გვეგონა, ვინაც –  
ღმერთივით სათნო,  
ყოფილა, თურმე,  
ნინილი –  
გველის...  
**25. VIII. 2008**

აფაშიანად  
არ ვოვლი...

მზეს ვფიცავ –  
მარად  
მართლის, –  
სიმართლე ფოლადს  
ალტობს...  
ადამიანად  
არ ვთვლი,  
ვინც –  
თავზე ფიქრობს, –  
მარტო...  
**2. XI. 2024**

განწლა...

მესევა, მიჯრით,  
ფიქრები –  
მქისე,  
ტკივილი  
გულზე მიკიდებს –  
ალებს...  
დროც –  
მირბის...  
მიქრის...  
მიფრინავს, –





ისე,  
მგონია, –  
მალე დავხუჭავ –  
თვალებს...

PS.  
ყოველ წამს  
თან მდევს –  
მამულის განცდა,  
და...  
დარდის ცეცხლი  
ვეღარ-რით გამცდა...  
**10. IX. 2024**

**ძნელზე ძნელი...**

და...

**უძნელესიერი...**

დრო მოდის, როცა –  
გარდასახვის,  
ფიქრს  
გულზე მესევრის,  
ეს, – ფიქრი... განცდა...  
და... ტკივილი  
შეძრავს –  
ლოდებსაც...  
თუ, რამ, ყოფილა –  
ძნელზე –  
ძნელი...  
და...  
უძნელესიც,  
ვუახლოვდები –  
მარად წასვლის ფინიშს, –  
როდესაც...  
**9. IX. 2024**

**უუწინარესი...**

ვინ –  
გარედან, თუ,  
შიგნიდან  
გვძიგნის...  
და... აქვთ:  
ზეიმი –  
სიმღერაც... დავლაც...  
უუწინარეს ვიცოდეთ  
შიგნით,  
გაწმენდა უნდა –  
ავგიას თავლას...\*  
**3. IX. 2024**

\*პერძნული მითოლოგით, ელადის (პელო-პონესის) მეფის, – მზის ღმერთ ჰელიოსის ძის, – ავგიას ვეება თავლა, 30 წლის მანძილზე გასაწმენდი და გასასუფთავებელი იყო. ჰერაკლემ მდინარეების – ალფეოსისა

და პერძის წყლების მიშვებით, ერთ დღეში გაწმინდა...

**შეგონება...**

მზეობისათვის –  
უფალიც  
მირონს გვცხებს,  
რად გვინდა –  
წამიც კი,  
ბნელი და...  
სახვანჯო?!..  
მეობისათვის –  
ფიქრიც და...  
სიცოცხლეც  
მზეობისათვის სჯობია –  
დახარჯო...  
**9. IX. 2024**

**მწამს...**

თითქოს, –  
მზე ქრება,  
თითქოს, –  
მზისებრ,  
ალარ ანათებს,  
თითქოს, –  
ჩვენ გვეპრძვის:  
ყველა ქავი,  
ყველა მრისხვალი,  
ვიცი, –  
დრო გასცემს,  
დრო წალეკავს:  
მზაკვრებს...  
ჯალათებს...  
მწამს, –  
განუსჯელი  
არ დარჩება –  
ერთი მისხალიც...  
**22. V. 2024**

**ლექსი...**

დრო არის, როცა –  
ბნედის,  
ზოგის –  
ნახშირიც ბროლობს,  
ლექსით ვიშუშებ:  
წყენას,  
ტკივილს,  
დარდს და...  
იარებს...  
ლექსია ჩემი –  
მზის,

სიცოცხლის:  
თავიც და... ბოლოც,  
ლექსით –  
სიკეთის,  
სიყვარულის წრეზე  
ვტრიალებ...  
**23. VII. 2024**

**ახალი ეპოქა\***

დრო მოდის, –  
ნუთუ,  
სიცოცხლის და...  
რწმენის –  
მსახვრალი?!.  
სული და გული  
და... გონებაც  
ჭუჭყით –  
ივსება...  
ეპოქა დგება, რაიც:  
მიზნით  
ყოფნით –  
ახალი,  
ფულმა შეჭამა  
ამ პლანეტის –  
სახეც, ლირსებაც...  
**21. VIII. 2024**

\* „ეს ეპოქა, უკვ, მეზიზლება და მაწუხებს, ყველაფერი ყალბია, მხოლოდ ფულს ანიჭებენ მნიშვნელობას“...  
ალენ დელონი, – ლეგენდარული ფრანგი კინო მსახიობი

**სიმართლე...**

ილიასებურად  
ამას ვქადაგებ,  
ამას ვამბობ,- – მუდამ,  
ყველგანა, –  
უსამართლობა ღუპავს, –  
ოდით,  
ყველაფერს,  
ყველას...  
უსამართლობა ღუპავს,  
აქრობს –  
ხალხს და...  
ქვეყანას,  
სიმართლე – მზეა...  
და... მზესავით,  
სიცოცხლედ  
ელავს...  
**27. VIII. 2024**



ისევ, საოქარზეფარ  
საოქარი...

რა, ბევრი ურევს –  
მწუხრისა და...  
სალოც არიას?!..  
და... უღმერთობას  
უგულოთა,  
როგორ მოვნებდით?..  
მთელ პლანეტაზე, –  
საოცარზეც,  
საოცარია,  
როგორ მომრავლდნენ  
ტახტისა და...  
ფულის მონები...  
**10. VIII. 2024**

დიოგენე ჴინოველს\*.

მარადის მინდა, რომ –  
ვარდები  
ვაყარო,  
ვინც არის:  
ლირსების, სიკეთის  
მზით დარი...  
და... ვინაც –  
ამშვენებს,  
ასხიერებს სამყაროს:  
ყველაზე – ღარიბი, –  
ყველაზე – მდიდარი...  
**18. XI. 2024**

\*(ძვ.ნ.404-3236.) ფილოსოფოსი, ალექსან-  
დრე მაკედონელის აღმზრდელი, მასნავ-  
ლებელი, რომელიც კასრში ცხოვრობდა...

ალარქ  
ჴინოველს ალარ  
აქვს –  
ფასი...

ლირსებას, როცა –  
დახლზე ვდებთ –  
ბაზრის,  
დრო ხდება არსით:  
თარსი და...  
ფარსი...  
ფასია ჩალის –  
სიბრძნეც და  
აზრიც,  
ალარც სიცოცხლეს  
ალარ აქვს –  
ფასი...  
**17. X. 2024**

თუკი, რამ,  
მიყვარს...

დრო მსაჯულია, –  
დასაბამით,  
ნასაშლელს –  
ნაშლის...  
რა დიადია,  
ვინც სიცოცხლეს  
ლირსებით  
მიშევა...  
რაიც კი მზეობს, –  
სიდიადით –  
მინაზეც,  
ცაშიც,  
ლირსება მიყვარს, –  
უნინარეს,  
თუკი, რამ,  
მიყვარს...  
**10. XI. 2024**

ვიურთ... რამდენი?!

დასაბამიდან, –  
ვიცით... რამდენი?!..  
ტახტზე –  
ბრიყვიც და...  
შტერიც ასულა...  
სისხლ-ცრემლის  
ცოცხლად კვდება –  
დამდენი,  
ტახტს, როცა აქცევს:  
მტვრად... და...  
ნარსულად...  
**17. XI. 2024**

შედნიერება...

წლებს გალევ, როცა, –  
ვით, ნათლის –  
სვეტი,  
და... საქმე შენი,  
შენვე, რომ –  
გლოცავს,  
ბედნიერება რა არის –  
მეტი? –  
სიკეთე ძალგიძს –  
სხვებისთვის, –  
როცა...  
**12. VIII. 2024**

მზექაროველი...

მზექაროველს  
ვერ კლავს  
დროის –  
ისარი,  
დამიდასტურებს –  
კირცხიც\*  
კიკეთიც,\*\*  
ნალდი ქართველი,  
ვფიცავ,  
ის არი,  
მამულს ჰქონებს ნათელს  
ვინაც, –  
სიკეთით...  
**10. X. 2024**

\*სოფელი ჩხოროწყუს რაიონში.  
\*\* სოფელი გარდაბნის რაიონში.

მიყვარს...

მიყვარს  
სულიც და გულიც –  
კრიალა, –  
მზიური განცდით  
ვინაც –  
ივსების...  
ვინაც –  
სიმდიდრით, განძით  
კი არა,  
არის ნეტარი –  
სიბრძნით,  
ლირსებით...  
**18. XI. 2024**

საიდან ნეტავ?!

საიდან, ნეტავ?!

ნამინამ, ვფიქრობ, –  
სიცოცხლეს ვიქრობ...  
ამ, ნენვა-შულლით,  
ხვალ –  
რაღა გველის?!..  
(რამდენი ბნელი  
მზის ნათელს კეტავს?!)  
უფლის მინაზე –  
საიდან, ნეტავ?! –  
ამდენი – მგელი?!..  
ამდენი – გველი?!

P.S.  
საიდან, ნეტავ?!.  
საიდან, ნეტავ?!.  
**11. XI. 2024**



## ელგუჯა თავპერიძე

16



მარტინ ბარათავაშვილი

თავპერიძე

— შენ რა მითხარი, რჩნაირი ტყე გავაშენო? — ნათერვაძის გამეორებრი მომზოვა.

- შერწყმი-მეთქი!
- ხომ მომებარები?
- ან, რას ვიზამ! ვიყიფოთ მუქის, რეზილის, ფიჭვის, ნაძვის თესლი, მიმინოენი მხურზე კი არ დავგეპოთ, ვასნულოთ, როგორ ნაილონ ნისკარტით ხეების თესლი ის აფეილებში, საფარ ტყის გაშენება გვინდა, მიფრინდებინ, ჩამოყრიან, თესლის მარწვლური ჩაწივდება მიწაში, ზოგი გაიხარებს, ზოგი — ცურა. წოდება რომ გაიხაროს, ერთ ოჯახთ ნელინაფში მაინჯ კასტელია ტყე იქნება.

ე. თავპერიძე

### ამომას უნთქ... ეძღვნება მაგარ ბიჭს — აკას

სახლში ზევით ასასვლელი დახვეული კიბე გვაქვს, ისე დახვეული, რომ ასვლისას უფროსებიც სახელურს ვეჭიდებით, აკამ უამისოდ მოინდომა ასვლა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ სახელურზე თავის დაუმაგრებლად არაფერი გამოიუვიდიდა.

ავიდა ერთხელ, მეორედ, მეორედ, ადის, ჩამოდის, არ ჩერდება. დაუშლი, უფრო მეტჯერ ავა-ჩამოვა. ხერხს მიემართე, მოდი, კისერზე შემოგიჯენ-მეთქი. გაეხარდა.

კისერზე შემოსუბულმა მხედარივით დაჭყივლა, ფეხები მეტრდზე მომიბაგუნა.

— ალარასდროს შემოგიჯენ კისერზე! — დავემუქრე.

ჩანწარდა, მაგრამ მაინც ვერ მოისვენა, თუ ონავრობს, ბეჭნიერია, თუ არა და — ქვეყნიერებაზე შემომწყრალი. თავზე დამხედა:

- თმები რატომ არა გაქვს?!
- გამცვივდა... — სინანული გავურიებმაში.
- რატომ გაგცვივდა?
- რა ვიცი, კი გამცვივდა და! — უფრო დავსევდიანდი.
- ქარში უქუდოდ დადიოდი? — ყველაფრის მცოდნის ხმით მეითხა.

- ხო! — მოვისაწყლე თავი.
- ქარს მე გავჩერებ.
- რას გაჩერებ? — შევჩევიფდი.
- ქარს... — დაუნახავად დავინახე მისი თვალების შემობრდლვიალება.
- ქარს რანაირად გააჩერებ?! — ვკითხე გაკვირვებულმა.
- დავაბამ! — დამიტყაბუნა თავზე მარჯვენა ხელი.

- ქარის დაბმა ვის გაუგონა?
- ცხენი ხომ ქრის?

- თუ კაი ცხენია, რასაკვირველია, მიქრის.
- დააბამ და ველარ იქროლებს, — ისევ ჩამიტყაბუნა.
- შენ ცხენი და ქარი ერთნაირი ძალის გვინია?
- არა, ქარი ძლიერია.
- აბა, რანაირად დააბამ?
- ბალში მასავლებლებმა გვითხრა, ბევრ ხეს თუ დარგავთ, ქარი გამერდება. მე ტყეს გავაშეჯენ-მეთქი. გაეხარდა.



მხატვარი სოფიო ჭელიძე



ებ, დიდ ტყეს, მერე შენ უქუდოდ  
იარე იმ ტყის პირას და ამოგივა  
თმები.

– არ შემცივდება?!

– ქარი არ იქნება და რა შეგ-  
აცივებს.

– ქარის დამბმელ ვაჟკაცს  
კისერზე რა უნდა! – ჩავილაპა-  
რაკე, ძირს ჩამოვსვი, დიდად არ  
გაეხარდა, ამიტომ საუბარი იმავე  
თემაზე გავაგრძელე.

– ტყეს როდის გააშენებ?

– მამიკოსხელა რომ გავხდები.

– იჩქარე, თორემ ერთი ღერი  
თმაც ალარ შემრჩება თავზე... –

ბაგეზე მომდგარი ლიმილი დავმალე.

– ნუ გეშინია, ამოვა.

– როდის?!

– ტყეს რომ გავაშენებ და შენ მის ნაპირას  
ივლი, – დამიბეჯითა ხშირი შეკითხვებით გაბრაზე-  
ბულმა.

– როგორ ტყეს გააშენებ?

– დაბურულს.

– კი მაგრამ, ცხოველებს არ ეკითხები, რო-  
გორი ტყე ურჩევნიათ?

– როგორ შევეკითხო, ცხოველები ხომ მიკ-  
ბენენ?

– ვითომ-ვითომ ვკითხოთ, როგორც ზღაპრებ-  
ში.

– შენ კითხე.

– ტყეს შენ აშენებ და მე რატომ ვკითხო?

– მაშინ ორივე წავიდეთ, შევეკითხოთ, – დაქიჩ-  
მაჩდა.

– რომელ ცხოველებს ვკითხოთ?!

– კურდლელს, მელას, მგელს, ლომს... – ჩამო-  
არაკურაკა.

გაიქცა, სალაციდან პლასტმასის კურდლელი  
მოარბენია, ჰერთა:

– ბაჭია, როგორი ტყე გირჩევნია, რომ გავაშე-  
ნო?

– შენ თქვი!

– მე რა ვთქვა?!

– რა და, ბაჭიას როგორი ტყე ურჩევნია.

ბაჭიას ყურები აფენიე, ვითომ მოგვესალმა,  
თავზე ხელი გადავუსვი და მის მაგიერ ავლაპარაკ-  
დი:

– მარადმწვანე ტყეს არაფერი ჯობია. მარტო  
მუხისა რომ გააშენო, ტყიდან გადაკარგვა მომიწევს,  
სიმწვანეში მტაცებლებს ვემალები, ხანდახან მაინც  
მაგნებენ, მაგრამ დანახვისთანავე თავქუდოგლე-  
ჯილი გავრბივარ, კისერიც ხშირად მოვიტეხე,  
გეუბნები, დამიჯერე: დასამალად – მარადმწვანე,  
გასაქცევად – გაშიშვლებული ტყე მირჩევნია.

– მადლობა! – თქვა აკამ. პლასტმასის კურდლე-  
ლი გააქცუნა და კურდლელივით ყურებჩამოყრილი  
დაბრუნდა.



## ცლგუჯა თავპერიძე

– რა იყო?!

– მელია რომ არ მყავს?!

– მერე რა, ეს იყოს ვითომ-  
ვითომ მელა, – დინოზავრს წავავლე  
ხელი.

– კუდი კი აქ მელასავით, – შე-  
მომლიმილა.

– ხო.

– შენ როგორი ტყე გირჩევნია,  
მელაკუდა?

– ამასაც მე ვუპასუხო?

– ხო, შენ, შენ... ხომ შემპირდი,  
მოგეხმარებიო.

– მეც მარადმწვანე მირჩევ-  
ნია, – ეშმაკურად ჩავილიმე – ტყის

ბინადრები მწვანე ფოთლებით დაბურულ ტყეში  
არხეინად დადიან, ვუსაფრდები, ვიჭერ, შიშველი  
ტყე გასაქცევადაა კარგი, თორემ ფოთლებისგან  
გაძარცეულში სად გინდა ვინმეს ჩაუსაფრდე, გხე-  
დავს, ხედავ!

აკამ, ვითომ მელას, სინამდვილეში მე, მადლო-  
ბის ნიშნად თავი დამიკრა.

– მგელიც რომ არ გვყავს? – ჩაფიქრდა.

– ნილაბი ხომ გვაქვს, თუ მომერგო, გავიკეთებ.

– ნილაბი მელასიც კი მქონდა.

მოვირგე მგლის ნილაბი და დავიწყე:

– მარადმწვანე ტყეში – რამდენადაც შევძე-  
ლი, ყმულს მივამგვანე ხმა, – უფრო წამოვდები-  
ვარ საკბილოს, თუმცა ზამთარს მაინც ზაფხული  
მირჩევნია, ერთი სული მაქვს, ხები როდის გამწვან-  
დებიან, გაზაფხულზე სიკვდილითაც ბევრი კვდება,  
მოთენოვითაც ბლომად ითენობიან. ჩვენც მეტი  
რა გვინდა, მივამთ, შევჭმთ. ხები რომ გაშიშვლ-  
დებიან, შესათანთქლს ადვილად ვხედავ, ყნოსვითაც  
ვგრძნობ, ყნოსვას მხედველობაც ემატება, მაგრამ  
ნადირობა მაინც არაა ხშირად შედეგიანი.

ზამთარში ტყეში ვერაფერს ვშოულობთ, ამი-  
ტომ სოფელს ვესხმით თავს, ძალებს გამოვიტყუ-  
ებთ. მგლები დიდ და ძლიერ ცხოველებს არაფერს  
ვერჩით. ხროვის პირველი ატამანიდან დღევანდ-  
ლამდე ასე ყოფილა, ასე იქნება! – ჩვენზე სუსტ,  
ახალგაზრდა, ავადმყოფ და ბებერ ცხოველებს ვა-  
ნადგურებთ – უშნოდ დავიყმუვლე.

– პატამანი რაა?

– პატამანი კი არა, ატამანი, მგლების ხროვის  
მეთაურია.

– მგლები ერთმანეთს როგორ აგებინებენ? –  
მეითხა თვალებგაფართოებულმა.

– ყმულით. ყმულია მათი ტელეფონი, შიათ –  
ყმულან, სანადიროდ მიდიან – ყმუან, ლეკვები გაჩნ-  
დება – ყმუან, საფრთხეს დალანდავენ – ყმულით  
მთელ ხროვას აფრთხილებენ.

– ახლა ლომი! – დაიძახა აკამ და ლომის წე-  
ლინადისთვის ნაყიდი ნადირთმეფის გამოსახულება  
მოარბენინა.

– ტყე გინდ მარადმწვანე გააშენე, გინდ ის ხე-





ები დარგე, ზამთარში რომ შეშვლდებიან, ჩემთვის სულერთია, მთავარია, ნადირი ბლომად იყოს, თავსაც დავირჩენ, ბოკვერებსაც გამოვეტავ... – დავიბუხუნე ლომივით.

აკა აქამდე ნამეტანი რომ ხალისობდა, უცებდასევდიანდა.

– რა იყო, ბაბუ?

– ვერ გავიგე, რანაირი ტყე ურჩევნიათ.

– ცხოველებისას რას გაიგებ, დასამალად – ისეთი, სანადიროდ ასეთი უჯობთ, თავშესაფრად – მარადმწვანე, გასაქცევად – ფოთლებგაცვენილი გვირჩევნიათ.

– მერე რა ვქნათ?

– რა ვიცი, შენ აიჩემე, მე ხომ არა.

– ტყე ყველას იმისთვის უნდათ, სხვები რომ შეჭამონ.

– რას იზამ, ბუნების კანონია.

– მერე ირემი რომ შეჭამოს ლომმა, ცოდვა არაა?

– რას ამბობ, ცოდვაა და გაგიგონია!

– მოდი, ისეთი ტყე გავშენოთ, სადაც ცხოველები არ იქნებიან.

– მერე იმათ არ უნდათ არსებობა?

– აბა, რა ვქნათ?

– რა ვქნათ და, შერეული ტყე გავაშენოთ, მარადმწვანებიც – ფიჭვები, ნაძვები და ზამთრობით ფოთლები რომ ცვივათ, მუხები, რცხილები, წიფელები დავრგოთ.

– კაი, მასე იყოს!

ველოდები, როდის გააშენებს აკა შერეულ ტყეს, მის ნაპირას რომ ვისეირნო, ქარიანი ამინდიც უქარო რომ გახდეს, თმები ამომივიდეს.

– ხეები როგორ ჩნდებიან? – კაი ხნის მერე მკითხა.

– ადამიანებივით, იბადებიან, იზრდებიან, კვდებიან.

– რანაირად იბადებიან?

– რომელიმე ხის თესლი ჩავარდება მინაში, აღმოცენდება პატარა ნერგი, გაიზრდება, გახდება დიდი ხე.

– შენ რა მითხარი, რანაირი ტყე გავაშენო? – ნათქვამის გამეორება მომთხოვა.

– შერეული-მეთქი!

– ხომ მომებმარები?

– აბა, რას ვიზამ! ვიყიდოთ მუხის, რცხილის, ფიჭვის, ნაძვის თესლი, მიმინოები მწყერზე კი არ დავგეშოთ, ვასნავლოთ, როგორ წაიღონ ნისკარტით ხეების თესლი იმ ადგილებში, სადაც ტყის გაშენება

გვინდა, მიფრინდებიან, ჩამოყრიან, თესლის მარცვლები ჩაცვივდება მიწაში, ზოგი გაიხარებს, ზოგი – ვერა. ცოტამაც რომ გაიხაროს, ერთ ოცდაათ წელიწადში მაინც კაიხელა ტყე იქნება.

– მიმინო რომელია?

– მიმინო არც ისე დიდი ფრინველია, განახებ მერე ვიდეოში, მწყერზე გეშავენ, გაუშვებენ, დაიჭერს მწყერს და მოუტანს პატრონს.

– დაგეშვა მაგას ჰქეია?

– ხო, ჩვენ მწყერის დაჭერა კი არა, ხეების თესლის წალება და იმ ადგილებში ჩაყრა ვასნავლოთ, სადაც ტყეს ვაშენებთ.

– ვასნავლოთ!

– კი, ბატონო!

– რომელი ხე უფრო გაიხარებს?

– რომელიც მეტს მოითმენს... შეიძლება, ამისვლისთანავე არ გაათბოს მზის სხივებმა, მაგრამ უნდა დაელოდოს, მოითმინოს, მოითმინოს და მერე აიჭრას ცისკენ, აიწონოს, იმხელა გახდეს, სხვებმა რომ ველარ დაჩრდილონ, თან ცისკენ წავიდეს, თან დამსხვილდეს, დავაუკაცდეს!

– რომ არ მოითმინოს?

– ვინც არ მოითმენს, გახმება, შეშად წაიღებენ.

– ტყის გაშენება როდის დავიწყოთ?

– გაზაფხულზე ან შემოდგომაზე, ხეებს ამ დროს რგავენ.

– ჩვენ რომ დავრგეთ ალუბალი?

– ახლა გაზაფხულია და მაგიტომაც დავრგეთ, გაიზრდება, აკას ალუბალი ერქმევა.

– კიდევ რა დავრგოთ?

– მუხები, ფიჭვები, რცხილები, წიფლები, ნაძვები, დაუსახოთ მერე – აკას მუხები, აკას ფიჭვები, აკას რცხილები, აკას წიფლები, აკას წაძვები...

– მერე ისინი ჩემი იქნება?

– შენ თუ გააშენებ, ვინ შეგეცილება?!?

– შეგეცილება რას ჰქეია?!

– ვერავინ წაგართმევს, შენი იქნება.

– სულ ჩემი?

– ხო, ხო... რას გეუბნება დედაშენი, რომ ალარ მოასცენებ ხოლმე.

ჩაფიქრდა, ეშმაკურად მოწეურა თვალები.


– ამომასუნთქე, ამომასუნთქე!

– ჰოდა, ახლა მეც ამომასუნთქე.

მზესავით უბრნყინავს სახე.

– ამომასუნთქე! – ვთქვი და უცებ მოვკეტე. არ მინდა, დედა მოინატროს, რა ქნას, მშობლები ქვეყნიერებას ურჩევნია.

მე კი ამომასუნთქა და...



## თინათინ თელაველი

ମିଯୁଗାର୍କ ଫରନ୍ତେଲ୍ଲୋ, ମଦିଲ୍ଲୋଟେଟ୍‌ର୍କ୍‌ସ, ପର୍ମି ମିହ୍ରେଡ ଏନ୍଱ିଆ, ଶୁକ୍ରିୟାର୍ଥ୍ୟାଳୋଟ୍, ଗ୍ରେଚ-ଫର୍ମର୍ମ ଏବଂ ଫର୍ଲୋମା...  
ନେତ୍ରାତ୍ ଗ୍ରେଲୋର୍କ୍‌ସ ଶ୍ରେଷ୍ଠାର୍କନ୍ତ୍ରେ ଲେଖ ଗନ୍ଧିତାର୍କ୍,  
ରୋପ - ହୃଦୀ ଗ୍ରେଲ୍‌ବିଜନ୍‌କ୍ସ ତାତ୍ତ୍ଵ ହୃଦୀ, - ପ୍ରତି ଅର୍ପା ଲୋକମି...

### ၈. တော်မြန်မြေ



# ლექსების ციკლი საქართველოში

საქონლენ მხრივ !!!

შენს მზეს ვუმღერი და შენს ზეცას, სამშობლო მხარევ!..  
შენი უბადლო სილამაზით გულს რომ მიხარებ,  
შენით იწყება მზით ნაქარგი დილა ცისმარე,  
და... მაგ მშვენების სიყვარული, მე, ვერ ვიკმარე...



## თინათინ თელაველი

მწამს, ჩემ საქართველო!..

შენზე ფიქრი მაღლვებს, დარია თუ ავდარი,  
მზის ქვეშ, — შენებრ წარმტაცი, სხვა სამოთხე სად არი?..  
შენს ვარდ-წალკოტს, შენს მთა-ბარს, ვინ უპოვოს ბადალი? —  
სილამაზით, სიტურფით, უკვდავების სადარი?..  
ჩემო, ტკბილო მამულო, ნეტავ, ასე, რად არი? —  
ვინ ალარ გყავს მოსისხლედ და მეტოქედ გამხდარი...  
მტკიფა — შენი ტკივილი, გული მაქსი, ვით, ღადარი,  
ხან, მოძმეც გყავს ორგული, მოშურნე და მზაკვარი...  
რწმენის, ენის, მამულის, მოვლა გვმართებს სხვაგვარი,  
არ ეგების, არაფრით, დაგვეთალხოს ცარგვალი,  
თუ, გვსურს ჰქონდეს მომავლებს — სხივნათელი გზა-კვალი,  
წინაპართა, არ ჩაქრეს: კერის ცეცხლი და კვარი...  
მნამს, — მარად, უკვდავია: ეს მზე, ცა და მთა-ბარი,  
მნამს, — არასდროს ჩაქრება — დედაენის ლამპარი,  
მნამს, — ჩემო საქართველო, დაგიდგება, კვლავ, დარი,  
მნამს, — შენს გადასარჩენად, შენი ერი მზად არი...

၆၅၂၁၀၈၃၇၉။...

საქართველო, შენს მთა-ველს რომ გავცერი,  
თვალი ლალობს, გული გეალერსება,  
შენს მზეს უმღერს, ლოცავს ყველა ქართველი,  
და... მსურს გითხრან ხოტბა ჩემმა ლექსებმაც.  
საქართველო! სხვა სამოთხე სად არის?..  
არ მეგულვის ქვეყნად შენი სადარი,  
გხატავს, გიდგას უტურფესი მზა დარი,  
მნამს, მარადი მომავლის მზაც მზად არი!..





## დაგვრეფეროდეს...

მოდის ახალი და მიდის ძველი,  
წელს – ახალს, ახალ იმედით ველით,  
დაგვბედებოდეს წელო ახალო,  
რომ საქართველო, საქმით ვახაროთ

## მამულის მზისთვის...

ხიბლით მავსებს მე, ვით, საოცრება,  
ტრფობა, მშვენებას როცა ედრება,  
ლხენით მილალებს ფიქრს და ოცნებას,  
მამულის მზისთვის ლოცვა-ვედრება...

## საქართველოს...

ოცნებებმა გამიტაცა,  
სად არ ვდიო მთას და მდელოს,  
სხვა ვერ ვნახე, ცა, მიწა და...  
ღვთით ნაკურთხი საქართველო...

## სამშობლოს

ჩემი ქვეყნის ტურფა მხარევ,  
ცამდე მინდა აგალმერთო,  
შენი ნახვით გულს ახარებ,  
მხარევ, მართლაც ერთადერთო...  
ვერ დააშრო დრომ და უამმა,  
უკვდავების წყაროს წყალი,  
და მომავლებს, შეგვინახა –  
შენი სახით, ნატვრისთვალი...

## მე, სხვა საქართველო არ მნაშ!

მთიდან ნაურ ბროლის ცვარ-ნამს,  
ტყე, ხარპად სვამს, ალტობს ნამწამს,  
ამ, მთებს ვლოცავ წუთსა და ნამს,  
მე, სხვა, საქართველო არ მნამს...

## ჩემი მამული...

მთების მიღმა მიმალულან ლრუბლები,  
კაბად-ზეცას საფირონი აცვია,  
ველ-მინდორი, ოქროთ ნასვირინგები,  
მოუხატავს ზურმუხტის ნაზ არშიას...  
მთათა რიგი, – ქარავანთა სადარი,  
კლდეთა ნაპრალს – ბროლი დაჰკიდებია...  
მწუხრის ქურქს რომ ნამოისხამს მთა-პარი,  
ფარაონთა, თოთქოს აკლდამებია...  
ეს მამული საოცარი რამ არის,  
ქართველთათვის, სალოცავი ხატია,  
მზე-გვირგვინი დავითის და თამარის,  
მზე ნარსულის შარავანდად ანთია...

## მამულო!..

ჩვენო, უტებესო მამულო, –  
ქართველთა: სულო და გულო,  
მტერთან, – გმირობით განთქმულო,  
შინ, – შიდა შუღლით დაგულო...  
ნეტავ შემეძლოს, შეგიშრო,  
ცრემლი, – ტკივილით ნადენი...  
მომავლის ბრწყინვით გეცისკროს,  
გეკმაროს ტანჯვა, – ამდენი...

## საქართველოს!

სილაუვარდე, სილამაზე, სიტურფე...  
ხიბლის ზღვაში, განცდით ვუხმობ ნავს..  
სიყვარულის, სიანგარის სიუხვე,  
საქართველოს სიდიადით რთავს.  
სიმამაცემ, – სიძნელეთა მნახველო,  
აგარიდოს, აგაცილოს ავს,  
საქართველო, სანატრელო სანთელო, –  
გავიმეტებ, განაცვალებ თავს...

## ქმნის უკვდავება...

ენა კაზმული, ენა ქართული,  
სიტყვა რუსთველის – სიბრძნით განთქმული...  
გზა – დიდ ილის მცნება და თქმული,  
ზედ სიდიადე და მზე დართული...  
ბუნების ხიბლის ხედვა-ვაჟათი, –  
და... წინაპართა ჩვევა ადათი...  
მზე მომავლისა, და მზე წარსულის...  
ქმნის უკვდავებას – ჩემი მამულის...

## რომ მუჭამ გვწყალობდეს ლმერთი...

სიკეთე და სიმართლეა –  
სიძლიერე, ამა ქვეყნის,  
ძალა ერთობაში როა...  
მშვიდობას და რწმენას, ეს ქმნის,  
წილხვედრ ბალნარს მზით საკოცნელს,  
ლოცვით სწყალობ, არა ერთით,  
ღვთისმშობელო, სვით, დაგვლოცე,  
რომ მუდამ გვწყალობდეს ლმერთი...

## დაგვილოებუ, დაგვილოებუ!..

გეაჯებით და გვისმინე,  
ლმერთო, ნატვრა აგვიხდონე,  
რაც დარდი გვაქეს, ნარგვიხოცე,  
საქართველო დაგვილოცე,  
დაგვილოცე, დაგვილოცე!..  
საქართველოს მზიანობა,



საქართველოს მთლიანობა,  
საქართველოს სვიანობა –  
გვალირსე და დაგვილოცე,  
დაგვილოცე, დაგვილოცე!..

გადაგვარჩინოს!..

ერთობის ძალას – სიბრძნის მაღამოდ,  
დასაბამიდან ველტვით და ვლამობთ,  
მამულის მზეო, ჩვენო აღამო,  
გადაგვარჩინოს რწმენის მაღამო...

ქართულ გენით ანთერ, როგო...  
შვილს გამოწვრთნი სახელმობილს,  
ქართულ გენით ანთებ როცა,  
შვილთა, შენთა, ქართველობით,  
საქართველოს ხვალეს ლოცავ!..

გული სამშობლოს ჭრიულით  
ნეფარებს...

გული სამშობლოს ტრფობით ნეტარებს,  
მაცოცხლებელი სხივით ინთება,  
უმღერს სიყვარულს, უმღერს მზედარებს,  
განცდა ილვრება – ირგვლივ ზვირთებად...

და... გადარჩა ჩემი ერი

მზე – ქართული, ენა-მჭევრი,  
მხარე – ღვთის წილ განაჭერი...

ქართველთ, მუდამ, ჰყავდა მტერი,  
დაუთვლელა, ბევრზე ბევრი...

თარეშობდა ყორნისფერი,  
ღრუბლის კვამლი, გულით ჭრელი...

ფეხზე დადგა ერიც, ბერიც,  
მტერს ადინა ზურგზე მტვერი...

სიმამაცით სძლია მტერი...  
დაიბრუნა პრნეინვა, ფერი...

და... გადარჩა – ჩემი ერი...  
ღვთით გადარჩა ჩემი ერი.

მამაკლის მზეო!!!

აქ, მზის სხივები ათასფერია,  
რადგან შენი მზით თვალნაფერია  
მამულის მზეო!!! ნატვრა-ფერიავ,  
შენზე ძვირფასი არაფერია...

შიდა შუღლი სპორტს, ლურჯას ქვეყანას...

განსაცდელშია ჩვენი ქვეყანა, –  
ძმა-ძმას წაჲებიდა მტრობამ ბევრგანა,  
მამული, დაჭრილ არწივს ემგვანა,  
მამული, შველას ელის ჩვენგანა...

არ იმსახურებს?..

ცრემლშეუმშრალი: ეს – ტყე, ეს – ყანა,  
მთა – ბუმბერაზნი, – სფინქსებს, რომ ჰეგვანან,  
ქარტეხილებმა – პირი რომ ბანა,  
და... მაინც, ისევ, ლაღად რომ დგანან...  
ის – ცრემლსაცსე, თუ, მპრნეინვი ხანა,  
წარსულის ხიბლი, ანა, თუ, ბანა,  
მამული, – ასე, პირმშვენი, თანაც,  
არ იმსახურებს, სიყვარულს, განა?!

P.S.

შიდა შუღლი სპორტს, ღუპავს ქვეყანას,  
ვერ უნდა მივხვდეთ, – ამას, ჩვენ, განა?!

21



საქართველო არ მწამს, მე, ხევა...

ანგელოსთა მღერა მესმა,  
მტრისა ძლევად შენ გცნო ზევსმა,  
მსურს – შარბათი შენი შევსვა,  
საქართველო, არ მწამს, მე, სხვა...

საკლონებულო საქართველო!..

გზა ნათელო, ცანათელო,  
მშობლიური მთა და ველო,  
სანეტარო, სასახელო,  
დახატულო საქართველო...  
უკვდავებით ლაღად გევლოს,  
არვინ აღარ გადაგთელოს  
მზეო და მზის დარად მწველო,  
საარნეივე საქართველო...  
ბაზალეთის აკვანმთელო,  
გმირთა გმირო, აბჯარმთელო,  
სიყვარულმა გაგვამთელოს,  
უტკბილესო საქართველო...  
საოცნებო, ფრთანათელო,  
სასურველო, სანატრელო,  
უფლის ზვარო და სართველო,  
სალოცავო საქართველო...

P.S.

საქართველო, სვეძლიერო,  
ღვთისნიერო, მშვენიერო,  
მომავლის მზით ბედნიერო  
მსურს იპრნეინ ჩემო ერო!!!

№6 2024



## ნინო მზესელი

22



საქართველოს სამართლებულო საკუთრივი გამოყენინა. ათამეცე უსმურ და ფანით პირველს სახეში ერთი ბატონი მთვარის ფარი ქალი, კახას გულისფრება და ფეხური მარიჯ ერთი. სასიმართლოს სახლში შესვლა კახას სწორედ მისმა ნაზარ გამოიწვია განაცვლინა.

– ჩემი ქალის ხელსა მოხვე, შე წევინმოსახოვო ლო-  
აქო, ვერ ხედავ, ვირი გაგუება და ქალი გაგიჩერდება, ჭო?!

ნ. მზესელი

სახელის ათამეცე მარის მთელი ჭალაშორა

გაშლილ მინდოოში გამეფებული სიმყუდროვე მჭექარე შეძახილმა დაარღვია:

– ეე, ჯორ, კახა შენ არა ხარ?! – მზის ცხ-  
ელი სხივები თვალებს ხელის ჩრდილით აარიდა  
ქოსა მიხამ.

– ჰო, მე ვარ, აბა, სხვას ვის ელოდი ასე  
პინკინად გამოწყობილს, – თავმომწონედ გაი-  
ბრიქა კახაბერი.

– ე, შენ რო გიცნობ, ტყუილად არ გაირ-  
ჯებოდი და სიღნალიდან აქ ჩამოსასვლელად  
ფეხსაცმელს ამაოდ არ გაცვეთდი, – თავი  
იჭვნეულად გადააქნია მიხამ.

– შენც კაი თვალჭყეტია ხარ, ძმაო, თუმ-  
ცა რა დასამალია და აქ, მართლაც დიიდმა  
საქმემ ჩამამიყვანა, – ეს „დიიდმა საქმემ“  
სხვა სიტყვებზე უფრო ხმადაბლა, მაგრამ ის-  
ეთი პათოსით წარმოთქვა კახამ, მიხამ თავის-  
და უნებურად თვალები გააფართოვა და მეც  
წამოგყვები, შენს გვერდში მიგულე, ძმაოო! –  
თვალების გაფაციცების მსგავსად ენამ ესეც  
თავისდა უნებურად ათქმევინა.

– შენ თუ არა, მაშ, სხვა ვინ უნდა ამამიდგ-  
ეს გვერდში საკურთხეველთან, ეგრეც ვიცოდი,  
რომ შენი იმედი არ უნდა მამშლოდა, – სიხ-  
არულის სხივმა წამიერად მზეზე უფრო მეტად  
ააკაშკაშა კახას თვალები.

– შენა აზრზე ხარ, რეებსაა, რომ ბოდია-  
ლობ ჯო! – მიხას ხმა გაებზარა.

– რა იყო, რა არ მაგენტანა, მეჯვარედ მინ-  
დიხარ, ცოლად კი არა, შე მართლა ქოსა! –  
გულიანად გადაიხითხითა კახამ.

– უუფ, შენ გაიხარე, თქვი რა ადამიანუ-  
რად... ძლივს არ მამეშვა გულზე... მაგრამ...

– შეფიქრიანდა ავდრის ღრუბელივით სახ-  
ეშეკუშტული მიხა.

– რა მაგრამ, ჯო, მეგობარი ხარ და ამ  
ძნელბედობის უამს ზურგს მაქცევ?! ეგეთები  
არ გამაგონო... ჩამოთლილი საჩვენებელი თითი  
მრავლისმეტყველად დაუქნია კახამ.

– შენ, ეტყობა, ორი თავი გაბია მაგ ბეჭ-  
მაგარ მხრებზე და მე მარტო ერთი მარგუნა  
გამჩენმა, ამასაც თუ არ გავუფრთხილდე და  
იმ შენი სასიმამროს ხახაში ჩავყავი, მაშინ ხო  
იმნამსვე გავთავდი! – ხელები უმწეოდ გაას-  
ავსავა მიხამ და ნაბიჯი ჯერ შეუმჩნევლად შე-  
ანელა, ცოტა ხანში კი საერთოდ გაჩერდა.

– მართლა არ მოდიხარ, ეულად მტოვებ?  
არადა, ჩვენ ორნი, ისევე, როგორც ჩვენი პაპე-  
ბი, 100-200 ყიზილბაშს მოვინელებთ! – სინან-  
ულით და ვეძრებით გახედა კახამ თავჩაქინ-  
დრულ მიხას.

– ყიზილბაშია, მერე შენი სასიმამრო?!  
პირიდან ცეცხლის მფრქვეველი და თვალებიდან  
ნაპერნებების მტყორცნელი გველეშაპია. აქამ-  
დე რა, არ იცნობდი მაგ ღვინიპარიას?

– რაო, ღვინოს იპარავს? – ცნობისმოყვა-  
რებამ მარჯვენა წარბი მაღლა ააზიდვინა კახ-  
ას.

– ხომ, სუფრასთან ღვინოს ყოველთვის  
იპარავს, სასმისს ბოლომდე არ ცლის და თრო-  
ბით რეტდასხმულ სტუმრებს ფხიზელი თვალ-  
ით ცდის. თავისი ქალისთვის ხომ ისეთი ქმარი  
უნდა, ჭკუით დაღმართს რომ მოავაკებს და  
ძალით კიდე აღმართს რომ ხნავს.

– ხოდა, ეძებოს ეგეთი... ჩემზე უკეთესი  
მზე მაროს მაინც არა ჰყავს. გოგოს მე ვუყვარ-  
ვარ, ვააა... – გულზე მჯიღი შემოიკრა კახამ.

– რას ცხარობ, მე კი ვიცი და... – მიხამ  
წამით მიაყურადა...

– აი, ხო გესმის... წამოგყვებოდი, მაგრამ...  
იქ, სადღაც ორლობები – მიშველეთ, მიშველე-



თო ვირი ყროფინებს და რომ არ ვუშველო, მას მერე რა ნამუსით მერქმევა მე კახელი ბიჭი?! – კახას პასუხს არ დალ-ოდებია, ისე გაქუსლა მიხამ.

– მხდალო, ლაჩარო! ძმის განგმირავო ხმალო! – მიხა-ას ყურს კი მისწვდა კახას მიდევნებული სიტყვები, მა-გრამ წაუყრუა, თავის გასამხ-ნევებლად – საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო, თავისი საყვა-რელი ძველი სიბრძნე წაიბუტ-ბუტა და წელანდელზე მეტი სისწრაფით მოკურცხლა. ისე მირბოდა, ღმერთ-მანი, მიწას ფეხს არ აკარებდა. არა, პირდაპირ მიქროდა, კი არ მირბოდა.

– მთლად თაფლი და ალვახაზი არ არის, მაგრამ არც ეგეთი კაციყლაპია იქნება, ბო-ლო-ბოლო ანგელოზივით გოგოს მამაა, – ხელი ჩაიქნია კახამ. – შენ მაინც ხომ არ მიმა-ტოვებო! – პირში შესცინა საპალნეაკიდებულ ყურპარტყუნა სახედარს, რომელმაც მთელი გზა, გეგონება, ცხენის ჭეუა აქვსო, დინჯად, გონდატანებულად იარა. თუმცა, როგორც კი მასპინძლის ჭიშკარს მიადგნენ, ერთი საშინ-ლად ამოიყროყინა და ტლინკების ყრით კაცმა არ იცის, საით გაიქცა. ძირს დანარცხებული სასიმამროს მოსათაფლ-მოსაქონი ხარკი პირწ-მინდად განადგურდა. რაც დასამსხვრევი იყო, დაიმსხვრა; რაც დასაღვრელი იყო, დაიღვარა და რაც არც ტყდებოდა და არც იღვრებო-და, ღორების აუზად ქცეულ ტალახის გუბეში გაუჩინარდა.

ამ ხმაურსა და ალიაქოთზე მაროს მთელი ჯალაბობა სახლის აიგანზე მზეს დახარბებუ-ლი სველი სარეცხივით გამოეფინა. ათამდე უქმურ და დანით პირგაუხსნელ სახეში ერთი ბადრი მთვარის დარი ქალი, კახას გულისთქმა და ფეთქვა მაროც ერია. სასიმამროს სახლში შესვლა კახას სწორედ მისმა ნაზმა ღიმილმა გააბედვინა.

– ჩემი ქალის ხელსა მთხოვ, შე ცხვირმო-სახოცო ღლაპო, ვერ ხედავ, ვირი გაგექცა და ქალი გაგიჩერდება, ჯო?!

– არ მუშაობ, არ სწავლობ, ნეტა დედამი-ნის დამძიმებით რას წვალობ? – ჩაიროხოხა მიტომ. სახეალენილი, ნამუსგათელილი კახა თავჩალუნული იდგა, კაი-კაი პასუხებს აძლე-ვდა, ხან ღანძღავდა, ხან აგინებდა, ხანაც ოხ, რა მწარე-მწარე გესლს ანთხევდა, თუმცა ეს მხოლოდ მის გუნებასა და გულში ხდებოდა. ისე, კი იდგა უტყვად და დასჯილი ბალის ბავშ-



## ნინო გზესლი

ვივით უსმენდა გაფიცხებული სასიმამროს და მისი ბანის მიმ-ცემი გაკაპასებული სასიდედროს დუეტს.

ორ ხმაში წათქვამი მათი ქი-ლიკი ყურს უცხოს მოჭრიდა და ხომ წარმოგიდენიათ, მოსიყვარ-ულე გულს რას უზამდა?! ით-მინა, ითმინა მარომ კახასთვის თავსლაფის დასხმა და ველარ მოითმინა. იმათ ქაქანში თავადაც სახეალენილი მორცხვად ჩაერია:

– მიყვარს და ნუ გამიჩალეთ კაცი!

– რაო, მიყვარსო? – ერთხმად ამოიღრი-ალ-ამოიხავლეს მშობლებმა და მაროს ისე მი-აშტერდნენ, თითქოს პირველად ხედავდნენ.

– აჲა, მაგ შენი ფერებ-ფერებით რა გამო-ზარდე! – მიტოს ქორისებრი თვალების ბრიალ-მა მხრებში მოხარა კესო, თუმცა შვილის ნინ ხმა ასეთ პოზაშიც მშვენივრად აღიმაღლა.

– თვალები გააქირავე ქალო? რისთვის გასწავლე, რატომ გვარცხვენ, მთელ მხარე-ში, ყველაზე უბადრუკს ჩვენს სიძედ რატომ არჩევ?! – კი არ ყვიროდა, გულგამგმირავი ხმით კიოდა კესო. თითქოს კახას რომ ჩააგდე-ბინა ხმა, ის არ კმაროდა, მისმა კივილმა ახლა მაროც დაამუნჯა.

– არა, მაინც რას მოგცემს ვარდებისთვის გამოზრდილ გოგოს ეს ჭია, ესა; ბევრი-ბევრი, მზესუმზირას ტომრობით, და იმის ზეთს კიდევ ტოლჩიობით.

– იქნებ, მე ამისი მზესუმზირა მევარდე-ბა, ზეთი კიდევა მენელსაცხება?! – ძლივს წაილულლულა ყელგამშრალმა მარომ.

– გააჩუმე, ქალო! თორე ხედავ, პირი თონესავით გაახურა! – გრუზა ულვაში კოტიტა თითებით ნერვიულად გადაივარცხნა მიტომ.

– გააჩუმდი, სამგლევ! – ისევ შეჰკივლა კესომ, მერე თმაში ჩაავლო დიდთვლიანი ბე-ჭდებით დახუნდლული ხელი და სულ მუჯლუ-გუნ-ჯაჯგურ-ძიძგილაობით გაიგდო წინ.

სატრფოს შეხიდება, რომ ვერ გაბედა, თავ-ზე ბრაზი მოუვიდა კახას, კახური ქუდი, რო-მელიც ძილშიც კი თავზე ეხურა, გულმოსულ-მა ძირს დაანარცხა – სეირს განახებთ ამაზე უკეთესს! – დაიქანდა და მასპინძლის სახლი-დან ალმურმოკიდებული გამოვარდა. როგორც ყოვლისმჭვრეტელი და ყოვლის მწვდენელი თვალის მქონე მეზობლები ირწმუნებოდნენ, სიღნაღელი კახას გაქცევისას წარმოქმნილ მტ-ვრის ბუღას მთელი ორი დღე დასჭირდა, რომ ბოლომდე გაფანტულიყო.





ამ ამბებიდან არ გასულა დიდი ხანი, როცა მეზობლებს ახალი თვალის გასახარი მიეცათ. ღიპიანი მიტოს ჭიშკარს არაბულ სამოსში გამოწყობილი ახოვანი, უცხო მამაკაცი მიადგა, რომელსაც თან მზეზე ალაპლაპებული სამკაულებით სავსე ზარდახშა აკიდებული პატარა კოზაკი ახლდა.

დიდი ზარ-ზეიმით მიიღეს მაროს ოჯახში უცხო მიწის შვილი.

— შეხედეთ, ეტყობა კარგი ქონების და გავლენის პატრონია და ისე მოიქეცით, ვითომც სტუმრად თვით მეფეთ მეფე გვყოლია, — ჩვეულებისამებრ, თვალების ქორული ბრიალით გახედა მიტომ თავის ცოლ-შვილს.

რადგან სტუმარი ჩვენს ენაზე ვერ ლაპარაკობდა, რაღაც გაურკვეველ სიტყვებს ბუტბუტებდა და დროდადრო აქაი დამტვრეულ ინგლისურსაც გამოურევდა, ეს თავისდა სასიკეთოდ გამოიყენა და სტუმარს თავისი მარო ჯერ ვითომ თარჯიმნად ამოუყენა, მერე კი, როცა დახორაგებულ სუფრასთან გადაინაცვლეს, გვერდითაც უყოყმანოდ მიუსვა.

— ოხ, ასეთი სიძე მომცა, მეტი არ მინდა! — ქართული ამას მაინც არ ესმისო და ხმამაღლა ნატვრას არ ერიდებოდა მიტო.

— სუ, სუ, გამაგონეთ! — ხეირიანად რომ გაეგო რამე და თავისი ჯალაბ-ჯულაბისთვის გადაეთარგმნა, სმენას ძაბავდა თარჯიმნის ამპლუას მორგებული მარო.

— ჰო, აბა, რაო?.. რას ამბობს ეგ შეიხ ბატონი? ოქრო ბევრი თუ ბეეევრი მაქვსო? — მიტო საქმიანად იფშვნეტდა ხელებს.

— მარტო თქვენი სახლისოდენა ოქროს ზოდი მაქვს და თივის ნაცვლად კიდევ ეზოში სულ თვალ-მარგალიტის ზვინები მიდგასო! — კამკამა წყაროს ხმამა ჩამოარაკრაკა მარომ.

— რა გქვია, ჩემო, არა, ჩვენო ბატონო? — ცივი ოფლით დაცვარული შუბლი კახური ქუდით შეიმშრალა მიტომ. მარომ ხელადვე თარგმნა მამის კითხვა და წამშივე გადმოთარგმნა თარგმნის საჭიროების არმქონე სახელი.

— სიღ-ნაღ-აღა — დამარცვლა ჭაბუქმა. — სიღნაღ-აღაო! — გადმოაქართულა მარომ.

— ვა, პირველად მესმის ასეთი რამ და კითხე აბა, რას ნიშნავს? — მუდარით სავსე თვალები შეანათა მიტომ შვილს.

მაროს შეკითხვაზე სტუმარმა პასუხი უმაღ გასცა, თუმცა მარომ გადმოთარგმნა რატომ-



**მხატვარი სოფიო ჭელიძე**

ღაც არ იჩქარა, წამით შეფიქრიანდა, ლოყებზე წამონითლდა, მერე კი თვალები დახარა და მორცხვად გაიღიმა.

— რაო, რას ამბობს? სამარცხვინოა თარგმანში, შვილო? — ნირი წაუხდა მიტოს.

— ეეე... სულ ეს იყო შენი ინგლისური, ტყუილად გასწავლე? რამ გაგაშტერა, ხმა ამოიღე, შე სამგლევ! — მუშტად შეკრული ხელები წელზე შემოიწყო კესომ.

— სიღ — დიდგვაროვნობის დასტურია, ნაღ — ზეგვარის აღმნიშვნელია, აღა კი თავად ამ ჭაბუქის გვარია, — ღიმილით თქვა მარომ.

— მერედა, რას იკრიჭები ჩვენი ვირივითა, ვარდივით გაინაზე, გოგო... ეგებ ბედი გაგეხსნას და მაგ შავი კაკლის მურაბასავით თვალებით კარგი ამბისთვის შამაგხედოს, ჰა?! — მიტომ კესოს, კესომ კი მაროს გაპკრა მუჯლუგუნი.

ჭაბუქმა რაღაც წაიბუტბუტა. მარო მაშინვე ენად გაიკრიფა. — ამ მხარეს სწორედ ცოლის საძებნელად არის მოსული. ვიღაცას უთქვამს, კახელებს კაიშავტუხა გოგოები ჰყავთო და იმიტომაც არის აქ მობრძანებული.



– კახელი თუ უნდა, შენზე უკეთესს ვის ნახავს, მარო! – ტაში შემოჰკრა კესომ. – უთხარი, ახლავე უთარგმნე, რომ თანახმანი ვართ. ჰო, თარგმნე, გოგო, თანახმანი ვართ-თქმ აქ, თუნდაც აი, ამ წამსვე გადაგიხადოთ ქორწილი... თუ თანახმანი გვანიშნოს რითიმე და წუთში მთელ სოფელს თითზე დავიხვევთ, ისე ავაფუსფუსებთ.

მიტო და კესო ერთიმეორეს ლამის პირში ეჩრებოდნენ. მართლაც, ვაჟმა ქალს მუშტრის თვალით კარგად ახედ-დახედა და ნიშნად თანხმობისა თავი მსუბუქად დააქნია, მარჯვენა ცერი კი მოწონების უკეთ გამოსახატავად მაღლა ასწია.

ატყდა ფაციფუცი, ამ რია-რიაში ბევრი თეფში გატყდა, კეცებიც უკან მიჰყვა...

– არა უშავს რა, ისეთი სიძე გვყავს, ანი სულ გვექნება ოქროები და ვერცხლები... – ყველა ტკაცატკუცზე ხელს იქნევდნენ კბილებ-გაკრეჭილი კესო და მიტო.

სოფლის ციბრუტობამ შედეგი მალევე გამოიღო, – ისეთი სუფრა გაიშალა, იმის შემხედვარე ჩიტებს რძე დაუშრათ.

– აბა, ჩემო მეგობრებო, სად წაიყვან ბედოო და აი, ჩემი მაროც მიდის არაბეთში! – ლალისფერი ღვინით სავსე ყანწი, თითქოსდა ვინმე ართმევდა, მაგრად ჩაბლუჯა მიტომ.

– ბედი კი არა, საითაც ფულის სუნმა დაუბერა, გოგოც იქით მიდის, – წაიქირქილეს აქაიქ მეზობლებმა.

– ჩემი როა, განა იმიტომ ვამბობ, რომ კარგია?! მართლა მარგალიტივით გოგოა მარო და დაე, წავიდეს ათასფრად მპრწყინავ თვალ-მარგალიტებთან, – აცრემლებული თვალები ხელის ზურგით შეიმშრალა კესომ და მობოდიშების შემდეგ განაგრძო, – ამ ჭიქით იმ გრძელ გზას ვლოცავ, ძაფის გორგლის ერთი ბოლოდან მეორე ბოლოში რომ გადის, ჩემი ბარტყი კიდევ შორეულ აღმოსავლეთში კეთილმოწყობილ ბუდეში მიდის...

– მთლად ასე შორსაც არა გვაქვს ბუდე! – ჩაეცინა მსუბუქად შეზარხოშებულ ნეფეს.

– ეე... ნახეთ, ქართული კი სცოდნია ამ დედალაზათიანს და ასე თამამად რად მაღაპარაკეთ! – პირზე ხელი მიიფარა მიტომ.

– ნეფე-პატარძალს გაუმარჯოოოს! ქართულიც ვიცი და კაბურადაც ვუქცევ ჯორ...


– თავზე წამოცმული თეთრი თავსაბურავი და სახეზე აკრული ხშირი წვერ ულვაშიც ხელის ერთი მოსმით ჩამოიცილა და წამში სასურველი სიღნაღ-აღადან დაწუნებულ სიღნაღელ კახად გადაიქცა სიძე.

ატყდა წიოკი, თავპირისმტვრევა და თმების შლა-წეწვა. ამ აურზაურზე კახას ვირი და-ფრთხა და ტლინკების ყრით ზურგზე მორგებული ბუტაფორიული კუზიც მოიშორა და აკეცილი ყურების დასაფარად თავზე წამოცმული თეთრი ქსოვილიც ქარს გაატანა.

– რაკი ქორწინება მთელი სოფლის თვალინი შედგა, ახლა უკვე გვიანია ვაი-ვიში და, თუ ძალა გერჩით, ჰა, მიდით, მიყარეთ კაკალი! – ისედაც გაცხარებულ მაროს მშობლებს ძალად სიძის ეს შეძახილი კიდევ უფრო მეტად ახელებდათ და ახალგამომცხვარი სიძის მიმართულებით მარტო კაკალი კი არა, გოჭის ბარკალი და ცივად მოხარშული კანჭიც შესაშური სისწრაფით მიფრინავდა. როცა სუფრიდან ასაფრენი აღარაფერი დარჩა, მიტომ ყურებიცა და ხელებიც ჩამოყარა. კესომ ერთხანს კიდევ გააგრძელა თმის შლა-კივილი, მაგრამ როდემდის... ვიდრე ეგონა, იმაზე მალე დაყარა ეს თავისებური ფარ-ხმალი, მით უმეტეს, რომ მაყრები უკვე – პატარძალს ნეფის კოცნა ამშვენებსო! – ერთხმად გაიძახოდნენ.

მოკლედ, უგზოობის გამო მაროს მშობლები, როგორც იქნა დაზავდნენ კახასთან და შეეგუვნენ იმ აზრს, რომ შორეული არაბეთის ნაცვლად, აგერ, ყურის ძირში, ანუ სიღნაღში მოუწევდათ ანი შვილის სანახავად წასვლა.

– სიყვარულმა გაიმარჯვა ჯორ!.. – ლამის ტარზანის ხმაზე იღრიალა კახამ და მტრის ჯიბრზე ბოლო ხმაზე აღრიალებული მანქანების საყვირის თანხლებით მარგალიტ მაროსთან ერთად თავისი კერისკენ გაემართა.





გიორგი  
გიგაური

תְּבִ�ָה

ତୁ କଣ ଗୋଟିଏବ୍ୟାକ ଅନ୍ଧରେଣୀ,  
କ୍ଷେତ୍ରରେ ଲୋକବନୀକା,  
ଯାହାରୁଙ୍ଗେବ୍ୟାକ ମିଶ୍ରିବ୍ୟାକ  
ଲୋକବନ୍ଦିରେଣ୍ଟରୁ ଗୁରୁତ୍ବରେ  
କଣ ଗୋଟିଏବ୍ୟାକ ନାହାନ୍ତରେ,  
ଅନ୍ଧରେ ଦା ଫାରଲ୍ପିର କୁର୍ରିକା,  
ଫଳିକଣ, ମିଳିବେ ଅଭ୍ୟାସକର୍ତ୍ତର,  
ଲୋକିତ, କାହିଁକିମାନ ମନ୍ଦିରକାଳ.

8. გიგაური

იქნება, მოგვხედო ყფალო!

ქართველთა უბედურება –  
იქნება, როგორმე, დამთავრდეს,  
ლმერთო, მოხედე ქართველებს,  
მე, თუნდა, დღლსევ გავთავდე...  
რომ: არ დავუთმოთ არავის,  
ძირძველი მინა ქართული,  
რომ: დავიბრუნოთ სამშობლო,  
მთლიანი, გმირულ-განთაჭლი...

ଓয় স্ব গোস্বামী অমৃতেন

თუ არ გინახავს თუშეთი,  
სათავე ალაზანისა,  
იალალების მშვენება  
ლრუბლებად გაშლა ცხვარისა.  
არ გინახია ნავარდი,  
აღმა და დაღმა ქარისა,

დღლისით, მზისა აფერადება,  
ლამით, ნამგალა მთვარისა.  
არ გინახია მეცხვარე, –  
უძროოდ დაბერებული,  
მაინც, ლალი და ამაყი,  
მაინც, გულაძერებული.  
არ გაგიგია შურთხის ხმა, –  
ნიშანი გათენებისა,  
თუ, არ გინახავს მთის წვერზე, –  
ნავარდი არნივებისა...  
არ გინახია: სახლები, –  
სიპი ქვით აშენებული,  
ყოჩების ჩხუბი, ჭიდილი,  
საცქერად დამშვენებული.  
თუკი, არ მოგისმენია:  
სომლერა, თუში ქალისა,  
ცეკვისთვის აჩქარებული,  
შერხევა ლერნამტანისა.  
მყერდი მოჩითულ – მორთული,  
გულზე წამკიდი ალისა,  
ქარაფზე მდგარი ჯიხვები  
გამხარებელი თვალისა.  
ჩამოსანთლული კლდეები,  
ძირი, ქარაფის თავისა,  
არ გინახია სათავე,  
ორი ალაზნის წყალისა,  
კლდიდან ჩანჩქერის ჩამოშლა.  
როგორც ნანავი ქალისა.  
დაბლა – ბლავილი ორმების,  
მალლა – გამლილი ცხვარისა,  
თავი ქართველად ჩათვალო,  
არა ჯაჭვს წება ამისა...

მაშინ არ მომკლა, უფალო,  
როცა ყვავილობს ხეხილი,  
მაჩვენე, ბუნების მღერა,  
აზი. რძაგადავრიხილი.

კიდევ, ვეფერო გვირილებს,  
მინდვრად გაფანტულს ძმურადა,  
პურის ყანებში ყაყაჩოს, –  
საცქერალს საამურადა.  
ვისმინო, მწყერის ჭუკჭუკი,  
ტოროლას სტერნა დილისა,  
მამაპაპური სიმღერა,  
გულში ამშლელი ლხინისა.  
გამაგებინე შრიალი  
ახალმოხდილი ჭურისა,  
კიდევ გავიგო სურნელი –  
ახალგამომცხვარ პურისა.  
კიდევ, მაჩვენე სიკეთე,  
გლეხურად წოლა-ძილისა,  
ოქტომბრის თვეში, უცეცხლოდ,  
წამოდუღება ლვინისა.

„ქართული სუფრა გაშლილი, –  
ქართველი ქალის ხელითა...  
ლვინით ავსილი ფიალა,  
მისი ღანვების ფერითა“.  
არა, არ მინდა, უფალო,  
ოქრო და ვერცხლი გრეხილი,  
ზამთარში მომკალ, თუ, მომკლავ,  
არ წავალ – გულ-გატეხილი...“

ნეტავი...

ფარნა რაინას!

ღმერთმა გიკურთხოს, სიტყვა და  
ლექსი, ნაფიქრი გულისა,  
რომ მოგვიტანე სურნელი  
თუშური გაზაფხულისა.  
თუშეთის მთებში გაზრდილო,  
ვერ შეგვედრება, სხვა, კაცი,  
ილიას ფიქრი მგონიხარ,  
და დიდი ვაჟას ძმაკაცი.  
მოხვედი ლექსის გრიგალი, –

იმედად ქართვლის გულისა,  
არ დაგიუანგდეს კალამი, –  
ნამალი, ჩვენი წყლულისა.  
შენს ბრძნენაცობას უმღერის  
ცაში ვარსკვლავთა კრებული,  
გამოგყოლია სიდინვე  
და სიამაყე მთებური.  
შენი სიბრძნე და სიტყვები  
ასხივდა ყველგან, ამზევდა,  
ნეტავი, შენი ბადალი  
კვლავ გაჩნდეს ქვეყანაზედა.

27



### 300 არაგველი

თქვენს გზას მივტირით, არაგველებო,  
დღესაც თქვენს სახელს ფიცავს ქართველი  
და აელგარებს თქვენს ვაჟაცობას,  
დღეს, რომ დაგვნათის სხივი ნათელი.  
რა გული გედგათ, რა ძალას ფლობდით,  
თქვენ, საქართველოს ღვიძლი შვილები.  
როგორ სჭირდება, დღეს, საქართველოს –  
თქვენი სიმტკიცით გამოზრდილები.  
ერთი ასზე მეტს ეომებოდით,  
ყველა იბრძოდით, მთების ჯიხვივით,  
მონატრებია, დღეს, ნამდვილ ქართველს  
თქვენი ხმლების ხმა, ცხენის ჭიხვინი.  
ძალას გმატებდათ: სარწმუნოება,  
ენა, მამული და ქართველობა.  
რა ძნელი იყო, მაშინ მეფობა,  
და... უფრო ძნელი – არაგველობა.  
ახლაც გვჭირდება თქვენი სიმტკიცე,  
და, თქვენნაირი – გული, ქართული,  
რომ დავიბრუნოთ ქართული მინა  
მტრებისგან, ბევრჯერ, შემოძარცვული.  
მაგრამ, გვაკლია რაღაც, მთავარი...  
ალბათ, ამიტომ, გავიწირებით,  
არ გვყავს: დავითი, აღარც – თამარი,  
აღარც – ერეკლე, აღარც – გმირები...





ანი  
რაინაული

תְּלִימָדָה

የኢትዮጵያውያን አጭርና ማስተካከል የሚያሳይበት ተቋማዎች እኔ, ከዚህም የፌዴራል

ରୀମାର କ୍ଲାବନ ବାବ ?  
ରୀମ ମିଳନଗ୍ରେଗ୍ରେ ଫାରୋଇନ୍‌ବୁନ ରୀମ ଶ୍ୟାମାତୀର୍ଥ ପାଦମରଙ୍ଗନ ପୂଜାରୀ  
ବ୍ୟାପକର୍ତ୍ତାଙ୍କ... ଏହି ମିଳନରେ ଶୈଖି ଠକ୍କାରୀରେ ଫାରୋଇନ୍‌ବୁନ୍‌ରେ,  
ଫାରୋଇନ୍‌ବୁନ୍‌ରେ ଏହି ପୁରୁଷର୍ତ୍ତ, ମେ ଶୈଖିଲେଇ ପାଦମରଙ୍ଗନ  
ଅଧିକାରୀ, କର୍ମଚାରୀଙ୍କରେ.

### ၃. ကောက်ပွဲမှု

**ქალბატონ გართას, გვვენილ პეტიას, რომელსაც, ახლა,  
გხოლოდ სიზმრებში ვხვდები**

ისტორია, თუ როგორ დარჩი, ჩემს კედელზე, ლამაზ შავ-თეთრ ფოტოდ.


ტირილით გამეღვიძა იმ სიზმრიდან, რომელშიც მიღი-  
მოდი.

მაშინ, კიდევ, მქონდა იმედი, რომ ეს სიზმარი ამიხდებოდა;

რა გულუბრყვილო, როგორი სევდიანი ვიყავი,  
მჯეროდა სიტყვების, ემოციების...

შენიკ მჯეროდა

შენი ისტორია ლამაზად მტკიცნეულია, ცხოვრება, რომე-  
ლიკ ხელით დაწერუ, –



ანი რაინაული

მაგრამ... მიჩნდება კითხვები, ეჭვები, ამდენი დარღი - ბედნიერი იყავი? – ზუსტად არ ვიცი, გულში ინახავდი და, სულ,

კვლავ, გაბრაზებული ვარ სამყაროზე, თითქოს, დაგივიწყეს, საკუთარ დარღებს მისცეს თავი,

მეც მავინდები, ზოგჯერ, და... ვძრაზობ,

ცხოვრება როგორ უნდა გაგრძელდეს ასე, ჩევულებრივ, როცა აღარ ხარ?  
რა მარტივია დაიკინწყო და სურათიც გადამალო უჯრის წყვდიადში... არ მინდა შენი  
ასე კორი, უსარკოობა!

დასრულობას დაუკავშირდეთ, მე შემიძლია გავიშვა. თუმცა, არა სრულობით.

- 888 -

ՀԱՅ ԾԱՀԱՅՈՒ,  
ԹԱԿԻՍՈՎՑԻԱՐ.



## ნუ გეშინის\*...

ჩემქალო, არ შეგეშინდეს! – სადღაც ხეებს შორის გაისმის ხმა;  
გაფერადებულ ბილიკს მივყვები, –  
ტყეში რომ გაჩენილა.  
ეს ხმა თბილია და ნაცნობი –  
ისეთი ნუგეშია არასოდეს, რომ არ მთავრდება.  
და... მხოლოდ, არსებობაში არსებობს.  
ხეები მაღალია და უკიდურესად ცოცხალი...  
ტყე სუნთქავს.  
ჩვენც ვსუნთქავთ, თან ძალიან ნელა მივაპიჯებთ სილრმეში,  
მზე ხეების კენწეროებს შორის კრთება და თავს გვახსენებს,  
მე, იმედით ავსებული, შევყურებ მათ ზურგებს, წინ რომ მიიწევენ. როგორ მენატრება  
და როგორ მაკლია ახლა ორივე.  
მწვანე ბალახის ლეროზე პატარა მარწყვებს ვკინძავთ, მარწყვის სიტყბოება გვაქვს  
ტუჩებზე.  
ხმა, ისევ, მკაფიო და თბილია,  
არაფერია ხელის სითბოზე უფრო ნაზი და მშვიდი. მჭიდროდ ჩამკიდებს ხელს და  
წამიყვანს,  
მასაც წაიყვანს,  
ორივეს ხელს ჩაგვჭიდებს და ტყის ულამაზეს ნაწილში მიგვიყვანს,  
„არ შეგეშინდეთ, მე ისევ აქ ვარ.“  
ხმა მეხუტება და სულში შეაღწევს.  
ხეებს შორის ნელა მივიწევ წინ, ჩემს ლანდთან ერთად,  
თვალებს დავხუჭავ,  
მის ხელს ვეყრდნობი.  
„ჩემქალო, ნუ გეშინის.“  
„არა, არ მეშინის.“

\*(თუშური კილო) ნუ გეშინია



თუშეთი. მხატვარი თენგიზ მირზაშვილი



କାତାଙ୍ଗ  
ପ୍ରକାଶନ

30



## თუ ამ დათესე სიყვარული

თუ არ დათესე სიყვარული – სიკეთით სავსე,  
არ დაამჩნიე სილამაზე შენს ქვეყნად მოსვლას,  
თუ არ დაუდექ გვერდში შენ ძმას – თუნდაც მეგობარს,  
არ დაეხმარე ჰაერივით სჭრდები როცა!

თუ თავს ვერ სწირავ სამშობლოსთვის, არ გიცემს გული  
ვერ ჩააქსოვე გულში დიდი, ძლიერი სული,  
ვერ დაუდექი შვილებს, როგორც მყარი კედელი,  
ვერ გამოდგები, მაშინ, ღამის კარგი მთეველი!  
თუ ვერ ასწავლი, მამა-პაპის ძლიერ სიყვარულს,  
იმ ტრადიციებს, რითაც მუდამ კაიკაცობდნენ,  
ალალი გულით და სპეტაკი ჰატიონსნებით

თავი მოსწონდათ და ოჯახებს ერთურთს ანდობდნენ.

თუ ვერ ასწავლე ცხოვრება და სირთულე მისი,  
ცხოვრებას შესძლებს შეიყვარებს ოდესმე, განა?

თუ ვერ ასწავლე, „რომ ხატია ჩვენი სამშობლო,  
და სახატე კი, – სალოცავი მთელი ქვეყანა.“

მაშინ რა არის შენი ყოფა წუთისოფელი,  
თუ ვერ ალიქამ ჭკვიანურად, მეტად ბრძეულ ნათევამს,  
ისეთი ხიდი უნდა დადო და გაიარო,  
რომ მომავალი შენს გაკლილზე აუგიას ალმართი!

ကျော်စွဲရှင်

თენდება, – ღიმილით იქსება სიცოცხლე, თენდება, – ეს გულიც სიამით იქსება, მიხარის, – შევყურებ გულდიდა მომავალს, – იმედით ვივსები, – ამშვენებთ ლირსება. შევყურებ მტკიცე და აზრიან სახეებს სიხარულისგან ცრემლი დამდენია, ღმერთო, გზა უჩვენე, სულ სწორად სავალი, სანთლად ანთებული, ვხედავ, რამდენია! ღმერთო, გაუმართლე, მიეცი სიკეთე, სამშობლოს ზრუნვაში აროდეს დალლილებს, მიეც სარბიელი, – ჩვენთვის სანატრელი მგზნებარე ოცნებით – იმედს რომ აღვივებს. მიეც გამარჯვება, ყველას, ვინც კარგს ლამოძს, ვის გულსაც უბრნებინავს სამშობლოს სახელი,

ଅବ୍ୟାକ୍ରମ ନେଇଲି ଦା ପ୍ରାଣିକାଳୀମ୍ବି  
ମୋହାରୁ, ହାତିନ୍ଦରାଜ ତିର୍ଯ୍ୟକ,  
ମୋହାରୁ ଦା ମୋହାରୁର୍ମହିଂ  
ନ୍ଦରେଇ ଶ୍ରେଷ୍ଠତାକି ଉତ୍ସନ୍ଧିକ ଶ୍ରମ,  
ମୋହାରୁ ଆଶିକଣ ବ୍ୟାପକମ୍ବିଳ,  
କୁର ପାଶ୍ଚିମାତ୍ରାକ୍ଷ୍ଵା, ଅନ୍ତର୍ମିଲିଙ୍ଗ,  
ନ୍ଦ୍ରୀକ ମୋହାରୁର୍ମହିଂ, ନ୍ରମତ୍ତ୍ଵ,  
ଦା ଶ୍ରେଷ୍ଠ ମୋହାରୁର୍ମହିଂ ଏହି ପ୍ରମାଦ!

## 6. ქურნაკიძე



## ნათელი ქურციპი

ვის გულსაც ანათებს, მუდამ, სიყვარული, –  
ვის გულშიც ანთია სიწმინდის სანთელი.

၃၁၈

შენ ქალი ხარ, – ამ ცხოვრების დედააზრი, შენ ხარ, ჩვენი ღვთაებრივი სამყარო: შენით ვხედავ ამ ცხოვრების ლამაზ ფერებს, მსურს ეს გული მაგ ფერებით დავლალო. შენ ამ ქვეყნად შუქურა ხარ, ქალად ქმნილი, მოვლენილი ქვეყნად ლამაზ სიცოცხლედ, სათავე ხარ, – უკვდავების, შენს გარეშე სიცოცხლე არ იქნებოდა იცოდე! შენით ცოცხლობს ეს სამყარო, ცა და მინა, შენით, – დილაც ბედნიერი თენდება, ძალა შეგწევს საოჯარი სიყვარულის



შენით, ფუძე ოჯახები შენდება!  
ანათებ და... მზის სხივევით ლამაზი ხარ,  
შვილებზე და სიყვარულზე მლოცველი;  
შენით ნათობს ცხოვრებაში ყველაფერი, –  
გული დაგაქვს სიყვარულის მთოველი.  
როგორც ქალი, – ნაზი ხარ და მეტად სათნო  
მაგრამ: დედა, – ძლიერი და მეპრძოლი?  
თუ გაჭირდა, შვილებისთვის ძუ ლომი ხარ,  
ვინ გაპედავს, წინ დაგიდგეს რომელი?

## მენატრება ჩავშვობა

ის დღეები მენატრება  
როცა ბავშვი ვიყავი,  
დამრჩა, მხოლოდ მოგონება,  
ზოაპრად დამრჩა ის ხანი.  
ის სურნელი მენატრება  
დედის თბილი უბესი;  
ჩახუტება მენატრება,  
მოფერება, ნუგეში!  
დარიგება მენატრება  
ჩემზე ზრუნვით დალლილის;  
მისი, – „შვილო“, მენატრება, –  
ჩემი, – „დედას“ ძახილი.  
მაგრამ ნატვრა, – ნატვრად რჩება  
გაქრა დროის ხავერდი;  
ყველაფერი დრომ წაილი  
და... მეც ლამის დავბერდი!  
ამიტომაც, ყველას ვურჩევ,  
მინდა, ყველამ გაიგოს,  
დედის დიდი სიყვარული  
წმინდა სანთლად აიგოს.  
დააფასეთ დედა, – ყველამ,  
ლამაზ საქმედ, ფიქრებად,  
თორემ, შემდეგ, ყველაფერი  
უკვე, გვიან იქნება!

## წყობისფერო

დრო მიდის უკანმოუხედავად,  
ისე მოკლეა წუთისოფელი,  
ზოგი ვერც ასწრებს უკან გახედვას, –  
წამია მხოლოდ მისთვის ყოველი.  
მიდის ცხოვრება და ვიცით ყველამ,  
ამ ქვეყნად, მხოლოდ სტუმრად მოვედით,  
ერთმანეთს მაინც არ ვუფრთხილდებით  
და სულს ვიმძიმებთ ისევ ცოდვებით!  
სანამ ვიცხოვრებთ ამ ქვეყანაზე,  
სჯობს სიყვარულით გვექნდეს ერთობა,  
დაე, სულ ყველამ მოვინანიოთ  
და უფალს ვთხოვოთ მოგვცეს შენდობა.

## ფეხის გული

დედის გული ერთადერთი, სანუკვარი,  
დღენიადაგ შვილებს თავს რომ ევლება,  
შვილებს უძღვნის ყოველ წუთს და მათ  
სიცოცხლეს  
თავს შესწირავს და მალამოდ ედება!  
დედის გული ვერ ისვენებს: ფიქრობს, ზრუნავს, –  
ყოველი დღე მათზე გარჯით მთავრდება,  
შვილებისთვის გზად და ხიდად გადებული  
იბრძვის, დაღლას არასოდეს ნებდება.  
ასე გარბის დრო და უამი სულ ყოველთვის  
დედა ხარობს, რომ უყურებს გაზრდილებს;  
უხარია, უფასდება ის ამაგიც,  
რომ აჩუქა თავის დროზე მან შვილებს.

31



## აავკრეც იერს აა გვირილებს

დავკრეც იებს და გვირილებს  
მოგალ, ჩაგიწნავ თმებში,  
მოვალ და მოგეფერები  
ოცნება შენთვის ფრთებს შლის.  
მოვალ აგიხსნი სიყვარულს,  
ჯერ გაუბედავს, ართქმულს,  
თავს მოგევლები, იცოდე,  
და შენ მოგიძლვნი ამ გულს!  
დავკრეც იებს და გვირილებს,  
გული მხოლოდ შენ გელის,  
გავილამაზოთ ცხოვრება, –  
გამომინოდე ხელი.

## შემოფენის ფერები

შეუცვლიათ ნირი ბალებს, –  
ნითელ-ყვითელ ფერებით,  
ვაშლისა თუ, მსხლის ნაყოფით  
დახუნძლული ხეებით.  
შემოდგომის ლამაზ ფერებს  
ალამზებს მზის თვალიც,  
მწვანე მოლიც, როგორ ბრწყინვას  
განთიადზე ცის ნამით.  
ვაზებს რქები დახუნძლიათ,  
ფეხზე ძლივსლა დგებიან,  
თითქოს სთხოვენ მიშველეთო! –  
პატრონის ხელს ელიან!  
ფოთლებიდან თავმომწონედ  
გვიცქერიან მტევნები,  
ქარვისფერად მოღალანე  
და ლამაზი ფერებით.  
ო, რა რიგად გამიხარდა  
ამ სიუხვის დანახვა;  
არ მოაკლო, ღმერთო, ჩემს ხალხს  
შშვიდობა და ბარაქა!..

№6 2024



## କ୍ଷେତ୍ରପାତ୍ର ଶିଖିବାରେ

32



## ალავერდისან ფერეიდნაშე

ალავერდიდან ფერებიდნამდე  
გოდებით მოგდევ გლოვის კედელო,  
რა სისხლის კალო გაგვალენინე,  
ქართველთა ბედის დამბადებელო!  
უკან მომბლავის გრემ-ალავერდის  
ნაძღულრ-ნალენი გუმბათ-თალები,  
იავარქმნილი და ცეცხლის გუთნით  
გადაბელტილი ედემ-ბალები!  
მილურსმული ვარ გულით ჯვარცმაზე,  
დალენილი მაქვს ოთხივ კილური!  
რა ულმობელი გახდა სოფელი,  
თვალში სისხლისფრად შემობინდული!  
ეკლის გვირგვინით ნაგვემი სისხლის  
მეც მოწესებურა მდუღარე ცავრი  
და ვით უხორცო, ვიმვი ხელახლა.  
სულამონვდილი და უშიშარი!  
გზა გზა ქართველთა ძვლები ვაგროვე,  
შემომაგებეთ გლოვის მგოსანნი,  
ლახვარდაკრულმა როგორდა ვზიდო  
ურვა-გოდების კრიალოსანი?!  
ობლის ცრემლებით შემომეტირა  
თათრის ნაგვემი, ჩემი ქართული,  
გულიდან ძალით ამოგლეჯილი,  
სისხლიდან ცეცხლით ამოშანთული,  
მაგრამ სულს ისე დანატრებული,  
ტყივილშიაც კი წელგამართული,  
როგორც მთის წყარო წმინდა, კამიამა,  
სადღლაც შამბნარში გადაკარგული!  
მადლად მიიღე ღვთისმშობლის ცრემლი,  
სალბუნ-მალამოდ წმინდა გიორგის  
სამას სამოცდახუთი ნაწილი  
და დაფლეთილი სახსარ-იოგი!  
ნუ, არ დადუმდე ჰანგო ქართულო,  
გულს ნახუტებო, პაპის ფანდურო,  
უფლის ჩიტივით ტებილმოლულუნევ  
და ნინოს თმებით ამოქარგულო!

მექადვ, მიყვაროსთან, ძლიერო,  
ქართულ ვაზივით ხნიერო,  
მაგ ნაშებარი გულ-მეცნიერ  
მიწიდა მტრის რისხვად იულვო!  
კიფევრ დაჭიშტებინ  
ყლორტები სისხლით ნაწვიბი,  
მაგ შენს ქორმალა ცოტებში  
შუდექ აგემს არნივი!

ଶ୍ରୀ ପାତ୍ରକାନ୍ତିକା

ପ୍ରତିବଳନ !...

სუეგ შენ გიხმობ, უფალო,  
ცრემლმა ნალექა იმედი!  
თუმცა, მე ჩემი გოდებით,  
ნეტა, ვის ავატირებდი?  
ვერ ამოვშანთე გულიდან  
ტკივილი განუკურნავი,  
როგორც უბეძი ნაზარდი,  
ყელს მოხვეული მცურავი!  
ვერც ქართა ქროლას მივანდე,  
ვერც პეშვით ამოვათავე,  
გულშივე დარჩა ტკივილად,  
მდუღარ ცრემლების სათავედ!  
ვუცქერ ნაწამებ მაცხოვარს,  
შებოლზე მიყვავის ეკალი,  
სჯობდა, რომ ავაზაკვით  
ბრბოს ჯვარზე მეც გავეკარი!  
თუ შავად შემრინისლები,  
ნენელი როგორდა ვათენო,  
გოლგოთის ცათა ზეკარით  
გადმომჩქეფარე ნათელო?!  
ტკივილში ვარ და, გათანგულს,  
წყლულებს მიძიძგის მიმინო,  
თასი ამიგსეთ ზედაშით,  
ტკივილი ამოვიგმინო!  
წყალი ვითხოვე, ბაგეს მცხეთ  
ლრუბლით ძმარი და ნალველი,  
გულშივე დარჩა ტკივილი,  
გულიდან ამონალერი!  
გინდ ტაძარს კარად შეაბი  
სისხლმჩქეფი გულისფიცარი  
და გინდა შეუზგარაკე  
სიცოცხლე, დასაფიცარი,  
რაც უნდა ეკლის გვირგვინად  
შუბლს ქაცვი შემოიწანი,  
ტკივილს ვერ გაგირგილებენ  
ეს დალოცვილი მინანი?  
სისხლდანრეტილი საგულე  
კვლავ ლვთაურ ცეცხლით იქაუ  
ნეტავი, ასე დავრდომილს  
აღდგომა თუ მელირსება?

## შენ ხარ ვენახი!

სპობდა ურჯულო და უსახური,  
მეჩურჩულება ვაზის შრაილი,  
რაც ამ მინაზე, უფლის კურთხევით,  
არის ლამაზი და ჯოშანი!  
ბეჭდახანძეული ვწევარ მინაზე,  
მკერდს მინგრევს გრძნობა,  
გულში ნადები,  
მიწიდან პაპის მომძახის სისხლი  
და ამ ძახილით გეღალადები!  
ვერ დაგაოკე ციხის ნანგრევში  
შიგ ჩაქოლილო სისხლის ნაკადო,  
ტორებზე დგები უხედნ კვიცივით,  
რომ ქვათა სევდა ცას შელალადო!  
უკან მოგდახის პიროფლიანთა  
სულთა სავანე – სამსხვერპლო წმინდა,  
და უხვად მოჩქეფ ღვთიურ ზედაშედ  
და მირონმადლად საუფლო ხიდან!  
შენ ხარ ვენახი, შენ ხარ ვენახი,  
ოტებულ სულთა სალბუნ-ნამალი,  
ჯვარცმულთა სისხლის თანაზიარი,  
კიბე საუფლო ცადამავალი!  
შენ ხარ ვენახი, რტოები შენი  
ქალნულის თმით და უფლისა ნებით,  
ქართველთა ხსნად და გზად ამაღლების  
ჯვარად ნაკურთხი და ანაგები!  
შენ ხარ ვენახი, ედემად რგული,  
მკერდზე მიქარგე შენი რტოები,  
მიიღო მსხვერპლად სისხლი ამ გულის,  
ზედ საზედაშე მტევნად მოგები!  
ოდეს ინებებს დამბადებელი,  
ჩამიქრეს მზე და თვალთა მზერანი,  
გულს დამესვენოს დამუქთებული  
მაჯა-მარჯვენა და სატევარი,  
საიმეჯვინო მირონ-იაზმად  
გულს დამანურეთ ოქრომტევანი,  
ვაზის ჯვარით და ვაზის ფოთლებით  
შემიმკეთ კუბი და ტახტერევანი!  
რომ საფლავიდან ისევ ვაფეთქო  
ახალ ყლორტების სისხლი მჩქეფარი  
ქართული სულის საგალობელი,  
ჩემი მიწის და მზის საქებარი!



## ელდარ ჭიჭიაშვილი

მერე მე მოგდექ უწყალოდ,  
როგორც მოსისხლე ვერაგი,  
მოგჭერ, სიცოცხლე მოგისპე,  
ცოდვაში ჩავდექ ყელამდი,  
არე მეგონა, შენს მხარ-ბეჭს  
თუ ასე გადავქელავდი,  
გაგთალე, მოგახარატე,  
ლოცვით და სისხლით გფერავდი,  
ეგ შენი გულის ფიცარი  
ტაძარს კარებად შევაბი.  
შენი გაშლილი მკლავისგან  
გავთალე ტაბიკ-უღელი,  
შევაბი ხარი ყევარი,  
მსხვილქედა, მუხლმოუღლელი,  
ხნული გავავლე ჩემს მიწას  
ზღვა მოსკვა ჭირნახულისა,  
მერე დავჯექ და ვიმღერე

სოფლის ლხინის და წყლულისა.

კალო ჩავშალე, გავლენე  
გათლილი შენი კევრითა,  
დიდი ბეღელი გავავსე  
ხორბლით და ნარკვევ ქერითა,  
ქორწილი გადავიხადე,  
სული აღვიგსე ლხენითა.  
შენი პაწია ნერგები  
ხატის კარს დავრგე რწმენითა,  
ქვევრით ზედაშე მოგართვი,  
კელაპტრით და საკმელითა,  
გეფერე, გზარდე, შეგეხე  
ამ მოსაჭრელი ხელითა,  
მუხლმოყრით გეცი თაყვანი,  
დამატებე შენი მზერითა!

.....  
მუხავ, მიყვარხარ, ძლიერო,  
ქართულ ვაზივით ხნიერო,  
მაგ ნამეხარი გულ-მკერდით  
მინდა მტრის რისხვად იელვო!  
კიდევაც დაჯიშდებან  
ყლორტები სისხლით ნაწვიმი,  
მაგ შენს ქორბუდა ტოტებში  
ბუდეს აიგებს არწივი!

## ვინ დააკუთ...

### მუხავ!..

მუხავ, რად აგრე მარტოობ,  
ნასეტყვო და ნაავდრალო?  
სალი კლდით გადმომზირალის  
შეუვალ ციხის სადარო!  
ქართული მიწის ძარღვო და  
მისივე ბედის ზიარო,  
მასავით გაუტეხელო,  
მასავით მრავალმტრიანო!  
მეხმა ხომ გმეხა, გაფლითა  
ტანზე მკერდი და პერანგი,

ვინ დააკუთს ძველთუძველესი,  
უფლით ნაკურთხი სისხლის ჩერერალი,  
ჯვარს რომ აცვეს და ცეცხლი აყარეს,  
მაგრამ სანადელს მისწვდა ვერავინ!  
სხვამ ვინ შეუთქვას თავი ზვარაკად,  
უფლის გულამდე კიდევ ვინ ივლის,  
შეეზიაროს გოლგოთის კალოს  
დამყუჩებელი ყველა ტკივილის?!

მზარაეს დაცემულ ხეთა გოდება,  
სადღაც ითლება ძელი საჩემო,  
აზვირთებული ბრბო მოქუხს ჩემეკნ,  
რომ ჯვარზე მაცვას და შემაჩვენოს!





სხვამ ცათა შინა დასცეს კარავი,  
ტანთ ალიმოსოს კვართი უზადო,  
მე მინის ტკივილს გაფუხსნა გული  
და სისხლის ყივილს მსხვერპლი ვუმზადო!  
ნუ იტყვი „მიყვარს“, თუკი ტკივილი  
გულს არ გიყორტნის, როგორც მიმინო?  
გამიხსენ გული, რომ გესალბუნო  
და სიყვარული შემოგლილინო!  
მე ჩემმა ოფლმა მირწყულოს ძვლები,  
გულზე სალენად მიმზადოს ულო,  
სხვამ ბაგე-პირი აიყირმიზოს,  
ოქროს სამურვლით თმა დაიურვოს!  
მე ეკალნული მიმკეთ სარქმელად,  
სისხლმა წალეკოს შუბლი სპეკალი,  
გადამიმტკრიეთ ორივე მელავი,  
ზეციდან ზართა ჩამომრეკავი!  
სხვამ სასახლეში მოირთხას ფეხი,  
სული მიაგოს ვერცხლის გირაოდ,  
მე ბებერ ციხეს ვუსინჯო ფხა და  
დანგრეულ ტაძრებს ველოლიავო!  
ამ მინის მადლით მიდუღე სისხლი,  
გულზე მომკიდე სახნის-ერქვანი,  
სანამ ზეციდან მოჩქეფს წყალობად  
უფლის სამრეკლოს ზართა რეკვანი!  
სანამ ამ მინის ნახანძრალ ზურმუხტს  
წმინდა ქალწულის ედემი ჰქეია,  
სანამ მამულში ქვითინებს ვაზი  
და დედის ცრემლზე ამოდის ია!

## აწვიმს ზერქიხეს

აწვიმს ბერციხეს, ალბათ ზეცაში  
ისევ ცრემლობენ ანგელოზები!  
უფალო ჩემო, მოვსულვარ შენთან,  
შენს სასოებას ლოცვით მოვები!  
ჩამომეუამა სულის ტრამალი,  
რით რა ვუწამლო ბნელსა და ხრიოქს,  
ვუცდი განთიადს, ბროლის მკერდიდან  
თალხი საკინძე ჩამოიხიოს!  
ვეღარ ინათა, ცის ამბიონზე,  
ისევ ცრემლებით იწყება დილა,  
მზე, ვით ხოხობი, ფრთამოტეხილი,  
უცხო მხარეში ჩამოვარდნილა!  
ნამისად მომწვდა მონატრებული,  
თაკარა სხივთა უცხო სილალე,  
ის, რაც ბორგავდა სისხლის დუღილში,  
დამისხლტა, გულში ვერ შევინახე,  
და ახლა დადის კლდე-კლდე, წყალ და წყალ  
და ნანგრევებში დაეხეტება,  
მიდის მიაპობს ნისლის უდაბნოს,  
უკან მოხედვაც არ ემეტება,

სან არწივების ჭვრეტს გადმოსახედს,  
სან ვეფხვთა ბუნაგს შეეფეთება,  
და ძველთუძველეს სისხლის ყივილში  
ჰყევს რკინისმკვეთელ ხმალთა კვესება!  
მის ფეხთა ხმაზე დაგმანულ კარქებს  
აყურადებენ სარქოფაგები,  
საუფლო სანთლად მოჩანს ტაძარი,  
ჩემი სისხლით და ძვლებით ნაგები!  
ის კი, სამოთხის ბჭეთა მჭედელი,  
ცხრა მთა, ცხრა ზღვათა გულში დამტევი,  
დახეცტება გვირგვინაყრილი,  
ხელში მტრის სისხლით ნაწრთობ სატევრით.  
მტრით ნამუსრევი ბჭენი ლავინის,  
ამოუკემსავთ სამოთხის ჩიტებს,  
სისხლი მოურნავს გულის ლუსკუმას  
რომელიც ამდენ წამებას იტევს!  
დამხობილი ვარ მის ნატერფალზე,  
როგორც ქადაგი, ვინმე ბოგანო,  
ვემუდარები, უკან მობრუნდეს,  
რომ ჭრილობიდან სისხლი მოვბანო,  
თუ მობრუნდა და კვლავ ნათლისძებად  
შენ გყოს ემბაზად, ნაგვემო გულო.  
სხვა რა ვინატრო უფლის წყალობად,  
რომ ვეწამლო და მივესალბუნო?  
და თუ მზემ ისევ გაშალა ფრთები,  
და ცა სმარაგდე კვლავ მეცარგვალა,  
ჩემი ცხოვრების დარჩენილ დღეებს  
ამიერიდან დავწერ სხვაგვარად!

## ფანდურო...

რა ლეგენდებზე ულურტულებ,  
ჩემო ჰანგო და ფანდურო,  
ლამის მეხრეო, ფხიზელო,  
ცისკრით თვალამიბანგულო?  
გალობ და უფლის ჩიტივით  
გულთან მიკენკავ ტკივილებს,  
სან ცრემლით იბან ფრთა-ნისკარტს,  
სან ლაჟვარდებში ლივლივებ!  
სან მინას ებმი სახნისად,  
მიუთხრობ ერქვან-ჭაპანთა:  
რა ტკივილები იარგნეს  
იმქვეყნად მამა-პაპათა!  
ახლა ჩემი ვთქვათ სათქმელი,  
ბედო, ლოდინით ნაბურო!  
სან შვებას ვექცეთ ტკივილად,  
სან ტკივილს მივესალბუნოთ!  
ერთი ხარ, ჩემო უფალო,



ჩემო შვებავ და ტკივილო,  
 თუ ატირებულს გიხილავ,  
 მე როგორ ვიპირლიმილო?  
 მე შენი ბერიზვარა ვარ,  
 პატარა ხბო ვარ, სახარე,  
 შენ – ჩემი წმინდა საყდარი,  
 ჩემი ხატი და საზარე.  
 დედას ამსხლიტეს ძუძუდან,  
 ცრემლი იმედით ვაქარვე,  
 ყელს საკადრისი შემაბეს,  
 შენს კალთას შემომაფარეს,  
 ქედმონდრეკილი გეახელ,  
 ჩემო ლოცვავ და არაკო,  
 გულის ლუსკუმა გამიპე,  
 რომ სისხლი შემოგზვარაკო!  
 გადმოსკდი გულის ბარძიმით,  
 სისხლო, ჯვარ-ვაზის ბჭიანო,  
 რომ მამა-პაპის ფერფლისკენ  
 სიცოცხლედ გაიმზიანო!  
 წინ დამიფინე ნათელი,  
 უფლის ბილიკო, ბზიანო,  
 რომ მერე პურ-ღვინის მადლში,  
 ქრისტეს სისხლს შევეზიარო!  
 ან მზარდე შვინდა ხარივით,  
 მიმზადე გუთან-სათარი,  
 ქედზე ულელი დამადგი,  
 მუხის გულისა ნათალი!  
 შენი ტკივილი ვლოლნო და  
 ცრემლის გილოკო მარილი,  
 მთას ვზიდო ლოდი სატაძრე,  
 ვაბრწყინო შენი არილი!  
 კარგ ყმას ვეცალო ულელში,  
 ჯვარცმით ავლიო გოლგოთა,  
 რომ სასოებად ვესაგზლო  
 სოფლის ქვრივ-ოხერ-ობოლთა!  
 მერე კი... მერე სიცოცხლე  
 გასრულდეს, როგორც წესია,  
 შვილიშვილებმა მოიმკონ,  
 პაპას რაც დაუთესია!

## ქვაკვარი

ჯვარი იყავ და ქვად მექეც,  
 თუ ქვა მექეცი ჯვარადა?  
 ქვათუმძიმესი ცოდვანი  
 ქედზე რად მომექამანდა?  
 მოგყვები, გზად ფეხთმეგები,  
 მხვევია ჯავრის ჯარანი,  
 ცრემლმდუღარებით ამევსო

მირონ-ზედაშის მარანი!  
 თითქოს ამ გულის სართხმელად  
 ძელთა ჯვარს არა ვჯერობდი,  
 მწვავდი და მაინც ნაშანთი  
 ისევ შენ შემოგმლეროდი!  
 მიმრავლე, გულის სიწმინდით,  
 მადლისა წდეთ ვინ მიწოდა,  
 უფალო, წრე და გვირგვინი  
 მიკურთხე საწელინდოთა  
 მწედ მექმენ, შეუწევარსა,  
 წუნთა შედებად წიდისად,  
 ლირწადა და უწმინდურთათვის,  
 წმინდისა წინა ვინ დისა!  
 მაწვია სევდა საწუთრომ,  
 წელმა წარსულმა მრავალმა,  
 წამიღო წიაღ წუხილთა,  
 მთრგუნა და გამეთამამა,  
 მაინც ვერ ვთმე და ვეურჩე,  
 მიდევნა ბილიკ-შარამა,  
 ყელზე თოკმობმულ ხბოსავით,  
 წაღმა-უკუღმა მავალმა!  
 ვაი, რა ძნელი ყოფილა  
 სავალი უილაჯოთა,  
 ეკლის თაჯსარქმელიანთა  
 ლენვა სისხლ-ოფლის კალოთა!  
 ეს წყალნიც, მიმომავალნი,  
 გულს მიფონებენ, მგონია!..  
 მათი ნაშალი ქვიშანი  
 ყელამდე შემომტბორვიან!!  
 გულს მახვევია ტკივილი,  
 ვით დედაფუტკარს ნაყარი,  
 ჯვარს მიტომ ვეცვი უფალო,  
 რომ შენთვის მეცა თაყვანი!  
 გავძლებდი, მინად, ნაროზგი  
 ჯვარცმით საკირის ხვატამდის,  
 მინდვრის სურნელით დასუსხულ  
 ყვავილს თუ თან ჩამატანდი!  
 დამბადე, სული შთამბერე,  
 მწიე სიწმინდის მზებუდობს,  
 ქვაჯვარს გამაკარ, ქენჯნილი,  
 რომ სვეტად შემოგეყუდო.



## ნიკოფილიან ფარუბანდამდე

სისხლის ცხელტბორმა მონატრებული,  
 ცეცხლის ალივით ლოკა ლაშვარდი,  
 ნახდა ლაგამი, უინაწყვეტილი,  
 გაცვდა ჭენებით უზანგ-ავუანდი,





გადამიარა ცხრა ზღვამ, ცხრა ცეცხლმა,  
სულის ვნებათა მხანძრა საკორემ,  
ვეცადე, მაგრამ ვერ ავირიდე,  
ტყივილებს ვერსად გავენაპირე!  
გზა-გზა გულიდნ ვფინე შზეცვარი,  
მომდევდა რისხვა და ბრბო უგვანი,  
უფლის შუბლს ძონად ჩამოვეზანი,  
ეკლის გვირგვინით დანაგუპარი!  
კვლავ გულის სისხლი ვფინე გზადაგზა,  
ჩამოვიქუფრე თავზე ზეცანი,  
რომ მემცნო ძმათა უმეცართათვის,  
სალმრთო დიდების გზა და მემცარი!  
ფარს აღარ ვფარობ, ორი ჯავარდნით,  
მივკვეთ სისხლის და ცეცხლის უდაბნოს,  
რომ მამას, ჯვარცმულს, ეკლის გვირგვინი,  
ცრუმლმარგალიტით გადავუდაფნო!  
მე კი კვლავ ხელში შემრჩა ჰოროლი,  
ქოსთა და დაფთა მესმის გოდება,  
სხვისი კუტით მაქვს სავსე ორომი,  
მაჯას მიხელებს ხმალზე ბოდება!  
ვიღაც მოდის და იქედნურ ლიმილს  
გოლეულებად იფენს ბაგეზე,  
უნდა, ხმლის პირზე მასწავლოს როკვა,  
მე კი გულის ხმას მივდევ ანდეზე!  
გულს შიგნით მესმის შენი გულის ხმა,  
ციდანაც მწვდება შენი გუმანი,  
უფალო ჩემო, ისე მწყურიხარ,  
როგორც დავრდომილს, სალბუნ-მეურნალი!  
გაროზგილი და ჯვარზე გაკრული,  
უპოვარი და არასმენები,  
ეკალწნულიდან მომდინარ სისხლით,  
კვლავ მართალო გულში გვესასოები!  
ნიკოფსიდან დარუბანდამდე  
და გულგულადან არაგანამდის,  
ქართველთა გლოვა, სისხლი და ცრემლი  
დაისრულ გულზე არაგვნელად ჩამდის!  
ბახტრიონ ციხეს ნადიდგორალი,  
უკვდავებასთან სვე-წილნაყარი,  
ვიხმე სულები, ხმალშემართული,  
გავხელდი როგორც მთვრალი მაყარი,  
მომხდური ვულიტე დედანულიან,  
ავშალე, როგორც ფუტკრის ნაყარი,  
მათი ძვალ-ხორცის ჭერასთი ვავსე  
ილტო-ალაზნის წყალშესაყარი!  
ებლა რომ მყავდეს დიდი დავითი,  
მქონდეს ხევსურეთს ხმალი ნაჭედი,  
გლოვის გალობანს სისხლის მელნით და  
დათვიფერულის წვერით დავწერდი!  
თმოგვის ციხიდან ტაო-ოშკამდე,

ბახტრიონიდან შატილ როშკამდის  
ხოგაის მინდის უძინარ გორდას  
მტრის ძვალზე ყეფით ჩამოვროკავდი!  
მაცნეს ვაფრენდი არლუნ-არაგვზე,  
დაიქუსებდა შატილ-ახადი,  
აიშლებოდა ხალდე, ენგური,  
თეთნულდი თეთრად ჩამონახატი!  
ძმის გული ძახილს იგრძნობდა გული,  
აზვირთდებოდა თერგი-არლუნი,  
შეუპოვარი, როგორც შამილი,  
მრისხანე, როგორც ბაისანგური!  
დარისხდებოდნენ საზარევები,  
იდიდებოდა ნიძი, ჯვარ-ხატი,  
კავკასიონის ზგარაჟ-ხარლალთა,  
პიროფლიანთა ხორუმს უნახავდი!  
გადავძახებდი მესხთა, ჯავახთა,  
ბექბრტყელ, საროთა, პირმანგჯავართა,  
ჭირთა დამთმენთა, გაუტეხელთა,  
შავლეგო ბიჭის ჩამომავლთა!  
აბლავლდებოდნენ ზარზმის ზარები,  
ოქროს ციხე და ციხე ზანავი,  
ხმას მიაგებდნენ და ცას შეძრავდნენ,  
ხორნაბუჯი და ციხე მანავი!  
გრიგალს ატეხდნენ, უფლის ტახტამდის,  
ალავერდის და მცხეთის ზარები,  
სულთა ლიცლიცით გაპრწყინდებოდა  
დავით გარეჯის ოქროს კარები!  
ააა! მაშინ რაღა მომკლავდა, ანდა  
რას ვიდარდებდი, რას ვინალვლიდი,  
უფლის დიდების და ნეტარების  
თვალზე მომდგარ ცრემლს  
უხვად დავლვრიდი!  
დაიძვრებოდა დიდი ლაშქარი,  
დიდგორს შეძრავდა დიდი დგანდგარი,  
წალეკა მომხდურს რისხვის ლვარცოფი,  
ცეცხლის წვიმა და სისხლის ავდარი,  
ჩამოხანძრავდა ხმალშემართულთა,  
ცხენ-კაცთა რისხვის შეკივლებანი,  
ერთურთს ხმალდახმალ შეებმებოდნენ  
ჩემი ჩანგი და მტრის დაფ-ებანი,  
დაგუბდებოდა სისხლის მორევი,  
მაჯას დალლიდა ხმალთა ქებანი,  
დალუმდებოდა ბრძოლის ყიუინა,  
და დაცხრებოდა რისხვა-ვნებანი!  
ახლა, რა? ვზივარ, ოცნების კოშკებს  
ვაგებ და გულში მივეძრახები,  
საით წახვედით, ალგეთის მგლებო,  
ვინდა იქნება თქვენი მნახველი?



ଶ୍ରୀ  
ପାତ୍ରକାବିଲୀ

ჩემის კარძნებ უხვად არის  
გვირილები, — ღიფებულა,  
წრომთვალია შეტემ ეჭყორბ  
შეს გვირილად მიგულა!

## 6. ճամասթվունո



၁၁၂

ჩვენო ტკბილო საქართველო,  
იბრძყინე და იდიდე,  
გამარჯვება სიკეთისა, –  
მატულობდეს დღითი დღე!

მომავალი შენი არის  
ხალისით რომ ივსება,  
რწმენითა და სიხარულით  
გულით დაძვთ ლორსება.

მზესთან ადის ოცნებები  
სიყვარულით გამთპარი,  
სულ, მშვიდობით ამყოფოს  
საოჯნებო მთა-ბარი!

ქართველობა

შემოდგომამ მოგვიტანა  
 ჭირნახული ბევრი,  
 თავს იწონებს ჩურჩხელები  
 აბუტბუტდა ქვევრი.  
 შემოდგომამ მოგვიტანა  
 სიხარული გარჯის...  
 იღიმება: ვაშლი, მსხალი,  
 ბრონეულიც – მარჯნის.  
 მალე, ფოთლებს მოქარგავენ:  
 მზის ოქრო და... ვერცხლი;  
 თბილ ქვეყნებში მითონავენ, –  
 მნ კრივი მოხანს მერკელის.

ჭრიჭრნერი

მთელი ღამე ჭრიფინებენ:  
 ჭრიი, ჭრიი, ჭრიი,  
 ვერ შეკერე, გვითხარი,  
 ამდენ ხანს რომ ჭრიი!  
 – რას უკერავ ჭრიფინებს? –  
 – ახლოს არის ზამთარი,  
 ხან დროს, ჩაიძინებენ  
 ნაზ სამოსში ჩამთხარი.  
 ნიჭმა თავი იჩინა, –  
 მ იურავია ჭრიფინა!

ጀመንዳዊ

ამოვარდა ქარაშოტი, —  
ხეებს ძარცვას რა რიგად...  
ხეს ნაყოფი შეარჩინე, —  
მზის თვალიდაც ის არიგა!



ზღარბმაც ველარ მოითმინა, –  
ქარო, ნუ გააშრდები,  
გვეყო, რაც ჩამოყარე  
ქარვისფერი ვაშლები.



## მარიამი

### ვუძლვნი პანია მარიამ მთვარელიშვილს

38



პატარაა მარიამი,  
ცეკვას, მღერის, ვარჯიშობს,  
კარგი გოგონა არის და...  
რომ თამაშობს, არ შიშობს.  
დედას, ამბობს იგი, უკვე,  
მამას, ბებოს, პაპასაც,  
ნაბიჯ-ნაბიჯ, რომ ტაატობს  
რა ქნას? – არის პატარა!  
ახალ წლისთვის გაივლისო,  
არის დიდი იმედი...  
რომ თქვას – ლამაზ ნაძვის ხესთან  
ჩემი ფეხით მოვედი...

## პატარა ზაფხული

გვიანი შემოდგომაა  
მაგრამ, რატომლაც ცხელა...  
პატარა ზაფხულს მაგონებს –  
დედიკოს ჰერთხავს ლელა!  
მზე, სიყვარულით აღსავსე,  
ასე, რამ გაახელა?..  
ზაფხულიც წავა, – პატარა,  
ხან, ასეთი რამ, ხდება...

## ზამთარი

მოფრიალებს ფიფქი-ფიფქზე,  
თან, ცეკვავენ ვალსას,  
ზეცა იხდის ხვავრიელად, –  
თავის ზამთრის ვალს.  
გაახარა პატარები,  
და... მიმოქრის გუნდაც...  
თოვლის პაპა უხმობს ბავშვებს,  
თამაში ვის უნდა?  
კოხტა ცუგამ ყური ცქვიტა,  
გავერთოთო ერთად:  
ზამთარია, – ქათქათელა,  
სავსე – სპეტაკ ფერთა...

## ახალი წელი

მოდის ახალი წელი, –  
რწმენით იმედით სავსე,  
ჩვენს: გულებს სიხარული  
და სიამაყე ავსებს.  
მტრედები ფრენენ ლალად,  
ცა იყოს, მუდამ მშვიდი:  
ცისარტყელამ კი ზეცას  
ფერები სჩუქნოს შვიდი.  
ნარმატებები იყოს –  
მუდამ, მეგზური ჩვენი,  
ახალი წელი მოდის, –  
და... სიხარული გვშვენის...  
ფიფქებს ცეკვა აქვთ ცაში,  
ფრიალ-ფრიალის ჩენით...  
მშვიდობა, კარგად ყოფნა, –  
ეს, ნატვრა არის ჩვენი...

## მზის სიყვარული

მზემ ასე თქვა: ჩემს გულში  
სიყვარული დამაქვსო,  
არასოდეს, არვისგან  
არ მოვითხოვ ამაგსო.  
შეგიძლიათ – მიმღეროთ,  
ლექსები თქვათ, დამხატოთ,  
ჩემს ფერხულში ჩაებათ:  
ზურა, ნიკა, და ნატო.  
და თუ დავიგვიანე  
და დღე ჩემით არ ნათობს,  
დამიდახეთ, გამოდი,  
მზეო, მზეო, ნანატრო!



### უაღრესად დიდი, ეროვნული და სასიცოცხლო საქმე

ყველა ჭეშმარიტი ქართველი, დღეს, ამ, გლობალური და ძნელბედობის უამს, ჩვენი მრავალტანჯული ქვეყნისა და ხალხის ყოფნა-არყოფნის ბედით არის დაინტერესებული, დაკავებული და გულანთებული.

საათობით მიხდება, ხოლმე, საუბარი ძალმომრეობით ამღვრეულ ეპოქაში, ჩვენი ნაწილ-ნაწილ მიტაცებული მიწის და ბეწვის ხიდზე მოსიარულე ერის ბედზე – ჩემს თანაკურსელთან და მეგობართან, სამშობლოს სოფელულში ყელამდე ჩაფლულ – უიულენ ყარაულაშვილთან.

ერთ-ერთი, მორიგი საუბრის დროს, გაიხსენა, რომ შემონახული ჰქონდა ან განსვენებული, სახელმძღვანი მწერლისა და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ძველი მსოფლიოს ისტორიის კათედრის გამგის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის – ლევან სანიკიძის უაღრესად საინტერესო წერილი, ჩვენი ერის გადარჩენისა და... ქვეყნის სახელმწიფო ბრიობის შენარჩუნებისათვის.

როგორც აღვნიშნე, წერილი სასიცოცხლოდ აქტუალურია, რომელიც გამოაქვეყნა გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ 1997 წლის 20 აგვისტოს (№202). სამწუხარო და სავალალო ის არის, – ხელისუფლებიდან არავინ ალმოჩნდა გულმდულარე და სულმდულარე ქართველი, რომ გულთან და სულთან მიეტანა ეს, – ერის, ქვეყნისა და ხალხის სასიცოცხლო საქმე...

კაბინეტებში ეკიდათ ჩვენი ღმერთკაცის ილიას სურათი, მაგრამ... სულ, არ ანაღვლებდათ – ილიაცა და... ილიას განსახიერება საქართველოც. უნებურად, გამახსენდა XX საუკუნის 30-იან წლებში გენიალური სტალინის სიტყვები: „არა, მარტო, იქ, საზღვარგარეთ, არამედ აქ, ჩვენთანაც, არიან – ეგრეთნოდებული, მოლაყბები, რომლებიც ლაპარაკობენ – ძალიან ლამაზად, გამართულად და... წარმოიდგინეთ სწორადაც, მაგრამ... საქმით კი სულ სხვას აკეთებენ, – ჯიბეში პარტიული მანდატი უდევთ და... პარტიის წინააღმდეგ იბრძვიან“... ძნელია არ დაფიქრდე და... საქართველოს ახლო წარსულის სურათი არ დაგიდგეს თვალწინა აქვე, გამახსენდა გაეროს ერთ-ერთი ექსპერტის იზუმი ნიკამიცუს სიტყვები: „50 წლის შემდეგ, მსოფლიოს რუკიდან გაქრებიან პატარა ქვეყნები, მათ შორის, გამორიცხული არ არის საქართველოც“... ამიტომ, დღეს, როცა ყოფნა-არყოფნის გზაჯვარედინზე ვდგავართ, მცირე შეცდომაც კი საბედისწერო იქნება.

სულგანათლებული ლევან სანიკიძის აღნიშნული წერილი, ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური ცენტრის დაარსების შესახებ, მაშველი რგოლი მგონია და... ახლა, ჭეშმარიტ ქართველებზეა, როგორ გამოიყენებენ ამ მაშველ რგოლს დავითის, თამარის და ილიას მოდგმის გადასარჩენად, მიტაცებული მიწების დასაბრუნებლად, სახელმწიფო საჭის სუფთა ხელებით და გონივრული მართვისათვის...

ამ, ერის, ხალხის, ქვეყნის სასიცოცხლოდ აქტუალურ წერილს განმეორებით ვაქვეყნებთ უურნალ „ოლეში“ რადგან, იქნებ, დღევანდელმა ხელისუფლებამ მაინც მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება დიდი მწერლისა და მეცნიერის ანთებული გულის წადილს...

ვარნა რაინა

„მარად და ყველგან, საქართველოვანი,  
მა ვარ შეთანა...  
ილია ჭავჭავაძე“

ის კი არის, მაგრამ...  
ჩვენ თუ ვართ მასთან?!  
ავტორი

40

მაშ, აი – კვლავ დგას. თუ მიდის და მიიჩნიარის წელიწადი ესე — ქრისტეშობითგან 1997 და აქვე, ჩვენკენ მოიჩქარის 160 – საზეიმო-საიუბილე ქართველი ხალხის სალოცავი ერის უფალის, ილია ჭავჭავაძის დაბადებისა, დღე, რომელსაც „ძველი სტილით“ 8 სექტემბერი ჰქვია, „ახალი სტილით“ — 27 ოქტომბერი.

მაგრამ 160-ს რომ მეორე, „საიუბილეო სიმრგვალე“ უსწრებს — 90, სწორედ იგივე ერისუფალის თანაეროვანთაგან მკვლელობისა!.. ამ საგლოველ დღეს „ძვ სტ.“ 30 აგვისტო ჰქვია, ახ. სტ. კი — 12 სექტემბერი.

აი, დამთხვევა საზეიმო და საგლოველ „საწლო სიმრგვალეთა“ — დაბადებისა და მკვლელობისა (მკვლელობისა-მეთქი, და არა სიკედილისა! თანაც უბოროტესი, შინასისხლურ-შინაჯიშური მკლელობისა!)

მაშ, საზეიმო 160 — ყვარლისა (სადაც იშვა ერისუფალი), და საგლოველი 90-წინამურისა (სადაც მოკლეს ერისუფალი).

ქრონისისა და მისი „ლოგიის“ თუ „ფაგიის“ ჟინით, ჯერ წინამური უნდა შემოგვეფეთოს — „კრინანისზეც მწარე წინამური“ (უმწარესი პოეტური ლოგოსით ოთარ ჭელიძისა). მაგრამ „ჩვენ ხომ ჩვენა ვართ... რაც კარგები ვართ“ — და, მოვახერხებთ, ყურს ავიცდინოთ წინამურის თოფთა გრიალი... და ყვარელამდეც გავალწიოთ სწორედ „ილიადური“ გრიალით და საიუბილეო სასმურთა ტრიალით...

მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ეს საზეიმო „სასმურნი ტურფანი“ დავასვენოთ და იქნებ პირდაპირ საქმეზე გადავერთოთ.

დიახ, საქმე-მეთქი, რომლითაც — ისევ ჩვენდა გადასარჩენად — უნდა ვხვდებოდეთ ილიას დაბადების დღეს.

და ამ ეროვნულად სანიშანსვეტო საიუბილეო დღისითვის ყველაზე ღირსეულ საქმედ ჩვენ მიგვაჩნია სწორედ ილიას მემკვიდრეობის ახალი ქართულის სახელმწიფოებრიობის სამსახურში ჩაიყენება. ამ საქმის არსი კი იმ იდეის რეალიზაციაა, რომელიც სწორედ ილიამ თავისი მოღვაწეობის დასაწყისშივე განსაზღვრა და შემდგომში მისი ცხოვრების და მოღვაწეობის

უპირველესი მრნამსი, ანუ მისი „დედა-იდეა“ გახდა; ანდა კიდევ, ისევ მისივე თქმით „საქართველოს თავის თავთან დაბრუნება – ჩვენი თავის ჩვენად ყუდენება“, და ამით, „წარხდენილი ქართველთა სახელისა და ქართული წეს-წყალობის აღდგინება“.

ხოლო, იმისათვის, რომ ილიას ეს დედა-იდეა საქმედ იქცეს. ამის ერთადერთი და ყველაზე უტყუარი გზა ჩვენივე ისტორიის გათავისება-გათანამედროვეობა, მისი ბალავრისთვის — მისივე სიტყვებითვე — „მაგარი ქვების“ გამორჩევა და „ფუყ ქვების“ თავიდან მოშორება – ერთი სიტყვით, ახალი საქართველოს „მისივე წარსულის ცხოვრებიდგან აღმოშობაა“. ცნობილ სტატიაში – „ერი და ისტორია“ — იგი ხაზგასმით მიგვითითებს „ძნელბედობით გაუკულმართებული ქვეყნის ბუნებრივ-ისტორიული განვითარების აღდგენა-განახლების მნიშვნელობაზე:

„არ არის არცერთი მხარე ჩვენი ცხოვრებისა, რომ წარსულის რაიმე ნაშთი ზედ არ შერჩენოდეს, ხოლო ამ ნაშთისა ჩვენ აღარა გაგვეგება-რა იმიტომ, რომ დავიწყებული გვაქვს მისი ამხსნელი და გამმარტებელი ისტორია. ამიტომაც ჩვენში ბევრი უთავ-ბოლობა გვეტყობა, არაფერი საქმე არ გვიხერხდება, აქეთ და იქით ვასკვდებით თავბრუ-დახვეულ კაცივით... ეს უქმად წარმაგალი გარჯა ჩვენი, უქმად წახდომილი მხნეობა და ცდა ქანცს უწყვეტავს გამრჯელს და მის მაყურებელს ერსაც გული უტყდება, თავის თავზე სასოება და იმედი ეკარგება და აქედამ განა დიდი მანძილია სრულად განადგურებამდე!“

„ივერიის“ საპროგროგრამო წერილების განთქმულ წაკადში – „ცხოვრება და კანონი“, აგრეთვე, სტატიიბის სერიაში – „საპოლიტიკო და „შინაური მიმოხილვა“. ილიამ იმის ნიმუშიც გვიანდერდა (უკეთუ ვიანდერძებთ!), თუ როგორ და რა სამუალებებით „ვიყუდნოთ ჩვენივ თავი ჩვენად“. აქ იგი ყველგან და ყველაფერში ისტორიის გაცოცხლებას ერის გაცოცხლებას უკავშირებს, იმის გარკვევას და დადგენას, თუ „რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიქმნეთ“. ყოველივე ეს კი, საბოლოო ანგარიშით შეადგენს იმ სტრატეგიულ და ტაქტიკურ იდეათა მწყობრ სისტემას, რომელიც ყოველი ჭეშმარიტი ქართველი მამულიშვილის გონებაში „საერთო ნიადაგის“ თეორიის სახელით დაემკვიდრა და, სწორედ ეს თეორია უნდა დაედვას საფუძლად და საძრკვლად ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის საშვილთაშვილო საქმეს.

და სწორედ ამ მიზნის მისაღწევად, აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია დაარსდეს ილია ჭავჭავაძის პოლიტოლოგიური ცენტრი.





ჩვენი აზრით, ეს იქნება დიდი ილიას საიუბილ-ეო ფერმენტის ყველაზე დიდი პრაქტიკული ღი-რებულება და, მასთან ერთად, მისი ღვანლის ყველაზე დიდი დაფასებაც. და ათასწლეულის მიწურულს მაინც შეეძლოთ, საწყისი მიეცეთ ამ სამამულიშვილოდ საარსებო თეორიის კვლევისა და ცხოვრებაში მისი პრაქტიკული რეალიზაციის სწორედ საერთო-ეროვნულ საქმეს. სხვა თეორია და სხვა იდეოლოგია ახალ საქართველოს არ შეიძლება ჰქონდეს! ამიტომაც ურყევად მიგაჩნია, რომ ამ „ილიაური ცენტრის“ გარშემო უნდა გაერთიანდეს დღევანდელი და სახვალიო საქართველოს მთელი პოლიტიკური ძალებიც.

ალსანიშვანია, რომ ილიას მემკვიდრეობისადმი ასეთი გამოყენებითი და პრაქტიკული მიდგომის პრობლემა ჯერ კიდევ ივანე ჯავახიშვილმა (ამ „მეორე ილიამ“!) დააყენა, ილიას თხზულებათა სრული კრებულის გამოცემის მოთხოვნით. მაგრამ სამწუხაროდ და საკირველად, დღემდე ორივე ეს პრობლემა პრობლემადვე დარჩენილა. ამ 15-20 წლის წინათ დაწყებული ილია ჭავჭავაძის ოცტომეულის გამოცემა შუა გზაზე შეწყდა, ხოლო პერიოდულ გამოცემებში მიმოფანტული მისი ცნობილი, თუ უცნობი პუბლიცისტური მემკვიდრეობა, ისევე როგორც პირადი მიმოწერა და ილიასთან დაკავშირებული სხვადასხვა საარქივო მასალები, დღემდე სრულქმნილად დამუშავებული არ არის და, რაც მთავარია, პოლიტოლოგიურად შესწავლისა და გაანალიზების თვალსაზრისით საქსებით ხელუხლებელი! და, ბოლოს და ბოლოს, ვინ უნდა გვიხსნას ჩვენ ამ სირცევილისაგან (სირცევილისაგან-მეთქი!), უკეთუ არა ჩვენ თვითონ, თუნდაც მარტივი ისტორიოსოფიის დონეზე?!

„უმადურობა!“ — აი, წინამურული თოფის გავარდნის წინადექს ილიასაგან ნაძახური სიტყვა (არტურ ლაისტის მიერ დამონმებულ-დაფიქ-სირებული). გენიოსი ხომ სწორედ გენიოსური სიმარტივით წვდება ყოველი მოვლენისა და საგნის არსს: დიახ, უმადურობა ბედად დაჰყოლია ქართველთა ქვეყნის უპირველეს ერისკაცს, სწორედ ზეგარდმოდ მოვლინებულ ერისუფალს, დიახ, — ბედი უმადურობისა, წინამურამდეც და წინამურის შემდგომაც. და, ახლა, ბოლოს და ბოლოს, იქნებ ჩვენ ვიტვირთოთ და სასრული მივცეთ წინა თაობათა ამ უსაშველოდ უგუნურ უმადურობა-უსამართლობას. ილიას მემკვიდრეობა. მისი უბის (ილიას უბის, წიგნაკის უკანასკნელი ჩანაწერ-ჩანიშვნა... დედის რძის მიდევნებით, სწორედ მასზე უნდა იზრდებოდეს ყოველი შემდგომი მომავალი თაობა, ჭეშმარიტი (ჭეშმარიტი-მეთქი!) ქართველობისა!

ამიტომ ილიას ეს უმდიდრესი ეროვნული მემკვიდრეობა, რომელიც დაახლოებით 30 წომზე მეტ მასალას მოიცავს და „საერთო


ნიადაგის“ თეორიის სამართლებრივი, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრინციპების ახლებური გააზრებისათვის მრავალ უმნიშვნელოვანეს საპროგრამო დოკუმენტს შეიცავს, სწორედ ზემოთალნიშნული პოლიტოლოგიური ცენტრის კვლევა-ძიების უმთავრესი ამოცანა და შინაარსი უნდა შეიქმნეს. დაგვერწმუნეთ, მხოლოდ ამ გზით შევძლებთ ეროვნული იდეოლოგიისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობისათვის მკვიდრი საფუძვლების შექმნას.

ნება მოგვეცით, აქ სანიმუშოდ მოვიყვანო ახალი, ჩვენებული და სამომავლო საქართველო-სათვის საპროგრამო ხასიათის ილიასმიერი ისეთი იდეები, როგორც — საქართველოს ცალკეული მხარეების ფედერალიზმისა და სათემო მმართველობის პრინციპებზე მოწყობის, მიწათმფლობელობის და მიწათსარგებლობის სხვადასხვა ეროვნული და რეგიონალური ფორმების (კერძო, სასოფლო-სათემო, საკომლო, სახასო-სახაზინო, საეკლესიო-სამონასტრო, ხიზნური), ქართული სოფლის თვთმმართველობის და სასოფლო-საუბნო კორპორაციების ისტორიული საფუძვლების და სხვადასხვა ფორმების („ხელდაბუნები“, „ზვარი“, „კალოები“, „ნადი“, „ამხანაგობა“), ჩვეულებითი სამართლის, ეროვნული ეკონომიკის მრავალწყობიანობისა და მისი აგრარულ-ინდუსტრიული სტრატეგიის („მიწისა და გუთისა საქართველო“), სამრეწველო განვითარებისა და ოჯახისა და გლეხურ-ფერმერულ მეურნეობათა ისტორიულ-ეროვნულ თავისებურებათა, სოციალური დაცვის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების ეროვნული ტრადიციების აღდგენა-აღორძინება და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის სამსახურში ჩაყენება.

თავის მხრივ, ილია „საერთო ნიადაგის“ თეორიის მასაზრდოებელ ფესვებს „ოქროვანი ხანის“ საქართველოში ეძიებდა. „დავითის ძალისხმევისა“ და „თამარის სათნოების ხაზის“ გამთლიანებასა და გათანამედროვეობაში ხედავდა იგი მომავალი საქართველოს „ახალ ოქროვან ხანას“. მას მტკიცედ სწამდა, რომ „აღმოშობილი“ და „ახალს ნერგზედ ახლად შობილი ესე ქვეყანა კვლავ აყვავდების“ ილია ჭავჭავაძის მთავარი პოლიტიკური იდეაც იმ ეპოქასა და ჩვენს ეპოქას შორის „ძნელბედობით ჩატეხილი ხიდის გამთლიანებაა“.

ამიტომაც, ილია ჭავჭავაძის პოლიტოლოგიური ცენტრის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა სწორედ ამ ისტორიული მემკვიდრეობის დამუშავებაც უნდა გახდეს. აქ შეიძლება სახისუმშოდ დავასახელოთ მეთერთმეტე-მეცამეტე საუკუნეების ქართული სახელმწიფოებრიობის ისეთი დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური პრინციპები, როგორებიც გიორგი ათონელის, დავით





### ლევან სანიკოძე

აღმაშენებლის, ლეონტი მროველის, არსენ იყალთოელის, გიორგი ჭყონდიდელის, იოანე პეტრინწელის, დავითისა და თამარის ისტორიკოსთა და სხვა ქართველ დიდმოღვანეთა „ნილნაყრობისა“ და კანონის უზენაესობის ეროვნული ფერმენტის, ცენტრალური (ფედერალური) და მხარეთა თვითმმართველობის პარიტეტობის და ორგანული მთლიანობის, „ერთნებობითა და თანადგომით“ მართვის და „იაფი მთავრობის“ („ნიკოფილიდან დარუბანდამდე“ — ფაქტობრივად კავკასიურ ფედერაციად ჩამოყალიბებულ მაშინდელ საქართველოს ხომ, მხოლოდ და მხოლოდ 5 ფედერალური უწყება მართავდა), „ისნის კარავისა“ და ხელისუფლების დანანილების (საკანონმდებლოდ და აღმასრულებლად), რელიგიური და ეროვნული შემწყნარებლობის პოლიტოლოგიური პრინციპები...

ილიას სიდიდე და სიდიადე იმაშიც ვლინდება, რომ ეროვნულ ისტორიასა და მემკვიდრეობასთან ერთად, არასოდეს ივიწყებდა რეგიონულ თუ გლობალურ პრობლემათა ურთიერთმიმართებებს და მათთან ერთად სხვა ხალხთა ისტორიასა და გამოცდილებასაც. მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სწორედ კავკასიურ პრობლემებს და საქართველოს, როგორც მსოფლიოს ორ უდიდეს ეთნო-კულტურულ და რელიგიურ სამყაროთა შორის დამაკავშირებელი ქვეყნის, სწორი პოლიტიკური ორიენტირების განსაზღვრას, ცნობილი გახლავთ მისი იდეა „მთელი კავკასიის თავისუფლების“ — კავკასიის ხალხთა

„ყონალობისა“ და ერთობის შესახებ. ილია ჭავჭავაძის პოლიტოლოგიური ცენტრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა ამ პრობლემის კვლევაც იქნება.

აქვე სანიმუშოდ შეიძლება დასახელდეს სა-დლეისოდ ისეთი მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხები, როგორებიც „კავკასიური საერთო სახლის“ სახალხო დიპლომატიის და „ყონალობის“ ეროვნული ტრადიციების, ქრისტიან და მამადიან ქართველთა ერთობის, „ევროპეიზ-მისა“ და ე. წ. „ოთხგანზომილებიანი“ ქართული საგარეო პოლიტიკის, დიდ სახელმწიფოებთან ბალანსირების და „აქტიური ნეიტრალიტეტის“, „სამხრეთის კარის“ და კვლავ ილიას მემკვიდრეობიდან მომდინარე სხვა უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური გააზრებანი, რომელთა პოლიტიკურ ანალიზს, დასკვნებს და რეკომენდაციებს შეუძლიათ ასევე კეთილი სამსახური გაუწიონ ჩვენს სამომავლო საქმეებს. ამ მხრივაც, ილიას ეპოქა და ჩვენი დღევანდელი ეპოქა თავიანთი რეგიონული და გლობალური პრობლემებით თანმხვედრნი და იდენტურნი არიან.

ილია ჭავჭავაძის პოლიტოლოგიური ცენტრის შექმნა არ მოითხოვს რაიმე ახალ საბიუჯეტო ხარჯებს და განსაკუთრებულ ფინანსურ, თუ სხვა რამ მატერიალურ სახსრებს. იგი უბრალოდ, ჩვენი ახლო და შორეული ისტორიული მემკვიდრეობისადმი ახლებურ მიდგომას და გააზრებას თხოულობს.

ვფიქრობთ, რომ ასეთი „ცენტრის“ დაფუძნებით შეიძლება მნიშვნელოვანი საბიუჯეტო სახსრებიც კი გამოთავისუფლდეს არსებული მატერიალურ-ტექნიკური და მეცნიერული პოტენციალის უფრო რაციონალური გამოყენებით. აქ, უნინარესად, მხედველობაში გვაქვს ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის დღევანდელი სტრუქტურული მხარე (მხოლოდ სტრუქტურა და არა მისი, დიახაც მაღალღირსეული ხელმძღვანელობა და შემადგენლობა!). საბჭოურ-კომუნისტური რეჟიმიდან მომდინარე სტრუქტურული აღნაგობა და სამეცნიერო-კვლევითი მეთოდოლოგია — შესატყვისად ახალი სახელმწიფოებრიობის მეცნიერულ და იდეოლოგიურ მოთხოვნებისა — სერიოზულ გარდაქმნა გაახლებას საჭიროებს. აქვე, კვლავ ვიმეორებთ ადრე წერილობითაც გამოქვეყნებულ მოსაზრებას, სახელდობრ — აკადემიის ორი სისტემით, ორი ნაკადით გაყოფის საჭიროებას: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და საბუნებისმეტყველო-ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიები. წელიწადზე მეტია, დაარსდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემია, სწორედ ჰუმანიტარული დარგების (ისტორია, ფილოსოფია, ფილოლოგია, იურისპრუდენცია, პედაგოგიკა, ხელოვნება და ხელოვნებათმცოდნეობა) სრულად მაღალპროფესიულ, საყოველთაოდ სახელ-





მოხვეჭილ მეცნიერთა და ხელოვანთა შემადგენლობით. სწორედ ეს ახლადორგანიზებული აკადემია, თავის მრავალდარგოვანებით, საგანგებო შესწავლის საგნად აქცევს ჩვენი საისტორიო ცივილიზაციის, „ქართლის ცხოვრებისა“ და „ილიოლოგის“ პრობლემებს. მაშ, კვლავაც პრინციპით — სულკურთხეულის ფორმულირებით: რანი ვიყავით, რანი ვართ, რანი უნდა ვიქენეთ — აი, ჩვენი საფიქრალი და საზრუნავი სადლეისოდაც და სამომავლოდაც.

ყველას — „ყოველთა დიდთა და მცირეთა“ — კარგად მოეხსენება, რაც გამხდარა დღევანდელი საქართველოსთვის უპირველესი და უმთავრესი საფიქრალ-საზრუნავი: როგორმე გამოთლიანება სულიერად („პარტიულ-დასურ-ისტური“ სულიერებით!) დახლეჩილი („გახლეჩილიც“ რომ აღარ კმარა!) ქართველობისა.

აკი თვითონ ილიაც სწორედ ასეთ „დახლეჩილობას“ შეენირა — „მესამე დასურ“, „ესდეკურ“, „მებერ-ბოლშევურ“, „უორდანიულ- მახარაძულ“ ანტიეროვნულ სულთა ქცევას და სისხლის დაქცევას. და, კვლავაც, წინამურიდან — ქართულ სირცხვილთა „იმ მწვერვალიდან“ — ილიას შემდგომ ოცდაათი წელიწადი „ილიაობაც“ დაემარხათ და, ბოლოს და ბოლოს, „სტალინური რეაბილიტაცია“ რომ არა — საუკუნის დასაწყისში დამარხული ერის მამის სახელს, საფიქრებელია, საუკუნის დასასრულამდეც აღარ გაიხსენებდნენ.

არადა, უკეთუ მართლა გვსურს და ვაპირებთ ამ დამლუპველი, ციდამტკავლური „დასურ-ისტობიდან“ გავადნიოთ და გავერთიანდეთ — არადა, არ არსებობს ამ ცისქვეშეთში უფრო უებარი საშუალება შერიგება-გამთლიანებისა, ვიდრე უზენაესად ზნეობრივი და არისტოლოგიური მემკვიდრეობა ილია ქავჭავაძისა.

ილიას, თუნდაც, მარტო „ლოცვა“ რომ წავიკითხოთ და მისებრ ჩვენც მუხლმოდრეკით შევთხოვოთ უფალს — განგვინათლოს ცით ჩვენი სული... რომ მტერთათვისაც, რომელი თუნდა გულს ლახვარი მერან, გთხოვდე: „შეუნდე!..“

იქნებ, ღვთის მადლით, შევძლოთ და ეს ჩვენი ეგზომ უგუნურად ჩატეხილი ხიდები (ახლებურ — „პარტიულად ჩატეხილნი“) გავამთელოთ, „დას-დასად განყოფას“ და „ერთურთზე მახვილის აღლესვას“ მოვეშვათ, თორემ — კიდევ რამდენი ცრემლიანი ცოდნა, თუ ცოდნიანი ცრემლი უნდა ვადინოთ ჩვენ ერთმანეთსაც და ქვეყანასაც, სანამ გავიგებდეთ, რომ სწორედ განყოფაში არის ჩამარხული საქართველოს დამხობის თესლი?!

მაშ, იქნებ გავაღნიოთ „მიკრო-დასური“, კაპრიზ-კამერული სივიწროვისგან და მივემთხვიოთ სრულქმნილ-ქართველურ ცოტნებილობას (მით უფრო, — ორი მაგალითი ცოტნებილური

ზოგად, ანუ „ყოველ-ქართველობისა“. ჩვენსავ აზმყობაში რომ აღესრულა — გმირობანი გია აბესაძისა და უიული შარტავასი).

მაშ, ჩვენი ახლანდელი, აზმყობითი, თუ „გარდამავალი პერიოდის“ იდეოლოგიურ, პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა გადაწყვეტაში ილია ქავჭავაძის მემკვიდრეობის განუზომლად დიდი ეროვნული მნიშვნელობის გათვალისწინებით, უმორჩილესად ვთხოვთ და ვეაჯებით ყველას, ვისაც რაითაც ხელენიფება — პირადად ჩაერიოს ილია ქავჭავაძის პოლიტოლოგიური ცენტრის დაარსების საქმეში. ილია ქავჭავაძე — ქართული აზრისა და ქართული საქმის ეს ამოუწურავი და დაუშრეტელი სიპრემის წყარო, არ შეიძლება ახალი საქართველოსთვის — როგორც თვითონ ბრძანებდა — „უქმ და გამოყენებელ განძად“ რჩებოდეს. ამიტომ, ამ საუკუნის და ათასწლეულის მიწურულს მაინც დაგაყენოთ იგი, შემეცნებითთან ერთად, პრაქტიკული გამოყენების სასიცოცხლო-საარსებო გარდუვალობის გზაზე.

ჩვენ მზადა გვაქვს ილია ქავჭავაძის პოლიტოლოგიური ცენტრის დაფუძნებისა და ფუნქციონირების უფრო დეტალური და კონკრეტული პროგრამა, რომლის რეალიზაცია, გვჯერა, ხელს შეუწყობს ერის მნარმოებელი და ინტელექტუალური ძალების აქტიურ საქმიან ჩაბმას ჩვენი დღევანდელობის სამომავლო პრობლემათა გადაწყვეტაში. დაინტერესების კვალობაზე, მზად ვართ, ნარმოვადგინოთ იგი განსახილველად ყველასთან, ნებისმიერ სახელისუფლო სტრუქტურასთან.

აქვე ვაცხადებთ, რომ ილიას საიუბილეო დღეებისათვის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიას გათვალისწინებული აქვს საგანგებო სამეცნიერო კონფერენციის გამართვა, რომელზეც მოწვეული იქნება — ისევ ილიას ბრძანებით — „მოაზროვნე ქართველობა“ (მოაზროვნე-მეტეი, და არა მოჩეხბარ-მოყაილე!), და იქ ვიმსჯელებთ სწორედ ამ წერილში აღძრულ „ილიოლოგიურ“ პრობლემებზე; აქვე, სახელმწიფოს მეთაურისაგან ფრიად საინტერესოდ და ცალკე საიუბილეოდ გათვლილ, ქართული სახელმწიფოებრივიბის ფენომენზე და მის ქრონოლოგიურ ხანგრძლივობაზე: კიდევ, ისტორიულ და ახალ ქართულ სახელმწიფო სიმბოლიკა-ატრიბუტიკაზე და სხვა და სხვა. ბოლოს, მიგვაჩნია, რომ ილიას პოლიტოლოგიური ცენტრი დაარსდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიასთან. უკეთუ სხვა, ბეჯითად დასაბუთებული აზრი გამოჩენდება — ოღონდ დაარსდეს და იმოღვანოს — ჩვენც უმალვე დავთანხმდებით.



## ქართული დოკუმენტური

### გურამ დოჩანაშვილი — ქართული სიტყვის პაპა ანუ ინტონაციური ოპუსები გურამ დოჩანაშვილის თხზულებათა ენის ციფრული ვარაუდი

44



გურამ დოჩანაშვილის თხზულებათა ენა ხალხური მეტყველებითაა ნასაზრდოები. მნერალი ხალხში ექებს მივიწყებულ სიტყვებს, რომლებსაც ახალ სიცოცხლეს შთაბერავს და კიდევ უფრო ამდიდრებს ქართული ენის ლექსიკას. მისთვის „არ არსებობს ამ ქვეყნად გამოუსადეგარი და ცუდი სიტყვა; თვით ეგრეთწოდებული „ცუდი“ სიტყვაც კი თავის ადგილას იშვიათად, მაგრამ კარგია“, 101. ...და დოჩანაშვილიც განვითარებას შესთხოვს: „ნეტავ განვითარებამ მაპოვნინოს ჯერაც უცნობი გამოთქმები, ჯერ ვერნათქვამი და არსმენილი ახალი სიტყვები, ჩემამდე რომ არავის უშმარია, განსხვავებული იმათგან, წინაპრები რომ წარმოთქვამდნენ“, 108.

მნერალს უსმინა განვითარებამ და ქართული სიტყვის საუნდებს პაპასთან მიაგნო: „სიტყვის პაპა ერთი თმანვერდათოვლილი ბრძენი მოხუცი იყო; რომელი სიტყვა გინდა, იმას არ სცოდნოდა, 15. ეს „ბრძენი მოხუცი“ ამ საგანძურს ხალხური სიტყვიერებიდან იღებს და ხალხსავე უბრუნებს: „სიტყვის პაპას დიდი, უზარმაზარი, ქვეყნისტოლა ხურჯინი აქვს ფერად-ფერადი სიტყვებით სავსე. დადის, დაიარება დედამიწის ზურგზე და, ვინც ყურს კარგად დაუგდებს მარგალიტივით სიტყვებს უბოძებს ხოლმე; სიტყვას კი რა არ შეუძლია! ადამიანთა გაბედნიერება, ნუგეში, ალერსი, სიყვარული, გაშენევება. მთათა დანგრევა და ქალაქების გაშენებაც შეუძლია!“, 18.

...და ამ სიტყვას და ფრაზას გურამ დოჩანაშვილი ამრავალფეროვნებს ორიგინალური ინტონაციური იპუსებით, რისთვისაც ხშირად იყენებს ხმოვანთა მანიპულაციებს:

მკითხავ მაიკოს თმა ჰქონდა? — შავიი... წვეტ-წვეტიანი თითები ესხა? — გრძელი, 79. მოფერებაც ისეთი იცოდაა, 84. ლამაზზე მეტად უარესი იყოთ?..., 90. ოხერი ვარ, რომ..., 81. სახე უჭვიოდა, ისეთი რომ..., 84. იცინოდა რომ..., 80 ჭრელი, ჭრელი, რომ..., 89.

#### ლიტერატურა

გურამ დოჩანაშვილი, მოთხოვები, წიგნი მეორე, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2015: „შილდელი მევენახე“, „ყველაზე კარგი პაპა“, „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება“, „იოპან სებასტიან ბახი“, „მინა, ვანო და წიფელი, ხე“.



გურამ დოჩანაშვილი

მნერლისეული ამ ხერხით დაუსრულებელი ფრაზა ინტონაციით იმოსება და აზრობრივ-ლოგიკურად სრულყოფილდება. ამ მხრივ ფრინად მნიშვნელოვანია და კავშირის გამოყენება მტკიცებითი ფუნქციით:

საიდან ვიცი და იქიდან..., 17. ვან ახერი და..., 20. როგორ და, კოხტად, 28. რატომ და... ნესია, ნესი, 29.

მნერლისათვის უცხო არაა ხმოვამთა ბგერითი მანიპულაციებიც; კერძოდ: უყვარდა ვანოს სახელი მაი! ერთ თანხმოვანთან სამი ხმოვანი, 112. ვანო შებლაოდა ტყეს და ბლავილი უნებურად ხმოვნად ინელებოდა და ხმოვნებით რბილად იყლინთებოდა, 116. თუმცა არც თანხმოვანთა ბუნება

რჩება უყურადღებოდ: მაშინ ვანო მთლად თანხმოვნებისა იყო; მონადირის თანხმოვნებით შეკირულ სულს ამაოდ აქსებდა და მღვიმისწინა შემრეცილ აღმართს სულ თანხმოვანთა მნარე ქშენით ამოივლიდა, 113.

ტექსტის სრულყოფილად აღსაქმელად დოჩანაშვილისათვის ფრიად მნიშვნელოვანია სასვენი ნიშნებით მანიპულირება; მისი აზრით, დეფისი ერთ-ერთი დიდად აღმსრულებლურია, ხოლო ტირე კი — ნულარ იკითხავთ რისა და რისი დაკავშირება აღარ შეეძლო... ან თუნდაც ისეთი ვრცელი თავისუფლების მიმნიჭებელი მრავალნერტილი — საცა კი გინდა, მიდი, იარე, წადი..., 113.

საერთოდ კი, გურამ დოჩანაშვილის შემოქმედება გაუღენილია „ერთი რამის სიყვარულით, დაფარვა რომ სჭირდება“, 39. ...და ეს ერთი რამე არის სამშობლო თავისი მინანყლითა და ადამიანებით. მისი ლრმა რწმენით „სამშობლო მხოლოდ მინდორ-ველი და მთები არაა, სამშობლო ადამიანიცა“, 59. ამიტომ „სამშობლო უნდა გიყვარდეს, და რომ გიყვარდეს უნდა იცნობდე“, 47.

...და გურამ დოჩანაშვილსაც გათავისებული აქვს სამშობლოსი და მშობლიური ენის ძალმოსილება.

#### როინ ჭიკაძე

## Կհովոյա-Վեծրովսկոյա

თვე  
ჭაბული

ს. ნერეთმილის პოემა, რიგით მეტად პოეტური ნაბრძოვებია, რომელიც მიეცილვნა საქართველოს განმანათლებლებს. „ქართლისა მართლოვანა“ ნოტებული წმ. ნინოს. სოულუშური მოტივი საკრიზოს. პოემა VI ნინილისგნ შეჯვერა, რომლის შესავალი დაწერილია რესთველური დანარღვით შაირის გატეხვით მიღუმული გ-მარწველიანი სალექსო საზომით, ხოლო დანარჩენი 5 ნინილი მაღალი შაირო. ტექსტში თვითმან მოლოდნებე გამოყენებულია ინტერადაური გროვების პრინციპი, რა შეხვედრო შეორე და შეოთხე ტაპერინ გროვები.

პოეტია შინაარსებრივები შექმენებით-ფოკუმენტური ხასიათისაა, რომელიც ინტერა განვითარ და შეიღობს ვილის დარღვევით. შევილიძე-ვილისავ ნინო ჰერა და ანტონეტა მშ. ნინოს ისტორია, ვინ კუთხით და რა მიზანი მიჰმად ჩატარებულია.

၁၂၁၃

ଗ. କ୍ଷାରତାଙ୍କା



ნეინდა ნინოს სახე-კონცეპტი ქართულ კოეზიაჲი

ისტორიულ-ლიტერატურული ძეგლის „შატ-ბერდის კრებულის“ ერთ-ერთი თავი „მოქცევად ქართლისაც“ შედგება წმინდა ნინოსადმი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ავტორთა მიერ მიძღვნილი თხზულებებისგან.

ზემოაღნიშვნული დოკუმენტური ძეგლის, შატ-ბერდის მონასტერში ნაპოვნი უძველესი ხელნაწერი თარიღდება X საუკუნით. ამბავი ნინოს ცხოვრებისა და მოციქულებრივი ღვანლის შესახებ, მეცნიერთა ნაწილის ვარაუდით, დაწერილი უნდა იყოს IV საუკუნეში.

ქართული ისტორიული წყაროებიდან ვიგებთ,  
რომ წმ. ნინო მე-3 საუკუნის ბოლო წლებში  
დაბადებულა კაბადოკის ქალაქ კოლასტაში (თუმცა  
კაბადოკის ტოპონიმიკა არ იცნობს მსგავს ქალაქს.  
დღესდღეობით წმ. ნინოს დაბადების ადგილად მიჩ-  
ნეულია დაბა ორთაპისარი.), ნინოს მამა ზაბულონი,  
რომის ერთ-ერთი წარმატებული მხედარმთავარი  
ყოფილა, ხოლო დედა, იერუსალიმის ჰატრიარქის,  
იუბენალის და - სოსანა. როდესაც ნინო 12 წლის  
გამხდარა, ზაბულონი ბერად აღკვეცილა, ხოლო  
სოსანა თავის ძმას დიაკვნად გაუმნესებია იერუ-  
სალიმის ერთ-ერთ ტაძარში.

ყ უმანული ნინო აღსაზრდელად მიუქარებიათ  
ქრისტიანობაში განსწავლული სარა ნიაფორისთვის,  
რომელიც სომხეთის ერთ-ერთი სოფელი დვინიდან  
ყოფილა და ბეთლემში ქრისტეს საფლაგს უვლიდა.  
ხანშიშესულ სარასთან ორი წელი დაუყვია ნინოს.  
სწორედ მისგან გაიგო, რომ ქრისტეს კვართის ნაწილი  
წილად ერგო „ჩრდილოსა მას ქუეყანასა“ – საქართველოს, რის შემდეგაც გაულვივადა ინტერესი,  
რომ ენახა ივერია. მომდევნო ორი წელი წმ. ნინო  
პატრიარქის კურთხევით ელენე დედოფალთან ცხოვრობდა რომში, საიდანაც 16 წლის ასაკში, რომის კეისრის დევნის გამო თავის ქრისტესმიერ დეპთან

ერთად სომხეთში გადახვეწილა.

სომხეთის ნარმართი მეფის თრდატის რისხვას სასწაულებრივად გადაურჩა და გეზი აიღო ღვთისმ-შობლის ნილხვებრი ქვეყნის კენ. სავარაუდოდ 318 წელს „მოაწია მთათა ჯავახეთისათ“ (ფარავნის ტბასთან, ნინოწმინდის სოფელ ფოკაში, წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლის დღის აღნიშვნაც).

მაღალი ალბათობით ქართული ენის არმტცოდნე ნინო ჯავახეთიდან გაჰყვა მდ. მტკვრის ხეობას. ბუნებრივია, რომ გზა არ იქნებოდა ია-ვარა-დით მოფენილი. ალბათ გაარა ამჟამინდელი ახ-ალქალაქის, ხერთვისის, ასპინძის, ახალციხის ტერიტორია, საიდანაც ჩავიდა ურბნისში და იქაურ ებრაელებთან ერთი თვე იცხოვრა. შემდეგ სატახ-ტო ქალაქ მცხეთისკენ გაეშურა ვაჭრებთან ერთად და იმ ადგილის სიახლოეს დამკვიდრდა, სადაც ამჟამად სამთავროს ტაძარი დგას. 3 წლის მანძილზე თმაში ვაზის ჯვარი ჰქონდა შეხვეული და ქრისტიანობას ფარულად ქადაგებდა წარმართულ ქართლში. ახდენდა სასწაულებს, რის გამოც მის მიმართ მოკრძალებითა და ინტერესით განეწყვნენ. მცხეთაში ნინომ განკურნა მეფე მირიანის მეუღლე, უკარნებილი სენით დაავადებული დედოფლა ნაია.

სასწაული მოუვლინა სოფ. მუხრანში სანადიროდ  
მყოფ მირიან მეფესაც, რასაც დედოფლისა და მე-  
ფის გაქრისტიანება, შემდეგ კი მათი თანადგომით  
მთელი ქართლის ქრისტეს რჯულზე მოქცევა მო-  
ჰყვა. „ქართლის ცხოვრებაში“ ლეონტი მროველი  
წერს: „ქება-დიდება ქრისტესი არღარა ფარულად  
ითქმოდა ქართლსა შინა, რამეთუ მადლისა ღმრთი-  
სასა ენყო მიფენად ალმისავლეთს“.

Ծմինձա նոնց տռտեմբեգնլուան Եարմագրեպշլ  
միևսոներշլ մոռզանցոքաւ յարտլուս կըրտապա-  
նուսմպեմել սաზոցագողեծնի եղլո Շեյնվոր րոմիս  
პալուուիդյուրմա Տօնիգուաչամահ, կըրժմաւ, 298 նոուս





ნისიბინის საზავო ხელშეკრულებით საქართველო და სომხეთი რომის იმპერიას დაეჭვემდებარნენ. IV საუკუნის დასაწყისში იმპერატორმა კონსტანტინები თავის იმპერიაში ქრისტიანობა შეიწყნარა. აღსანიშნავია, რომ ნახევარი საუკუნით ადრე, III საუკუნის შუა სანებში მოღვაწე ქართლის მეფე რევ I მართლს არმაზის კერპისათვის ჩვილ ბავშვთა შენირვა აუკრძალავს.

წმინდა ნინოს ძალისხმევით მცხეთის წარმართული კერპები დაემზო და დაიწყეს ქრისტიანული ტაძრების მშენებლობა. აქ კი ნიკო სამადაშვილის სტრიქონები მოგვაგონდება:

„წარმართა ძვლებზე იდგა ტაძარი,  
ზევით ლეგენდა მიჰქონდათ მთიებს,  
ძირს წმინდა ნინოს ნაფეხურები,  
ჰეგავდნენ სისხამზე მოკრეფილ იქბს.“

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით ქართველი ერის გაქრისტიანება 324 წელს დასრულდა, ხოლო 326 წელს ქრისტიანობა საქართველოს სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. ეს უდიდესი მოვლენა დაუკავშირდა კაპადოკიელ ნინოს, რომელიც შემდეგ პოეტების შთაგონების წყაროც არაერთხელ გახდა.

როგორც ისტორიკოსი ელდარ ბუბულაშვილი თავის წერილში „წმიდა ნინო – ქართველთა განმანათლებელი და მოციქულთა სწორი“ აღნიშნავს, სამხედრო მღვდელს, იროდიონ ელიოზის ძეს 1869 წელს თბილისში გამოუქვეყნებია პოეტურად გალექსილი წმინდა ნინოს ვრცელი ცხოვრება.

წმინდა ნინოს თემაზე შეთხული ვახტანგ ორბელიანის (1812-1890) პოემა „ჯვარი ვაზისა“ პირველად 1880 წელს ილია ჭავჭავაძემ გამოაქვეყნა ლიტერატურულ-პოლიტიკურ ჟურნალ „ივერია“-ს მე-3 წლიერში. აღნიშნული პოეტური ნანარმოები რომანტიკოსი პოეტის ქალიშვილმა მარიამ ორბელიანმა მოგვიანებით შეიტანა მამის ლექსების კრებულში, რომელიც 1894 წელს გამოსცა.

ლიტმცოდნე ლადო მინაშვილმა ვ. ორბელიანზე დაწერილ ლიტერატურულ-ესეისტურ წერილში ზემოთ ნახსენებ პოემას „ვაზის ჯვრის აპოლოგია“ უწოდა.

მისტიკურ-რელიგიური შინაარსის პირება „ვაზის ჯვარი“ მოცულობის თვალსაზრისით V ნაწილისგან შედგება. ფორმალური კუთხით პირველი და მეოთხე ნაწილი 10-მარცვლიანი საზომით არის დაწერილი, ხოლო მეორე, მესამე და მეხუთე ნაწილი ბარათაშვილისეული 14-მარცვლიანი სალექსო მეტრით. პოეტურ ტექსტს აქვს პრიმიტიული და არაზუსტი რითმები, რაც ტექნიკური დეფექტია.

პოეტი წმინდა ნინოს საქართველოში შავი ზღ-

ვით შემოსვლის განსხვავებულ, მძაფრსიუჟეტიან სურათს გვთავაზობს, რათა მეოთხელს თავიდანვე დაუხატოს მისიონერი ქალის ღვთაებრივ-მისტიკური სახე, რომელსაც ზეციური ძალები მფარველობენ.

მხატვრული ტექსტი იწყება შტორმის გამო განრისხებული შავი ზღვის აღნერით, რომლის ჰორიზონტზე არაფერი ჩანს, გარდა აფოფრილი ტალღებისა, თუმცა უეცრად დასავლეთიდან გამოჩნდება ნავი, რომელიც ხომალდივით უშიშრად და შეუპოვრად მოარღვევს ბობოქარ ზეირთებს. რატომ გადაიტანა პოეტმა ისტორიული ამბის გეოგრაფიული გარემო ჯავახეთიდან კოლხეთში? ალბათ დაეყრდნო მე-4 საუკუნის პალესტინელი საეკლესიო მწერლის გელასი კესარიელის ცნობას წმ. ნინოს შესახებ, რომელიც ამბობს: „ლმერთის მცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მიწა-წყალზე მცხოვრებმა იძერებმა და ლაზებმა, ამ უდიდესი სიკეთის მიზეზი გახდა ერთი დედაკაცი, რომელიც მათთან ტყვედიყო“. ლექსში ვკითხულობთ:

„მაგრამ გამოჩნდა ნავი დასავლით,  
მორბის უშიშრად, მორბის ღვთის ძალით,  
მოეშურება, მოფრინავს, მოქრის,  
ზეირთთ განრისხებულთ გულამაყად სჭრის.“

„აფრასა პბერავს ქარი ძლიერად, –  
მიქროლავს ნავი შეუპოვრად,  
მიქროლავს, მირბის, კვნესის ზღვა შავი...  
კოლხიდის კიდეს მიფრინავს ნავი.“

ნავით ვაზისჯვრიანი ასული მოდის, რომელსაც წინ ბევრი განსაცდელი ელოდება, თუმცა მზად არის კველა დაბრკოლებას უშიშრად შეხვდეს. პოეტი ინტერესით ეკითხება უცხო ქალიშვილს, რა მისით მოვიდა ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში და რა დანიშნულება აქვს საგანს, რომელიც ხელში უჭირავს.

თვალსაჩინოებისთვის წავიკითხოთ რამდენიმე სტროფი:

„ნავით გამოხდა უცხო ვინმე, ვით მოჩვენება,  
არის ასული, მაგრამ არის სიზმარ-ზმანება:  
ნათელი, ტურფა, ვით ოცნება, მშვენიერია,  
მაგრამ ნათელს პირს სოფლის შვება არ უნერია.“

„მიდის ასული... ხელს უჭყრია ჯვარი ვაზისა,  
არ ეშინია შიმშილისა, არც უგზო გზისა;  
ვერ აბრკოლებენ მას ჭაობნი, ვერცა მდინარნი,  
ვერც ფრიალონი, უფსკრულნი და მთანი მყვირალნი;  
არ ეშინია წამებისა, არცა სიკვდილის:



დედანმინდისა ნილხდომილსა  
ქვეყანას მიდის.“

პოემის მიხედვით, წმ. ნინოს  
მოსეულას მოჰყვა უდიდესი ძერე-  
ბი, რაც პოეტმა ჭექა-ქუხილით,  
მეხთატეხით და ნარმართულ  
ქვეყანში ამტყვდარი ყიამეთით გა-  
მოხატა. ბოლოს გამოიდარა, ანუ  
კერპები დაიმსხვრა და ქართვე-  
ლი ერი გაქრისტიანდა. პოემის  
ბოლო ნაწილში ვკითხულობთ:

„კერპთ-მსახურთ ღმერთინი  
ქვესკნელს ჩაინთქნენ,  
თვის მრისხანება ცამ შეაყენა,  
მზემ უხვის სხივით მორთო ქვეყანა.  
წმიდის ფერხთ-წინა დაემხო ერი.“

„წმიდა ასული, წმიდა ნინო ცამ მოგვივლინა,  
ქრისტეს ნათელი, ქრისტეს სხივი მან შენ მოგფინა.  
მიხვდნენ დიდ მცნებას ძენი შენნი, ერი ველური,  
მიხვდნენ, რაც არის დიდი სიტყვა, სიტყვა ციური.“

პირველი საეკლესიო-საზოგადოებრივი კათო-  
ლიკური გაზეთის „ჯვარი ვაზისას“, მე-5 წომერში  
1906 წელს დაიბეჭდა აკაკი წერეთლის (1840-1915)  
პოემა „წმინდა ნინო“, რომელსაც დართული აქვს  
წმინდანის სურათი რომაელთა მხატვრობით.

ა. წერეთლის პოემა, რიგით მესამე პოეტუ-  
რი ნანარმოებია, რომელიც მიეძღვნა საქართვე-  
ლოს განმანათლებელს, „ქართლისა მაცხოვრად“  
წოდებულ წმ. ნინოს. სიუჟეტური მოტივი საერთოა.  
პოემა VI ნაწილისგან შედგება, რომლის შესავალი  
დაწერილია რუსთველური დაბალი შაირის გატეხ-  
ვით მიღებული 8-მარცვლიანი სალექსო საზომით,  
ხოლო დანარჩენი 5 ნაწილი მაღალი შაირით. ტე-  
ქსტში თავიდან ბოლომდე გამოყენებულია ინტერ-  
ვალური გარითმის პრინციპი, ანუ მხოლოდ მეორე  
და მეოთხე ტაქტებია გარითმული.

პოემა შინაარსობრივად შემეცნებით-დოკუ-  
მენტური ხასიათისაა, რომელიც იწყება ბაბუისა  
და შვილიშვილის დიალოგით. შვილიშვილსაც ნინო  
ჰქვია და აინტერესებს წმ. ნინოს ისტორია, ვინ იყო,  
საიდან და რატომ მოვიდა საქართველოში. პოემაში  
პატარა ნინოს ინტერესის შესახებ ვკითხულობთ:

„ვისგან ისწავლა ქართული?  
რად მოხვდა ჩვენს ქვეყანასა  
და როგორ დაუახლოვდა,  
ქართლის დედოფალს ნანასა?“



## თემო ჭახნაკია

ან რა ქმნა, რომ მოარჯულა  
მან კერპი მეფე მირიან?  
ამ ამბავს ყველგან, სუყველა  
სხვადასხვა გვარად ჰყვირიან!“

ბაბუა გახარებულია შვილიშვი-  
ლის ცნობისმოყვარეობით და წმინ-  
დაზე უყვება იმ ბიოგრაფიული  
შტრიხების შესახებ, რომელიც ქა-  
რთული წყაროებიდან იცის. პოეტი  
ისტორიულ გადახვევას აკეთებს  
და ავითარებს შემდეგ აზრს: „კაბა-  
დოკიაში, რომელიც რომმა დაიპყრო,  
ოდესაც ქართველებიც ცხოვრობდ-  
ნენ და ასიმილაცია განიცადეს ბერ-  
ძნებთან და რომაელებთან, სწორედ ასეთ ეთნიკურ  
ნიადაგზე აღმოცენდა წმ. ნინო, რომელიც ყმაში-  
ლობაში გადავიდა იერუსალიმში საცხოვრებლად  
და ქრისტეს მადლოთან საზიარებლად. მანამდე 300  
წლით ადრე მოციქულ ანდრიას ხედა წილად კაბა-  
დოკიაში ქრისტეს რჯულის ქადაგება.“ შვილიშვილი  
განაბული უსმეოს ბაბუას, რომელიც ისრაელიდან  
საქართველომდე ნინოს განვლილი 2000 კმ.-მდე  
გზის შესახებ უყვება:

„ის სულ იმის ფიქრში იყო,  
თუ სად არის ქრისტეს კვართი,  
ელიოზმა რომ ნაიღო?...  
რა ხალხია ის წარმართი?“

„და ჯვრით ხელში, რწმენით გულში  
ივერიას მოაშურა  
და იმისი ლოცვა-მადლი  
საქართველოს მოასხურა.“

„წამოვიდა ნინო მცხეთას  
ბინა დასდვა მაყვლოვანსა  
და ცხოვრობდა იქ მლოცველი  
ჯვარცმულისა, მცირე ხანსა.“

„ახმაურდა ივერია,  
გაიღვიძა მთამ და ბარმა  
და კერპობაც შეურაცხყო  
ჯვარცმულმა და მისმა ჯვარმა.“

„გაამტკიცეს მთელ კახეთში  
ქრისტეს რჯული, ქრისტეს მცნება.  
და ბოდბეში მოისურვა  
წმინდა ნინომ განსვენება.“





აკაკი წერეთელი განსაკუთრებით გამოარჩევს სამი წმინდანად შერაცხული ქალის სახელს: ნინოს, თამარის და ქეთევანის, რადგან იცის მათი ფასი და მნიშვნელობა, მათი როლი სულიერ-ქრისტიანული და ისტორიული თვალსაზრისით ქართულ რეალობაში.

1900 წელს ჟურნალ „აკაკის კრებულის“ პირველ ნომერში დაბეჭდილია ლექსი „ქებათა-ქება“, სადაც ვკითხულობთ:

„როცა ქაბუკი გამოუცდელი,  
მას თაყვანს ვცემდი თავდადებულად,  
ვხედავდი ნინოს, თამარს, ქეთევანს,  
იმაში შენათხზ-შეერთებულად.“

ნავიკითხოთ ერთი სტროფი აკაკი წერეთლის სხვა ლექსიდან „ჩემი ლოცვა“:

„თამარს, ქეთევანს და ნინოს  
თაყვანს ვსცემ, როგორ იდეალს,  
საკვერთხად ვუდგამ წმინდა გულს  
და ვუმევ ტრაფიალების აღს.“

1923 წელს სალიტერატურო ჯგუფი „ცისფერი ყანწების“ ჟურნალ „მეოცნებე ნიმორების“ მე-9 ნომერში დაბეჭდა გრიგოლ რობაქიძის (1882-1962) პოლიმეტრული ლექსი „წმინდა ნინო“.

აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის საქართველო ბოლშევიკურ-ათეიისტური რესეტის მიერ ორი წლის იკაპირებულია და ქრისტიანულ თემატიკაზე არასატირული ლექსის დაწერა და გამოქვეყნება მეტად სახიფათოა.

დავაკირდეთ გრ. რობაქიძის ლექსის სტრუქტურას, სადაც ვხვდებით 11,13,12 და 6 მარცვლიან სტრიქონებს, რაც პოეტურ ნაწარმოებს აძლევს ინდივიდუალურ რიტმს და ტონს. დომინანტური 12-მარცვლიანი მეტრია. ლექსში ათვისებულია კონსონანსური რითმები, რაც საუკუნის წინ ტექნიკურ წუნად და სისუსტედ მიიჩნეოდა, დღეს კი სიახლისა და ორიგინალურობის ელფერი აქვს. რითმების ნახევარზე მეტი ზემოხსენებულ ტიპს განეკუთვნება, მაგალითად: დაღვარული-სიყვარული, წყაროს თვალი-მოვსათვალოთ, ხალასი-ქალისა, ხომ უხვია-შეუხვიე, გვენახე-ვენახი, ირევა-ირემი, წამება-მამები, ნასახლევი-გადასხლავენ, სასურველი-ურვილი, საკმარი-საქმარო, დობილო-დანდობილი, შენდობით-გადავშენდებით.

ლექსი საინტერესოა ენეობრივ-სტილური და მხატვრულ-სიმბოლური კუთხით. პოეტს ყურადღება გამახვილებული აქვს ვაზის მნიშვნელობასა და

ღვინისხიდან გაკეთებულ ჯვარზე, ქრისტიანობის ყველაზე ცნობილ სიმბოლოზე. ეს ლექსი წმინდა ნინოს, როგორც პოეტი უწოდებს, ღვთისმშობლის დობილის ქებათა ქებაა.

ნავიკითხოთ გრ. რობაქიძის ლექსი:

„ქალწულო ნინო, მოდიხარ ჩრდილებით:  
დალურსულ ფოთლებში მზის თვალი დაღვარული,  
ვით რკნა ხორასანის –

ჩვენც გულახდილები

შენ წინ ვეფინებით ელვარე სიყვარულით.

შენი სიქალწულე:

ცინცხალი წყაროს თვალი.

და შენი სირბილე:

ალერდი ხალასი.

ნაყოფი. სურნელი. რომელი მოვსთვალოთ  
ისაფერთვალება უცხოელ ქალისა.  
ნინო!

სილამაზით მცხეთა გაგვირისხე,  
რომ ხარ საოცარი ქალწული და ქალი.  
ძალზე შეიყვარე შენ მხოლოდ ღვინისხე.  
და ისიც ვნებული სამსხვერპლოდ დაჰკალი.  
და როცა მოგესმა ნელი ხმა ზევიდან  
გული ღვთისმშობელის ჩვენთვის ხომ უხვია —  
ჯვარი გამოსჭერი ვაზის ნასხლევიდან  
და ცხელი ჭრილობა თმებით შეუხვიე.  
ქალწულო ნინო!

ათასჯერ გვენახე.

შენ გაელერსება ვაზნარის ფურცელი.

მოგელის მარადის დედული ვენახი.

და ოდეს გიხილავს: ტორტმანობს, ირევა.

ვით წყაროს მუცელი —

რომელსაც დაეცემა დედალი ირემი.

აქ არის ტკივილი, არ არის წამება.

(გვეუბნებოდნენ ამას ჩვენ მამები)

არ გვინდა, დედაო, სხვა ჯვარი ბერნების,

არ გვინდა სხვა მინა და სხვა ნასახლევი.

ვიცით: ჯვარი ვაზის ლხინის ლერნების,

ტოტებს აიყრიან როცა გადასხლავენ.

სასტიკი სასხლავით.

## ნინო!

შენი ტანი ლხინის დამტევნელი

არც ერთი ქალწულის არ არის ნაცვალი.

ძუძუებავსილი ნეტა ვის ევნები.

გაივლი ზვარში და ჩაყურსულ მტევნების

მზის თესლით იქსება ყოველი მარცვალი.

ქალი უძლეველი. სასძლო სასურველი.

(მზის ტანი თუ არის ქალწულის საქმარი).

შორიდან გიყურებს აწ შენთვის ურვილი

მზევაჟი ლაშარი მაღალი საქმარო.



ის არის საქართველოს მცველი და მზერავი და ჯვარსა ვაზისას წართმევს ვერავი.

### წმინდათ ნინო!

ვით მიწის ხნულები  
შენ წინ დაღარულან აქ ჩვენი გულები.  
მკერძოზე გადაიარ-და-ბედს გადაურჩებით  
და ტერჯებს დაგიკოცნით მაგარი ტუჩებით.  
დაო და დედაო!  
ლვთისმშობლის დოპილო.  
შენზე ვართ დანდობილი.  
და შენი შენდობით  
არ გადავშენდებით.“

ანა კალანდაძის (1924-2008) ქრისტიანული თემატიკის ლექსი „მოდიოდა ნინო მთებით“, ლიტერატურულ-სამეცნიერო ჟურნალ „მნათობის“ მე-4 ნომერში დაიბეჭდა 1946 წელს, რაც მეტად გასაკვირი მოვლენაა, იმ დროს არსებული ათეისტური რეჟიმის გათვალისწინებით. მსგავსი ლექსის დაწერა და გამოქვეყნება დიდ გაბედულებას მოითხოვდა. მაშინ ა. კალანდაძე 22 წლის გახლდათ და ერთხანს მისი ლექსის დაბეჭდება აკრძალეს. აღნიშნული ლექსი სასკოლო პროგრამითაც ისწავლება, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მის პოპულარობას.

ა. კალანდაძის ლექსის ეპიგრაფად წამდლევა-ბული აქვს ციტატა „მოქცევაი ქართლისაიდან“, სა-დაც წმ. ნინო ამბობს, რომ ეკლესიანი ვარდის ბუჩქს შეაფარა თავი, რადგან იმ დროს ვარდი და ნუში ჰყევაოდა.

ლექსი ხუთსატროფიანი და ჯვარედინ რითმიანია. პირელი, მეოთხე და მეხუთე სტროფი დაწერილია 12-მარცვლიანი საზომის (4/4/4) და 11-მარცვლიანი მეტრის (4/4/3) მონაცვლეობით, ხოლო მეორე და მესამე სტროფები თორმეტმარცვლიანია. საერთო ჯამში ორიგინალური რიტმი იქმნება. რაც შეეხება რითმებს, ყველა სარითმო წყვილი ტრიკვიალურია.

ლექსის მომზიბულელობა მის ინდივიდუალურ, ენობრივ თავისებურებაში გამოხატება. ახალგაზრდა ბეჭეტი განზრას იყენებს ემფატიურ ა-ს და ქართულ სიტყვათა არქაულ ფორმებს: ზედა, ტბასა, ჰკვირდებოდა, გზაი, ესე, წინა, გეშინინ, რაოდენს, რითაც ცდილობს იმ ეპოქის შესაფერისი განწყობილება შექმნას, ჰიმნოგრაფიული პოეტური ენის საშუალებით.

ლექსის სიუჟეტი, როგორც ქართულ წყაროებისა მოცემული, იწყება ჯავახეთიდან, სადაც წმ. ნინო შემოვიდა საქართველოში. მაისის თვეა, წმინდანი ქარიშხლიან გზას მოუყვება და ვაზის ჯვარი მიაქვს. ძალიან აკვირვებს დათოვლილი მწვერვალები. გზად მწყემსები შეხვდებან და ქართლის გზას

მიასწავლიან. დაღლილი ფშატების ჩეროში შეისვენებს ერთხანს. წავიკითხოთ ა. კალანდაძის ცნობილი ლექსი:

„ლურჯ მწვერვალებს  
ქარი რძისფერ ნისლში ხვევდა...  
და, როდესაც ბარში ვარდი ყვაოდნენ,  
თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა  
და ტყეებში ქარიშხლები ბლაოდნენ...  
მოჰკიოდა, ქარი ღრუბლებს მოჰკიოდა

და ფარავანს ტბასა ზედა ძრწოდა ქარი...  
მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა

და მოჰქონდა სანაცრელი ვაზის ჯვარი...  
თოვლის მთებით ჰკვირდებოდა უცხო მგზავრი, –  
ვის უნახავს ვარდობისას თოვლი მთებზე?  
მწყემსასა ჰკითხა: რომელია ქართლის გზაი?  
მწყემსმა უთხრა: საქართველო არის ესე...  
მიეძინა... ერთ წალკოტში მიეძინა  
და ფშატებმა მზისან მოუჩრდილეო; ო,  
ეს ვინ არი, გამოცხადდა მგზავრის წინა?  
„ნუ გეშინინ!“ – ეუბნება იესო...  
გაელვიძა... წუთით იგრძნო მშობლის სევდა,  
მაგრამ რწმენა ავალებდა რაოდენს?  
თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა  
და ტყეებში ქარიშხლები ბლაოდნენ.“

ლეონტი მროველის „წმინდა ნინოს ცხოვრება-ში“ კვითხულობთ: „მივიდნე და დამარხეს ძლევით შემოსილი მისი გვამი იმავე ადგილას, კუხეთს, დაბა ბოდში, რამეთუ იქ ითხოვა თვით მეფისგან დაფულა. სიმდაბლისთვის ქმნა ეს, რადგანაც ეს ადგილი სახელგანთქმული არ იყო, მწუხარე იყო მეფე და ყველა წარჩინებული, იქ მისი დაფვლის გამო, მაგრამ მცნებისა და ანდერძისა აღსრულებისთვის დაფლეს იქ.“ – ეს მომხდარა 338 წელს.

მე-19 საუკუნის ბოლოს ხატმწერმა და ჰაგიოგრაფმა მიხეილ გობრონ საბინინმა (1845-1900) წმ. ნინოს საფლავის ქვა მარმარილოს ლუსკუმით (სარკოფაგი) შეცვალა.

მიქაელ საბინინი წერს, რომ XIX საუკუნის მიწურულამდე ყოვლადპატიოსანი ვაზის ჯვარი სვეტიცხოვლის ტაძრის საკურთხეველში იყო, ხოლო ამავე საუკუნის დასასრულს ჯვრის მონასტერში გადაასვენეს. ამჟამად სიონის ტაძარში ინახება.

2013 წელს აკაკი დაუშვილის რედაქტორი პით, ქრისტიანული პოეზიის III ფესტივალის „წმინდა ნინოს ჯვარის“ ფარგლებში გამოიცა ლექსების კრებული „წმინდა ნინო ქართულ პოეზიაში“, სადაც დაბეჭდილია ძველი და თანამედროვე პოეტების მიერ წმინდანისადმი მიძღვილი 90 ლექსი. მათ





გარდა სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა უურნალ-გაზეთში წმინდა ნინოსადმი მიძღვნილ 50-მდე ლექსს ვპოულობთ.

აღნიშნულ კრებულში ვკითხულობთ ჯემალ ინ-ჯიას მაღალი მხატვრული და ტექნიკური ხარისხით გამორჩეულ ლექსს „წმინდა ნინოს საფლავთან“, რომელიც 1995 წელს დაწერა.

როგორც ჩანს პოეტმა ბოდბის წმ. ნინოს დე-დათა მონასტერი მოილოცა და „დედად ქართველ-თა თემისადასად“ წოდებული წმინდანის საფლავის ხილვამ საფიქრალი აუშვლა. ის არ ეხება წმ. ნი-ნოს ცხოვრების პერიპეტიებს და შემოფარგლუ-ლია კონკრეტული გარემოთი, გვიმხელს ბოდბები დაბადებულ განწყობილებებს.

საინტერესოა პოეტური ტექსტის არქიტე-ქტონიკა და გარითმვის სქემა, მეტრულ-რიტმული სტრუქტურა. ლექსი 7-სტროფიანია, თოთო სტრო-ფი 6 ტაქტისგან შედგება და სამჯერადა, ჯვარედინი გარითმვის წესი (აბაბა) ბოლომდე დაცულია.

ლექსის სიუჟეტი იწყება წმ. ნინოს საფლავიდან. პოეტი თოკით შემოსაზღვრულ სარკოფაგთან მიდის და ქვას ხელით ეხება, რის გამოც შიშობს ტაძრის მესვეურები არ გაუბრაზღნენ, თანაც ახალგაზრდა ასაკში გარდაცვლილი წმ. ნინოს გამო წუთისოფელს საყვედურობს. უცებ ტაძრის ეზოში გრძელნამნამე-ბა ქალიშვილს შენიშნავს და ქვეცნობიერში წმინდა ნინოს მიამსგავსებს. ქალწულის მშვენიერება გულ-ზე ცეცხლს მოუკიდებს, თან ცდილობს, რომ ცოდ-ვილი ფიქრები მოაშთოს გონებაში.

პოეტი მე-4 სტროფში პერიაჟის აღნერაზე გა-დადის, საიდანაც ვიგებთ, რომ მარტის თვეა, მოლი-ლურჯი და თეთრი იყბით არის მორთული. შემდეგ ისევ უცხო ქალიშვილს უბრუნდება, მისი ლიმილი-დან ცოტაოდენ ვნებასაც გრძნობს და რაღაც ძალა გარეთ ექაჩება, სადაც ზვრები და ხევები მარტის მზით თბებიან, „ეს ზვრები წმინდა ნინოს თმებია და იქ ჩაღდება ჯვრების ფერზული“ – ასეთ ორიგ-ინალურ შედარებას ვკითხულობთ ლექსში. პოეტი ბოლოსკენ გვიხატავს წმინდანის სახეს, რომელმაც ერი გააქრისტიანა, გვინინამძღვრა სიბნელიდან სინათლისკენ მავალ გზაზე, თუმცა დაფნის გვირგ-ვინი არასდროს დაუდგამს თავზე. ის ქრისტიანული სინათლე, რომელიც მან დატოვა, გაცილებით მნიშ-ვნელოვნია, ვიდრე ჩვეულებრივი მზის სხივი, ახლა მის საფლავს რომ დაპნათის. პოეტი კმაყოფილია ძველი ტაძრის მოლოცვით და მაღლის მიღებით. სჯერა, რომ მის ურნმუნო ცხოვრებაზე, ეს დღე დადებით ზეგავლენას მოახდენს. წავიკითხოთ ჯ. ინჯიას ლექსი:

„მე წმინდა ნინოს საფლავს დაცურებ  
და მეუფლება ისეთი განცდა,  
თითქოსდა კუბოს თავი დაეხურე,  
თან წუთისოფლის გრძება დამცდა.  
ტაძარს უთუოდ ჰყავს მეთვალყურე,  
უცდი მის რისხვას და, ვაი, ამ ცდას.

ეს გაორება თუ გასამება  
იქნება გაპერეს, ზღურბლს რომ გადავჭრი,  
მსურდა სიტყვისთვის სიტყვა წამება,  
რადგან უცეცხლოდ აქ ვერ გადავრჩი.  
ვგრძნობ, ჩავუგდივარ გრძელწამნამება  
უცნობ ქალიშვილს ცოდვის ლადარში.

არ შეიძლება აქ შეცოდება,  
აქ სიყვარული არ შეიძლება,  
მაკრთობს მაღალი სამღვდლო წოდება,  
ლოცვა-კურთხევას მტლად რომ იძლევა,  
მაგრამ კაცს ხელის გამოწოდება  
მაშინ გსურს, როცა მიწა ინძრევა.

მიწა ამჯერად გულია ჩემი,  
გული ტევადი, გული მომცველი,  
ტაძართან იით მოსილი თხემი  
დასტირის ზამთარს, მარტით მოცელილს.  
გამოიგლოვა ბოდბეში ტყემ ის,  
სხივმოსილია ერთი მლოცველიც.

მე მას ვუცურებ და მის ვნებიან  
ლიმილს. ლიმილო, ხარ უხერხული.  
გავიდეთ გარეთ, სადაც თბებიან  
მარტის მზის გულზე ზვრებიც, ხევ-ხუვიც.  
ეს ზვრები წმინდა ნინოს თმებია  
და იქ ჩაღდება ჯვრების ფერზული.

დაეცა სხივი წმინდანის საფლავს,  
სწორუპოვარო ღმერთო, ჰელიოს,  
არ ღირსებია არასდროს დაფნა,  
როგორც წინამძღვრის, ბრძენს და გენიოსს.  
ქრისტიანებო, ვიცექიროთ მძაფრად,  
ეს სხივი სხვაში არ აგვერიოს.

მე ვანთებ სანთელს და სანთლის წვაში  
ღვივდება ჩემი ოცნების თესლი,  
ამ ღლეს ხსოვნიდან არასდროს წავშლი,  
ვამაყობ ამ ძველ ტაძარში შესვლით.  
წმინდანის ლანდი, ჯვრითა და თავშლით,  
ხვალ ჩემს ურნმუნო ცხოვრებას შეცვლის.“



# ଶ୍ରୀମତୀ କର୍ମଚାରୀଙ୍କ

ଅନେକ ପାଇସ୍ତରିଣିକାଙ୍କ କୃତ୍ୟକାରୀ ମୋହିଲୁଗ୍ରନ୍ଥରେ, ରାମ ଓ ଶ୍ରୀ ପ୍ରଥମକଣ୍ଠୀଙ୍କ  
ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ ବାକ, ଶ୍ରୀନାରାଯଣର ମିଶରାଙ୍କ ଶ୍ରୀମତ୍ତ୍ଵଗୁମିଳିଙ୍କ ମେନାମ୍ପୁଳି ରତ୍ନପୁନ୍ଦିରା  
ପୁନ୍ଦିରା ମିଳିକର୍ତ୍ତାଙ୍କରେ।

၁၆၂



## ଲୋକଶର ବ୍ୟାପାର ଓ ଲୋକଶ ବ୍ୟାପାର

ვის ვის და ოთარ მამფორიას სრული უფლება ჰქონდა, ხმამაღლა ეთქვა, ლექსი ვარო. დიახაც რომ ლექსი იყო, ლალი, ენგურივით თუ არაგვივით მოვარდნილი ლექსი, სულს რომ გვიფორიაქებდა და კიდევ ერთხელ შგვახსენებდა თუ რა ბეტნიერება გვარგუნა არსთაგამრიგემ, როცა ქართველებად მოგვავლინა ამქვეყნად და თანაც საქართველოში. დიდ თანამოკალმეთა დარად თავის თავს ხართან აიგივებდა, ქვეყნის მარჩენალ ხართან. აკი წერდა კიდევ:

იმ ხარს ვგავარ, ტანჯვის ულელს  
რომ თვლის ზეცის მოწყალებად,  
რქებით ჭიშკარს როცა ულებს  
გაზაფხულის მოპრძანებას.

თუმცა ერთ-ერთ ლექსში, სადაც ხარსა და  
მარტორქას ადარებდა ერთმანეთს, ასე მიმარ-  
თავდა ხარს:

ხარო, ორი რქა რად გინდა,  
მაინც უღელი გიდგია.

იმ ხარში რომ სამშობლოს გულისხმობდა, ამას რა მიხვედრა უნდა, მკითხველო, არც იმის გასიგრძება გაგიჭირდება, თუ რა ნაცნობი ტკივილითა გაჯერებული ეს სტრიქონები, რამ-დენი სევდა და ნაღველი მოწვეთავს. ოღონდ, საოცარი ისაა, რომ ეს ლექსი 1955 წელს დაიწ-ერა, საბჭოთა ტირანიის აპოგეის ჟამს, იმ დროს, როცა მსგავსი სტრიქონებისთვის ციმბირს უკან ატოვებინებდნენ ყველას, ვისაც „დიად საბჭოე-თზე“ ოდნავ გადაკრული სიტყვა წამოცდებოდა. ეს რა თქმა უნდა ოთარ მამოლირიამაც იცოდა, მაგრამ სხვანაირად ცხოვრება და ღვწა არ შე-ძლო. საქართველო ხომ მისი არსებობის ანისა და ჰოის წარმოადგინა.

როცა ლექსს ვწერ,  
დილაა თუ ბინდია,

საქართველო

ବିରାମପାନାଳ ମିନତୀଙ୍କ

ქართულ მიწას შესტროფდა მინდიასაგვით. ამ მიწამ ხომ საკუთარი მხრებით ზიდა ჩვენი ამაყი და ქედუხრელი გმირობის მწვერვალები, ჩვენი ხმალი და ვაზი, ზიდა მამულის გმინვა და (კრამლი, უთვალავი ტაძარი და (ისეთ-კოშ კი.

პოეტი იმ ზარების ჭირისუფალი იყო, ადრე  
ქუდზე კაცს რომ უხმობდნენ საქართველოს გა-  
დასარჩენად გამართულ ომებში, მარაბდასა თუ  
კრწანისში, იმ ზარებისა, რომლებსაც მირიადი  
ნატყვიარი თუ ნახმლევი ატყვიათ და მაინც  
მზად არიან ძველებურად გაუბზარავი ხმით  
იგრგვინონ სამშობლო ქვეყნის სადიდებლად.  
პოეტს იმ ქართველების დარღიც გაეთავისები-  
ნა, რომლებსაც ორგულობამ და გაუტანლობამ  
საშუალება არ მისცა ივერთა მიწისათვის ბო-  
ლომდე დახარჯულიყვნენ და დღემდე დაუმსახ-  
ურებელი ცილისწამებების ობიექტად ქცეულან.  
ერთი მათგანი ხომ გიორგი სააკაძეა, ნოსტეს  
ციხეს რომ ევედრება, ნისლი რომ შემოგხვევია,  
იმ ნისლით შემიხვიე იარაო, ჩემს გულში მუდამ  
საქართველო ფეოქავდა და ამიტომაც ჩიხის  
კალთით მუდამ დამქონდა ქართლის მიწა, პაა-  
ტას თავს რომ მაგონებდა და მაალმასებდაო.  
არც ნებსითი თუ უნებლიერ მოღალატეები დავი-  
წყებია, იაზონზე, ბერძენთა უფლისწულზე თავ-  
დავიწყებით შეყვარებულ ქალს სამშობლოს ღა-  
ლატს არ პატიობს და თუმცა შემზარავ, მაგრამ  
მაინც სამართლიან და ადეკვატურ შეფასებას  
აძლიერება.



თავად კი მართლაც ვერ გაერკვია ვინ ან რა იყო, წმინდა ნინოს თმებით დაწნული ვაზის ჯვართან დამხობილი პილიგრიმი თუ ვარძიის დაცვარული ლოდი, დღემდე რომ სასოებით უფრთხილდება თამარის ნაფეხურებს, გელათიდან აფრენილი არჩივი თუ ზედაშეთი ავსებული ბარძიმი, დარიალზე მოხვეული ნისლი თუ ცრემლებით გაბზარული ჩანგური. იქნებ მხოლოდ ლექსი, ან სიყვარული, რაც, ფაქტობრივად, ერთი და იგივეა.

რა თქმა უნდა, ლექსი იყო, პოეზიის, ლექსის რაინდი და მასზე უკეთ აბა ვის მოეხსენებოდა, რომ ნაგრიგალარ მუხას ფეხსვებს პოეზია უმაგრებდა, ისიც იცოდა, რომ თუ საქართველოს მთა-ველებს უკვდავება უწერიათ, ეს იმიტომ, რომ ცა-ფირუზის კაბადონზე მარადიულად ანთია „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც ქარაშოტები გაშმაგებით, რაღაც საოცარი დაგემოვნებით უფურცლავენ ავთანდილის ანდერძს.

ოთარ მამფორიას კარგად მოეხსენებოდა, რომ თუ ჭეშმარიტი შემოქმედი ხარ, შენი ოცნება მუდამ შემოდგომის მენამული ცისკენ უნდა მიისწრაფოდეს.

სულ მაშფოთე, გამააფირე  
გაბმულ სიტყვის მსგავსად,  
მაგ ჩერებით, მაგ ტორებით  
კვლავ მზეს შემახალე.

ბენვის ხიდზე უნდა იაროთ, ზვავის ძალა უნდა გქონდეთ, რათა სიყვარულის ცეცხლით მძლიოთ და ელვასავით შემამსხვრიოთ უქათქათესი მთების ჯავშანსო, მიმართავდა თავის სტრიქონებს, რომლებიც მათი პატრონის ხელში ქურანა ცხენებივით ჭიხვინებდნენ და სიკეთის, მშვენიერების, სილამაზის, ერთგულების დესპანებად გვევლინებოდნენ.

ისევ გავყვები ოცნების დელვას,  
დავიფერფლები სიმღერის ალით,  
რომ დილით ლექსმა ჩემს მაგიერად  
შეაღოს ყველა ოჯახის კარი.

დავიფერფლები სიმღერის ალითო, კი ამბობდა, მაგრამ ისიც ხომ იცოდა, რომ საუკუნეთა გრიგალები ჭეშმარიტ პოეზიას ვერაფერს აკლებს, რომ ლექსს რჩება უამი და უკვდავება. ესეც იცოდა ამ ბრწყინვალე პოეტმა, რომელიც სიყვარულისთვის, დიდი ადამიანური ბედნიერებისთვის იყო გაჩენილი. სიყვარულს ეძღვნება მისი საუკეთესო ლექსები, ისეთები, როგორიც თუნდაც „ყაყაჩია“ – ერთ-ერთი შედევრი ქართული ლირიკული პოეზიისა. ეს ლექსი მაშინ იწერებოდა, როცა კაცს კაცი ერქვა და ქალს-ქალი. ყაყაჩი მისთვის საქართველოს მინდვრების თვალიშერა ასული იყო და, ალბათ, ამიტომაც რჩება დღემდე ამ ლექსზე შექმნილი

სიმღერა დიდი სიყვარულისა და ერთგულების ეტალონად, სიხარულს და შვებას რომ ჰგვრის მსმენელს.

ოთარ მამფორია რაინდად იყო დაბადებული და კარგად მოეხსენებოდა, რომ ნამდვილ, ჭეშმარიტ სიყვარულს სათუთი მოფრთხილება სჭირდება და რაც არ უნდა მოხდეს, თუნდაც მთელი სამყარო დაგიპირისპირდეს, თუნდაც მკვლელთა მთელი არმადა დაგადგეს თავზე მოშხამული დაშნებით, თუ კაცი ხარ, თუ მართლაც გიყვარს შენი საესავი არსება, ბოლომდე სირანოდ უნდა დარჩე და აღსრულო ლექსად და კაცად

ო, ის ერთი სახლია,  
შორი, შორი ნაპირი,  
ეზოში კი ძალლია,  
ჩემზე ყეფით დალლილი.

კითხულობ ამ სტრიქონებს, რომლებიც თითქოს მხოლოდ ინფორმაციას გვანვდიან რაღაც მოვლენაზე, მაგრამ ჩვენ ხომ ვგრძნობთ, რამდენი განცდა, ვნება თუ ზმანება ახლავს ამ ერთი შეხედვით ნეიტრალურ სტრიქონებს.

გულო, ჩადექ საგულესა –  
კალმახივით ნუ ფართქალებ.  
თვალო, მისწვდი ცაში მერცხალს  
და სიყვარულს უთვალთვალე.


ეს გაუმარჯოს პირველ სიყვარულს, ძველ ჭრილობაში ჩარჩენილ ისარსო, წერდა პოეტი და კიდევ ერთხელ შევახსენებდა, რომ სიყვარული არცთუ იშვიათად ჯვარცმად გვექცევა ხოლმე, როდესაც ჩვენი ნანდაურები მასზე, როგორც მგზავრობისას ყურმოკრულ ამბავზე, ისე საუბრობენ.

ნახვალ, მოიხსენ მხრებიდან ტალღა,  
გადაიქროლე უჩინარ ქალად  
და ნატერფალი ქვიშაზე ახლა  
ბრწყინავს დაკარგულ ბეჭედის დარად.  
რამდენი მოთმინება და ძალისხმევა სჭირდებათ ჭეშმარიტ შეყვარებულებს, რომ სხვადასხვა მიმართულებით მავალ გვერდშექცეულ მატარებლებს არ დაემსგავსნონ, რომ ნიბლიასავით თოვაში არ გაეყინოთ ის წრფელი გრძნობა, რომელიც ერთადერთ „პერპეტუმ-მობილეს“ წარმოადგენს სამყაროში.

სიყვარულის ტრუბადური იყო და ამ მრავალწახნაგვან გრძნობაში მნიშვნელოვანი ადგილი მის მშობლიურ ქუთაისს ეკავა, საქართველოს ქალაქების თმაჭალარა თამადას, როგორც თავად უწოდებდა სავარდო და სამაისო ქალაქს.

მინა ხარ თუ ვეფხის ტყავი,  
ბრწყინავ ათასფერადად,  
ზეცა – ორბის ფრთანაკრავი





ოთარ მამდორია

მალლიდან გეფერება.  
ჩაგხვევია სათაფლია  
დაცვარული გედივით,  
მკერდზე მტრედად დაგფრენია  
ხვამლის თეთრი მერდინი.  
ქუთაისს უძღვნა მისი შემოქმედების  
ერთ-ერთი გვირგვინი – ბალადა „კარანაძის ცხ-  
ენები“, რომელშიც კიდევ ერთხელ გაცხადდა  
მისი პოეტური ძალმოსილება, სილალე და თაყ-  
ვანისცემა ქუთაისისადმი:  
ქუთაისი იღვიძებდა, –  
იმერეთის ედემი,  
ცისფერ ნისლში გიზგიზებდა  
დათქორილი ქედები  
და რიონის ჩქერის ჩხრიალს  
ისხურებდნენ ნანინად:  
ბალახვანი, საფრჩხია,  
ჭომა, მწვანეყვავილა.  
ამ დროს ქუთაისური ალიონი თითქოს  
ღმერთის საყურეზე ეკიდა, კარანაძის ეტლში  
თითქოს სრულიად ქუთაისი და მისი დარდი-  
მანდობა იჯდა, სტუმართმოყვარე, ხელგაშლი-  
ლი და გულგაშლილი მასპინძელი. დიახაც რომ,  
მხოლოდ ქუთაისელ პოეტს შეეძლო იმის თქმა,  
რასაც ოთრ მამთორია ამბობდა:  
ყველა აქ არი და მაინც კარი,  
ჰე, მასპინძელო, დატოვე ღია.  
ცარიელია ეს ერთი სკამი  
და იქნებ ვინმე მოვიდეს გვიან...  
სიყვარულითაა გამსჭვალული ოთარ მამ-  
ფორიას ის ლექსებიც, რომლებიც მან ქართული

მწერლობისა და ხელოვნების კორიფეებს მიუძღვნა. თუმცა ჯერ ის ციკლი უნდა ვახსენოთ, რომელსაც „დაფნის რტოები დედას“ ჰქვია და მისი გულის მდუღარებას იტევს. დედი, შენი სული ჩავისუნთქე, არასდროს რომ არ გამეყარო და ჩვენც ეჭვიც არ გვეპარება პოეტის გულწრფელობაში.

რა სასოებით ეპყრობოდა ქართული პოეზიის, ქართული ლექსის ტიტანებს, იმ შვიდეულს, დღესაც ამაყად რომ ბრწყინვავენ ქართული ზეცის კაბადონზე და ქართული სულისა და სულიერების მარადიული უკვდავების გარანტებად გვევლინებიან. ისინი პოეტს ტაძრებს აგონებდა და საქვეყნოდ აცხადებდა, არც ისე კადნიერნი ვართ, ჩვენი ადგილი არ ვიცოდეთ, თუმცა

და საქართველოს მესიტყვედ  
მისთვის დაგვლოცა ზეცამ,  
დიდ ტაძრებს რომ არ შესცივდეს,  
ბზარებს ლექსებით ვლესავთ.

ნიკოლოზ ბარათაშვილს, რომელთანაც განასაკუთრებულ სულიერ სიახლოვეს გრძნობდა, მისი ერთადერთი პოემა უძღვნა და ასე მოეფერა ულვთოდ აღსრულებული ყველა დიდი ქართველი რომანტიკოსის სულს.

შორს იელვებს იმ თვალების ჯადო,  
ბროლის ყელი და საყურის ჩრდილი,  
უდაბნოში ლოცვად შედექ, ტატო  
და შორიდან ეხუტები თბილისს.

ყვარელი ბატონი ოთარისთვის სამშობლოს შუბლსა და ძარღვს ნარმოადგენდა, სხვიტორი კი – ბულბულის დაცვარულ ყვავილნარს. აი, ნინამური ყველა ჩვენგანისთვის ქართლის სევ-  
დისა და ცრემლების საგუბარიაო., გვიმტკიცებ-  
და პოეტი, თუმცა ამას რა ფიცი-მტკიცი სჭირ-  
დებოდა. საქართველოში, ამ ერთ ციდა ედემში,  
ქარში ფოთოლიც არ დაკარგულა მაჩაბელივი-  
თო, გული სტკოდა ამ გენიალური მთარგმნე-  
ლის თანამედროვე ქართული სალიტერატურო  
ენის ერთ-ერთი შემქმნელის უმოწყალო გაუჩინ-  
არების გამო და მოვიწოდებდა, ეს ერთი მუჭა  
ქართველობა გაფრთხილებოდა თავისი დიდი  
შეილების არსებობას.

თმაზე წვეთავდა ზეცის მირონი,  
შვოთაიან სიყრმის დაკარგულ ცრემლად,  
წვიმაში იდგა გალაკტიონი  
და მხრებზე სცემდა ბრდლვიალა ელვა.

ეს ამონარიდი კი იმ ლექსიდანაა, რომელ-  
იც პოეტმა ღვთაებრივ გალაკტიონს უძღვნა,  
ქართული მწერლობის მშვენებას, ცხადად რომ  
ეტყობოდა მკერდზე რითმებად ჩამოლვრილი  
ცისა და მინის უკვდავი ფერი.

რა საოცარი სიყვარული ჩააქსოვა პაოლო





იაშვილისა და ტიციან ტაბიძის, უშანგი ჩხეიძისა და სერგო ზაქარიაძის, გიორგი შავგულიძისა და ირაკლი უჩანეიშვილისადმი მიძღვნილ ლექსებში.

თუმცა ეს დიდებული ქართველები რა სახ-სენებელია, როცა ის ოთხი კაციც არ დავიწყებია, რომელებსაც თავის დროზე მისი სასახ-ლის მხარზე გადება მოუწევდათ.

ამ ქვეყნიდან ოთხი კაცის,  
ოთხი კაცის ვალი  
წაგყვება და არ დაგაცლის  
მის გადახდას ჟამი.

ბატონმა ოთარმა იმ ერთი შეხედვით ავად-სახსენებელ ტახტსაც მიაგო პატივი, რომელიც მწერალთა კავშირის სასახლის დარბაზში უკანასკნელ განსასვენებლად იქცეოდა ხოლმე XX საუკუნის ქართული მწერლობის კორიფე-თათვის.

თუმცა მკერდით დაგიფარავს  
ქართულ ლექსის მირონი  
და გაუქელ, რომ დაგაწვა  
მხრები გალაკტიონის.  
სიტყვის ხმალის ჩაუგების,  
სიბრძნით თმადანათოვის,  
უერთგულე ამაყ ცხედარს  
კონსტანტინე ბატონის...

ერთმა მიძღვნითმა ლექსმა კი, თეატ-რის კეთილ კონტროლიორს რომ ეძღვნებოდა, რომელიც თეატრის ჯადოსნურ სამყაროში უბილეთოდ უშვებდა ლარიბ სტუდენტებს, ჩემს მახსოვრობაშიც წამოატივტივა მსგავსი მოგონება. მეშვიდე თუ მერვე კლასში ვიყავი, როდესაც თანაკლასელმა რუსთაველის თეატრში დამპატიუა. თეატრის კონტროლიორად მამამისი მუშაობდა და უბილეთოდ შეგვიშვა ბიჭები. არადა, იმ სალამოს თეატრში „მეტენის ჩრდილ-ში“ გადიოდა და მაშინ იყო, რომ პირველად ვიხილე გენიალური სერგო ზაქარიაძე. სპექტაკლმა ისეთი დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე, რომ მერმე ათჯერ მაინც ვნახე ეს წარმოდგენა. ასე გავიცანი დაუსწრებლად ოთრ მამფორია, სიყვარულისა და სათნოების ტრუბადური. ამას მარჯანიშვილელთა „იეთიმ გურჯი“ მოჰყვა დიდებული ირაკლი უჩანეიშვილის ელვარე ნიჭის გაელვებით. ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ქართული ნიჭიერების ამ ფეიერვერკული გაბრძყინების მომსწრე მეც ვიყავი, ერთი რიგითი ქართველი...

ოთარ მამფორიას სიყვარულის თითქმის ყველა ასპექტზე გესაუბრეთ და ლამის ერთ-ერთი უმთავრესი გამომრჩა, ის, თუ როგორ ეტრიფოდა ქართულ ვაზსა და ლვინოს, რომელიც მისთვის ქრისტეს სისხლთან ასოცირდებოდა,

რაც ლვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყნის შვილისთვის განსაკთოებით ძვირფასი იყო და, რა გასაკვირია, თუ უბრნყინვალესი სტრიქონები უძღვნა ქართულ ვაზს – ჩვენს მარჩენალსა და ჭირისუფალს:

ვაზის შუქი სულის მზეა,  
ქართველს ძარღვში უჩქეფს,  
მისი ფესვი გაუდგია  
მთებზე ციხე-ბურჯებს.

ჩვენი დამოკიდებულება ვაზისადმი საქა-რთველოს დაუძინებელმა მტრებმაც იცოდნენ და როდესაც შაპ-აბასმა კახეთში ვაზის – სიმამ-აცის დედის აჩევა ბრძანა, ჩვენმა წინაპრებმა ყურძნის ნაცვლად გულის

დარდი ჩააწურეს ჯამში

.....

და ლვინის წილ შესვეს  
მწარე უმზეობის ბოლმა.

მწარე უმზეობის ბოლმა, მწარე უმნეობის განცდა, როგორც იმერეთში იტყვიან ხოლმე, ხშირად „დადარებია“ ოთარ მამფორიას. თუნ-დაც მეორე მსოფლიო ომის ტრაგედიისად-მი მიძღვნილი ლექსი „ძალი“ სწორედ ამის დასტურია. ლექსში აღნერილია, ლუკმაპურის საშონელად თუ როგორ გაყიდის ოჯახის ერთ-გულ ძალს მარტოდ დარჩენილი დედაშვილი. რამდენიმე წლის შემდეგ კი რაღაც მანქანებით უკან მობრუნებულ ძალს შინ არავინ დახვდება... წუთისოფლის მდინარე მებადურის ბადეს აგონებს ოთრ მამფორიას.

იქნებ წლებიც ამ ჭაღარას  
ბადესავით ისვრის,  
მე კი მაინც მზე მგონია  
თმაზე თეთრი ნისლი.  
და ვინ იცის, იქნებ უკვე  
მისი კალთა მფარავს,  
იმ ბადეში გავხვეულვარ  
ორაგულის დარად.

პოეტიც ოროსანი მოწაფესავით თავჩაქინ-დრული დგას დროის მდინარების წინაშე და მორჩილად ელოდება, თუ როდის შეისმება მისი სიცოცხლის ჭინჭილა. ერთს კი უფრო თამამად შესთხოვს, როცა სამარის ქვიშად გამცრი, ჩე-მივე სუნთქვით არნიე ერთი ობოლი ნაძვიო.

მომიღერა მწველი დაშნა,  
სულიც ლექსმა დაფლითა,  
ვარდისფერად ირიჟრაჟა,  
ყაყაჩოსფრად დაბინდდა.  
მერე ზეცამ მიწის კართან  
ჯვარი დასვა მიჯნურთა,  
არყისფერად იცისკრა და  
ლვინისფერად მიმწუხრდა.  
დიახ, დიახ, პოეტმა ზუსტად იცოდა, რომ



ჩვენც ისევე ჩამოვარდებით წუთისოფლის საქანელიდან, როგორც დამჭერარი ვერხვის ფოთოლი მოსწყდება ხოლმე ხის ვარჯს, რომ თითოეულის თავთან დაფლეთილი აფრასავით ირხევა ტანჯული ბედი და შეგვახსენებს, რომ ჩვენი ცხოვრებაც მარულას ჰგავს, რომელიც, როგორც ყველაფერი, დასასრულით მთავრდება.

თუმცა... რანაირად შეიძლება დასასრულზე ისაუბროს პოეტმა, რომელსაც შეუძლია ასე დაახასიათოს საკუთარი თავი:

იმ მთას ვგავარ, ორბის ბუდეს  
დარიალის ნისლს რომ ანდობს,  
ცისკრის ვარსკვლავს რომ იხუტებს  
ჩვილ ბავშვივით უპერანგოს.

ოთარ მამფორია პეიზაჟების ხატვის დიდოსტატი იყო, ნახეთ, რა დიდებულად ქმნიდა ღამეული ზღვის ხედს:

გადაირეკა ღრუბლის ქულები,  
თვალს აკიაფებს ფერთა სიჭრელე,  
და ვარსკვლავები – მებადურები  
ოქროს ანკესით თევზებს იჭერენ.

რიონი მისთვის თეთრჩოხიანი მაყარი იყო, რომელიც მოდის და თან ცისკარი მოჰყვება სხივთა ათინათებით:

ზიარების ემბაზს ჰგავდა  
ქაფმოხდილი რიონი,  
კვირაძალის მადლით ბანდა  
ნათლისლების მირონით.

ან კიდევ:  
ქარი ურხევს ტირიფს ნაწნავს,  
ქარია თუ ვინ არი?  
რიონს მწვანეყვავილასთან  
უყვარს ნაწისქვილარი.  
მთვარე ღრუბლის მტევანს წურავს,  
ჭომის ბალში ფარფაშობს,  
ნაციხარში შემწყვდეულა  
სისხლმიმხარი ყაყაჩო.

ოთარ მამფორია ის პოეტი იყო, რომელსაც მთაში აკანკალებული ნაციხარის, ფოთოლ-გაცვენილი ვერხვის, ჩამომჭერარ ჭალაში ატირებული ქარის, ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავის დარდი ადარდებდა და მოსვენებას უკარგავდა. ისიც ანუხებდა, როცა ყელგამოჭრილ ხოხებს მიმსგავსებულ უმშვენიერეს ყვავილებს შეავლებდა თვალს.

პოეტი იყო და იმის დანახვა შეეძლო, თუ როგორ წვეთავდა თეთრ ლეჩაქზე დარდი შავზე შავად, როგორ გალობდნენ ქაშუეთის ჩუქურთმები, თუ როგორ ტიროდა ღობესთან თავჩარ-გული გაზაფხული, თუ როგორ მიწვა ბალახზე

მთვრალი მაყარივით მუხის ლანდი, როგორ ეგდო ლურჯი მტკვარი მოსევადებული ხმალივით, როგორ გიზგიზებდა ლექსის სტრიქონი ნაკვერჩალის დარად, მთათა მწვერვალებს ფრინველივით როგორ ეცემოდა დილა, როგორ იწვოდა პატრუქივით ღამე, როგორ ირხეოდა ბედისწერასავით ნისლში სამარეში გაზრდილი ბარდი, თუ როგორ ეგდო მთვარე გიუმაჟ ენგურში...

როგორ შეიძლება ხაზგასმით არ ითქვას „მამფორიზმებზე“ – ოთარ მამფორიას ანდაზა-ქარაგმებზე, შეგონებებზე, ნაკვესებზე, რომლებიც მათი ავტორის ცინცხალი ნიჭიერების, უზღვავი იუმორის კიდევ ერთ უმშვენიერეს დასტურს წარმოადგენს.

გაჭაღარავებული პოეტი გრძნობდა, რომ თნდათან იწურებოდა მისი ამქვეყნიური არსებობის ვადა და ამას ამაყად თავაწეული ხვდებოდა.

დალვრის მიქელ-გაბრიელი  
ზიარების ზედაშეს  
და დაუცდის თეატრონის  
ისევ ახალ დადგმას.  
ჩვენც გულწრფელად ვითამაშოთ  
დღეს საწუთოს სცენაზე,  
ხვალ სპექტაკლში საჭირონი  
არ ვიქნებით რადგან.

იმის იმედი ჰქონდა, რომ მშობელი მიწა მისი სამარისთვის შავ ბელტებს დაუნანებლად გაიმეტებდა. უფრო მეტიც, ნათელმხილველივით იცოდა, რომ

თუკი დიდუბის მიწაც არხევს, ლექსად დამწვარი,

მერე რა მიწა, ვაჟას პერანგ გამონაცვალი. აბა, სიკვდილი რას დააკლებს ანთებულ მგოსანს,

როცა საფლავშიც არ თავდება მამულზე ლოცვა...

დიახ, სიკვდილმა, არა სიკვდილმა კი არა, გარდაცვალებამ ვერაფერი დააკლო თოთარ მამფორიას, დიდებული პოეტისა და მოქალაქის კოლორიტულ სახეს. იგი დიდუბის მწერალთა პანთეონში განისვენებს და მართლაც საფლავიდან აგრძელებს მამულზე ლოცვას.

წელს 100 წელი სრულდება ოთარ მამფორიას დაბადებიდან და ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ, რომ სამშობლოს ახსოვს მის დიდებაზე მოფიქრალი მწერალი, მართლაც კელაპტარივით რომ იწვოდა და ჩუქურთმასავით დახვენილი ლექსებით ცხოვრებას ულამაზებდა თანამძმეთ.





### იამზე არველაძე- ხეცურიანი

გრიგოლ რობაქიძის საზოგადოების  
თავმჯდომარე

ქართველი კულტურის ცენტრი

მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებას შევრი ინტერესითი მიმომხილველი ჰყავს და დამფაქტურელი საქად-როველობი, დღემდე მაინჯ სამშობლოსგან მისი მეტალი სულისა და გონის საკრატოსი პატივისაცემა არ რგვინა. გრიგოლ რობაქიძის პიროვნული ლინიერა ქრისტენ-ფილიკორაფორა იყო. თავით ტერ-ფამდე ლვითისმოსავი, უცესი ნების ამაყი, მაგრამ იძღვნიდე ამაყი არა, რამდენადაც გენიობი. მას ერთი წამი არ დაუკარგავს, რომ ის წამი არ ექვი ლიტერატურული „ოქროს ფონდის“ შესაქმნე-ლად ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე.

ი. არველაძე-ხეცურიანი

მარტინ არველაძე ხეცურიანი გრიგოლ რობაქიძის საზოგადოების თავმჯდომარე

### გრიგოლ რობაქიძე და საქართველო

გავიდა თერთმეტი წელი, რაც გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებას ვეცნობი. მიმოხილვით გრიგოლის უზადო რომანებმა და ესეებიკებამ დამაბრუნა ბავშვობაში, შემასწავლა სიმბოლური წარმოსახვის მარადიული განცდა. იგი თითოეულ ქართულ სიტყვაში სანთელივით იწვის და საეკლესიო წირვის საიდუმლოებით მოცულ ნაშრომებს გვიტოვებს. მისი თანამედროვე კონსტანტინე სალია წერდა: „გრიგოლ რობაქიძის სიტყვას მაგიური ძალა აქვს, იგი არის მოგვი სიტყვისა და სუვერენი სულისა“. მაგალითისთვის შეგახსენებთ გრიგოლის მიერ ნოე უორდანიას პროფილის დახატვას: „უორდანიას პროფილი ძველი ღერბია სურნელოვან პერგამენტზე. მისი სახე თეთრი მედალიონია მოხუცი ბიბლიის. მასში მოსჩანს კეთილი რასსა: ქალდეას ველებში გამოხურვებული და კავკასიონის კალთებით განელებული. ქურუმები ღმერთებს ალბათ, ძველად ასეთი სახით ელაპარაკებოდნენ... არის უორდანიას პროფილში უცნაური სირბილე არა მარტო გურიის ველების, არამედ მთელი იბერიის მიწის. უორდანია რასსიული ტიპია საქართველოსი. მე მიყვარს უორდანიას აცეცხლება: მაგრამ მის ანთებაში ტემპერამენტია სათნოებისა და არა ცეცხლია სიავის“.

გრიგოლმა როგორც თავისი თავის ჩამომყალიბებებით, შემოქმედებითი მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებას ბევრი ინტერესიანი მიმოხილველი ჰყავს და დამფასებელი საქართველოსი, დღემდე მაინც სამშობლოსგან მისი მაღალი სულისა და გონის საკადრიისი პატივისცემა არ რგებია. გრიგოლ რობაქიძის პიროვნული ლირსება ქრისტეან-დემოკრატობა იყო. თავით ტერფამდე ლვთისმოსავი, უტეხი წების ამაყი, მაგრამ იმდენად ამაყი არა, რამდენადაც გენიობი. მას ერთი წამი არ დაუკარგავს, რომ ის წამიც არ ექცია ლიტერატურული

„ოქროს ფონდის“ შესაქმნელად ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე.

გამორჩეული „თვითობა“ შექმნა და თეორიულ-შემეცნებითი მოღვაწეობის მრავალწახნაგოვანი სახე-ფორმა დაამკვიდრა. იყო: მეცნიერი, მითოლოგი, ფილოსოფოს-თეორეტიკოსი, ანალიტიკოს-დიდაქტიკოსი, პირუთვნელი კრიტიკოსი, ქართული მხატვრული მოდერნის მამამთვარი, „ძველთაძველი“ სონეტის ფუძემდებელი. წიგნი „გველის პერანგით“, მისტერიისით, დრამებით, პიესებით, პროზა-პოეზიის ურთიერთშერწყმის დიდოსტატი.

გრიგოლ რობაქიძე ერთი წუთით არ განშორებია საქართველოს მიწის საკურთხეველს. უკანასკნელ ამოსუნთქვამდე დედალვთისმშობებული და მამამზე სულზე ეხატა და მათ მამულის ძლიერებას ავედრებდა. თერჯოლის რაიონის სოფელ ძევრის ეკლესიის მღვდლის ტიტე რობაქიძის შვილმა, რვა წლის ასაქში სულზე ამოიტვიფრა გაბრიელ ეპისკოპოსის სიტყვები რუსეთის ხელმწიფის ალექსანდრე მესამეს მიმართ, როცა ის ქუთაისის „საბოროს“ ტაძარში შედიოდა: „შესდექ, რუსეთის ხელმწიფევ! ეს ქვეყანა უძვირფასესი მარგალიტია შენს გვირგვინში და, როგორც ასეთი, სხვა ყურადღებისა და სხვა ზრუნვის ღირსა, სხვა მოყირობას მოითხოვს, ვიდრე მას, რომელსაც ადგილი აქვს“.

საბჭოთა ეპოქით დათრგუნული და ცეცხლმოკიდებული გრიგოლი, ყოველი მხრიდან ამზადებდა ნიადაგს საქართველოს თავისუფლებისათვის. სწორედ გრიგოლის სიტყვებზე აღზრდილმა ზვიად გამსახურდიამ და მისმა მევობრებმა შექმნეს დღევანდელობის ნიადაგი და ვხედავთ დღეს, როგორ შეცვალა სამშობლოსთვის თავგანწირული ისტორიული გმირების ადგილი, სპორტის სახეობების მებრძოლმა გმირებმა, ცეკვისა და სიმღერის ანსამბლების



საქვეყნო დიდებამ, ქართველ მეცნიერთა, მწერალ-ხელოვანთა თავდადებულმა წარმატებებმა, ახალგაზრდების განათლებისთვის ევროპისკენ სწრაფვამ და როგორ იმკვიდრებს თავს საქართველო მსოფლიო არენაზე.

გრიგოლ რობაქიძემ ბევრად გაუსწრო დროს. ლექსში „სონეტი ლოცვის“ ვკითხულობთ: „უფალო, ოი, მშვიდო, ლალო, მალალო, წყნარო, ჩაეშვი ჩემი სულის თასში, ვით გრილი წყარო“. გრიგოლს სამართლიანად მიიჩნევდნენ ძირძველ ევროპელად. მან, არქაული დროის სიტყვების შემხსენებელმა, უანალოგო მოდერნი – სონეტი შექმნა. რაზედაც ბატონი აკაკი ხინთიძიე წერს: „ის არ იყო ორდინალური მოვლენა ჩვენს ლიტერატურაში. მისი შეფასება ღირებულებათა გადაფასებას მოითხოვს. ეს თანაბრად შეეხება მის თემატურსა და იდეურ სამყაროს, სტილსა თუ პოეტიკას“. ქალბატონი თამარ ბარბაქაძე გვაწვდის მისი არქაული დროის სიტყვების განხილვას: „იდუმალის, გამოუთქმელის შესაცნობად სჭირდება პოეტს „კალასო“ – მუხის ხე წყალში დებით რეინასვით გამაგრებული“. ეს სონეტის კატრენში მამრის სიმბოლოა. „ქარვის კალო“ კი ქალური საწყისის განსახიერებად აღიქმევა. მათი შერწყმა-შეერთება აღმოსავლური განცდაა, ევროპული მითოლოგიდან ცნობილი პანისა და ნიმფის შუადლის შეხვედრისა“.

გრიგოლ რობაქიძის მაღალმხატვრულ სიტყვას როგორც ვკითხულობთ, ასევე ვხედავთ. მე მგონია, ვსუნთქავთ კიდეც. თავადაც ასე ხსნის: „გადმოხვეწილობის განმავლობაში ცხრა წიგნი გამოვაქვეყნე. რამდენიმე მათგანს – წმინდა მგონსურს – საუკუნები კი არა, ათასწლეულებიც ვერ დასძლევენ. ეს არაა „კვეხნა“. რადგან ჩემ შემოქმედებას მე ვთვლი ნაყოფად საქართველოს გენისა, რომლის მადლი მე ვიგემე, მაგრამ საქართველოს გენიას არ იცნობს კაცობრიობა, მას არ იცნობს თვით ქართველობაც“. ეს აზრი გრიგოლმა პრაქტიკულად, იდეალურად გაშალა ნიკოლო მინიშვილისადმი მიწერილ ანალიტიკურ წერილში. უნდა ითქვას, რომ ბატონმა გრიგოლმა მისი ნაწარმოებებით საქართველოს ყოველი კუთხის გენიის ნაზავი შექმნა.

გრიგოლ რობაქიძის გერმანულ ლექსთა განსამარტებლად ბესიკ ადეიშვილი – ლექსის „ჰიმნი ორფეოსისადმი“ წერს: „უნევაში „არვე“-ს ნაპირას ეს უმაგალითო აგალობება რობაქიძისა არის პრეზენტაცია საქართველოს!... აქვეა ტოლდაუდებელი, სრულ-იდუმალი ხატი ჰომეროსისა. მართლაც რომ ტოლდაუდებელი – ჰეგზამეტრი აამეტყველა შაირად... რაც კიდევ მაღლად აჩენს იმ სინთეტიურ შინაგან მისტიურ ქრისტეანობას, რაც გრიგოლ რობაქიძის ცხედრის დაკრძალვისას თქმულა“. იგივე ბესიკ ადეიშვილი იგონებს „ვინ იცის კიდევ რამდენი რამე უჩინარი სასარგებლო საქმე გაუკეთებია გრიგოლს ქართ-



57

გრიგოლ რობაქიძე

ველი ხალხისთვის, სწორედ მას ეკუთვნის რუსთაველის ვეფხისტყაოსნის პირველი თარგმანი ევროპაში.“

გრიგოლ რობაქიძის მოღვაწეობისა და ნააზრევის სიცეცხლის ერთ-ერთი მასალა იყო ინდივიდუალურ მასათა, ჯიშის თუ რჯულის ორიგინალური გამორჩეულობა: „მხოლოდ ის არის მარადი ერთი, მრავალი სახით რაც გვევლინება“. ამბობდა და, ძლიერ პოლიტიკურ ფიგურებში იზიდავდა „ახრიმანის“ ძალა და მათი „მსოფლხატი“. რის გამოც გამოსცა პატარა წიგნაკები ლენინზე, სტალინზე, ჰიტლერზე, მუსოლინზე. ამის ნიადაგზე ჯერ საბჭოთა რეჟიმმა იძულებით განდევნა და, მეორეც გერმანიამ გამოკეტა თავის ნაშრომებთან ერთად. სასტიკმა დროებამ ვერსად გულისნადები და პირუთვნელობა ვერ გაუგო მას.

დიახ, გრიგოლ რობაქიძე პირუთვნელი და დაუნდობელი იყო თავისი თავის წინაშეც. გამნარებული პირადი ოჯახური ტრაგედიით, ჯერ ალკას დაკარგვით და პირველ მეუღლესთან გაყრით, მერე ლოგინად მიჯაჭვული ელენეს მოვლა-მზრუნველობის – შვიდწლიანი ტანჯვით ნამოსცდება: „ჩემი სიამაყით ცხოვრება გავახელეო“. გრიგოლის ადამიანური, მართალი ხასიათის დასახატავად, მის მიერ იმსებ გრიშაშვილისადმი მიწერილის გახსენებაც საკმარისია: „მე რკინის სული მაქვს და ყველაფრის გადატანა შემიძლია... მე ყოველთვის ალისფერი მოსახამი მესხა და, რაც არ უნდა მწერარება შემხვდეს, ჩემს სახეზე მზის ნაკადულების მეტს ვერავინ ვერაფერს ვერ ამოიკითხავს“.

მსურს მცირე მონახაზით წარმოგიდგინოთ,

№6 2024



გრიგოლზე ჩემი პირველი წიგნის მიმოხილვა: ევ-  
როპაში მოხვედრილი მეკუში განიზრახავს და კარ-  
გული მამის პოვნას და გადადის აზიაში. სპარსე-  
თის პიტალო კლდეების ლანდებით შებოჭილი  
და შემეცნებით ზმანებებში გადასული, მიადგება  
ჰამაძანს და ქვაზე ამეტყველებული სიტყვებით  
გაოგნებული, ყველაფერში მათი ქვეყნის ისტო-  
რიას დაეძებს. პოულობს კიდეც. მოგზაურობი-  
სას, ხშირად იღებს უბიდან მამისეულ სურათს და  
წერილს. იხსენებს მძიმე წარსულს. ეხვევა მნარე  
ფიქრებში. დიონისური აღზევებით იმუქტება  
წარმომშობი მიწის მიმართ. „აგადა თბილის-  
ით“. ერთი წამით ვერ შორდება ფიქრით საქა-  
რთველოს. ასევე ვერ მოწყვეტილა „მრავალუა-  
მიერის“ საგალობლო ხმის და ცეკვა „ლექურის“  
ცეცხლოვანებას. გზადაგზა მის სულში „სპიტი  
და ხვითო“ ერთმანეთს ცვლიან. ხშირად იგემებს  
ტრფობას ზღვარგადასულს, მაგრამ ვერ თმობს  
საირმის ძირძველი ფესვების მონატრების სიმ-  
წვავეს. ვერც იშორებს გველის პერანგად მოხ-  
ვეული ცხოვრების სიმწარეს. „გველის პერან-  
გიდან“ გავიხსენებ ერთ ეპიზოდს, თუ როგორ  
განიცდის მშობლიურ მთებთან მიახლოვებას:  
„სამტრედიდან წამოსული რიონის სადგურს  
რომ მოუახლოვდა, ფანჯარას გადაეყუდა და  
ტირილი მორთო, მატარებელს გაჩერებაც არ  
აცალა. სადგურში უეცრად გადახტა და საირმის  
მთებისკენ გაიქცა“. გრიგოლი გველის პერანგით  
გვეუბნება: ჩევნი არსობის თავი და ბოლო არის  
სამშობლოს სამი ხატება: მამაზეციერი, მამული  
და მამა.

უნდა ვთქვა უმთავრესი: „გველის პერანგმა“  
წაკითხვისთანავე ჩემში შემოიტანა ბავშვობაში  
დანახულ-განცდილის მძაფრი სურნელი. მთა-გო-  
რაკიან სოფლიდან მითოსურად ხსოვნაში ჩაბე-  
ჭდილმა აჯამეთის ტყემ, გაშლილმა კოლხეთის  
ველმა, რიონის ჭალებმა, ხვამლის უნჯრა ცქერამ,  
ქუთაისის მოლაპლაპე ჩემთვის უცხო ლამპიო-  
ნებმა, კავკასიონის დანისლულმა ჭალარამ და  
საუკუნის წინანდელმა ბებია-ბაბუას მსგავსმა  
მრავალშვილიანი თბილი ოჯახის ყოფა-არსობამ  
უსაზღვრო ბედნიერება მომგვარა. უნდა გითხ-  
რათ, რომ ამ ზღაპრული ადგილების ეპოსით  
გაჯერებულმა გველის პერანგმა და ღრმა ფილო-  
სოფიურმა აზროვნებამ არგუნა ბატონ გრიგოლ  
მსოფლიო აღიარება.

გრიგოლ რობაქიძის რომანის „ფალესტრას“  
მთავარი გმირი კავკასიელი ელენა კოლხი ამორ-  
ძალი ქალის ტიპიური განსახიერება იყო და სი-  
ამაყე კავკასიონის მთებისა, რომლის ევროპაში  
წასვლა გამოდგა იძულებითი სვლა. ელენა ბო-  
ლომდე დარჩა ევროპისთვის „ახალი მოვლენა“,  
რომლის შინაგანად იდუმალ, თავისთვისაც შეუც-  
ნობელ ელემენტს წარმოადგენდა. ფალესტრათი  
ბატონი გრიგოლი ადასტურებს, რომ ქართველი  
ქალი ძლიერი სულიერებით, ძველი იბერიის საგ-

მირო ეპოსის განუყოფელი ნაწილია.

მეორე რომანში „ჩაკლულ სული“ გრიგოლ  
რობაქიძე საბჭოთა ქართველ ადამიანს „მისტი-  
ურად დაგლევილი ღმერთის ხორცადქცეულ  
ნაწილს“ უწოდებს. საბჭოთა საქართველოს  
მწერლები და ხელოვანები, „სულჩამევდარნი“,  
ათასნაირ ხერხს მიმართავდნენ, რომ იმ დროის  
სიმწარეს გადარჩენოდნენ. გრიგოლის მსჯელო-  
ბით, თუ ამერიკასა და ევროპაში ღმერთი თა-  
ვისთვის კვდება, ჩევნთან ებრძვიან და მოკვლა  
სურთ მისი. გამეფდა ადამიანებში შიში და უნ-  
დობლობა, რაც აგაზაკურად მოქმედებდა ყოვ-  
ელსა და ყოველივეზე.

„ჩაკლული სული“ მეტად მწარე რეალო-  
ბის ფონზე დაინერა. ბევრი ელემენტია მასში  
უფრო გაბედული და შენიღბული ფორმითაც,  
რომელთაც გონიერი თვალი სცნობს. საქართ-  
ველო 1921 წლის 25 თებერვლიდან ბნელეთმა  
მოიცვა. დაითრგუნენ გრაალის თასის გმირები.  
დესპოტმა ბოლშევიკებმა ჩამოაყალიბეს კოლექ-  
ტივიზაცია. 37 წლის სისასტიკე. სოციალისტურ  
წყობას დიდხანს ვერ შეეგუა ხალხი. გრიგოლი  
ამბობს: „გენერალური მდივანი უკვე აღარ იყო  
ადამიანი. ის იყო არსება“. ამ დროს, ფარულად  
თუ პირდაპირ ორი გენიოსი სტალინი და რობ-  
აქიძე ერთმანეთს დაუბირისპირდა.

გრიგოლ რობაქიძის რომანი „მცველი  
გრალისა“ მთლიანად არის გაჯერებული მგ-  
ზნებარე პათოსით და დამოკიდებულებით ქარ-  
თული ყოფიერების წარსულ-აწმყო-მომავალზე.  
გრიგოლი ათვალიერებს ძველი თბილისის ხის  
სახლებს, გვერდით ხედავს მომცრო ეკლესიას და  
ამბობს: „სადაც ნაკვეთი მისი ლოდები გაქვავე-  
ბული ლოცვებია“. უცებ აგონდება სააკაძე.  
„სააკაძეს მარადიული საქართველო უყვარდა,  
თანამედროვე კი სძულდა“. იხსენებს დავით  
ალმაშენებლის და თამარ მეფის ხანას, თავადი  
გიორგის სასახლეს საირმის მთების მიმდებარედ,  
იქ გრალის თასის მცველთა წვეულებას და არ-  
ქაული ეპოქის პურისჭამის საკულტო დღესას-  
წაულს. გრიგოლმა გრალის თასის მცველებს,  
ანუ მწერლებს და ხელოვანებს მიანდო საქართ-  
ველოს მომავლის ბედი. თავად სამშობლოსთან  
გამოთხვებამდე თავი სამუდამოდ დაიმარხა  
დიდი მუხის ძირას, რომლის შუქ-ჩრდილები ყრ-  
მობიდან გარდაცვალებამდე თან სდევდა.

აღნიშვნის ღირსია და ქვეყნისთვის სამაგ-  
ალითო გრიგოლის დისტვილის როსტომ ლომი-  
ნაშვილის შედგენილი წიგნი „ჩემთვის სიმართლე  
ყველაფერია“. წიგნში უმეტესად განთავსებულია  
გრიგოლ რობაქიძის პირადი მიმოწერები, პუბ-  
ლიკაციები, მიმართვები: ქართველი ხალხისად-  
მი, მწერლებისადმი, ახალგაზრდებისადმი. ამ  
წიგნის მადლით მე გამოვცე 2019 წელს მეორე  
მონოგრაფიული ნაშრომი „ლმერთი, მცხეთა და  
გრიგოლ რობაქიძე“.



უნდა მოგახსენოთ ასევე, რომ 2012 წელს საოცარი თანხვედრა მოხდა: ერთდროულად გრიგოლ რობაქიძეზე ჯერ გამოიცა მაღალაზ-როვანი რუდუნებით აწყობილი ხუთტომეული, ლიტერატურის მუზეუმის მიერ. მერე წიგნი „რობაქიძე“, ბატონ ენვერ ნიუარაძის მიერ ევ-როპაში მრავალწლიანი შრომის შედეგი, რომელიც მონოგრაფიულ-ბიბლოგრაფიულ მონაცემთა სიუხვე-სიახლით მკითხველ-მკვლევართათვის ძვირფასი საჩუქარია. მესამე ნუგეშა გაგნიძის „გრიგოლ რობაქიძე“ და მეოთხე ჩემი „გრიგოლ რობაქიძე – შენირულთა გასაგებ ენაზე ამეტყველებული შემოქმედი“. ამ ოთხი წიგნის გამოშვების თანხვედრაც გრიგოლ რობაქიძის ტრიუმფალური სვლის განუყოფელი ნაწილი შეიქმნა. ამათთან ერთად უნდა ვახსენო ისევ ნუგეშა გაგნიძის მიერ 2021 წელს გამოშვებული მეორე წიგნი გრიგოლზე „ცხოვრება ორ სამყაროში“, რომელიც უმაღლეს დონეზე შესრულებული ბიბლიოგრაფიულ-მონოგრაფიული ნაშრომია.

გაივლის ათასწლეულები, ათასობით მეცნიერ-მკვლევარი აიღებს კალამს ჩვენი დიდი გენი-ოსის გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების შესასწავლად. კვლავ უამრავი ლიტერატურა შეიქმნება მის შესახებ, მაგრამ ჩემი აზრით, თითოეულ მკვლევარს, მისი მაღალმეცნიერული სიტყვის ბოლომდე წვდომის უემარობის გრძნობა შებოჭავს. რომელთა მეშვეობით გრიგოლმა მსოფლიოს დაუმტკიცა, საქართველო გენიოსების ქვეყანაა, მოსული ცივილიზაციის ეპოქიდან და უდრევად აგრძელებს სვლას უსასრულობისაკენ.

რობაქიძე თავისი მეცნიერულ-ლიტერატურული სიმდიდრით, საქართველოსა და მისი ხალხისთვის დარჩება მარად საუკუნო საჩუქარი, რომლის შესახებ კონსტანტინე გამსახურდია თავის დროზე წერდა – გრიგოლ რობაქიძემ ევროპაში დიდების გვირგვინი დაადგა საქართველოსო. ხოლო თავად ევროპამ იგი ჩასვლის დღიდან მსოფლიო ელიტარულ მამაკაცად მიიჩნია და გარდაცვალებისთანვე საქართველოდან რუსთავ-ელის შემდეგ მეორე კლასიკოსად გამოაცხადა.

წავიკითხე თუ არა როსტომ ლომინაშვილის წიგნიდან სოლომონ ჭირაქაძის სიტყვა გრიგოლზე, სადაც წერს: თავისუფალი საქართველო გრიგოლის ყოველდღიურ ლოცვა-ვედრებას, მისივე ძვლების მშობლიურ მინაზე დაგანების შესახებ შეუსრულებსო, იმ დღეებშივე ჩამოვაყალიბე წესდება და ჩემს თანამოაზრე მწერლებთან და ხელოვანებთან ერთად 2015 წლის 15 მარტიდან დავარსე გრიგოლ რობაქიძის საზოგადოება. რა თქმა უნდა, პირველი განაცხადება გრიგოლის ძვლების ჩამოტანაზე საპატრიარქოს, პრემიერ მინისტრისა და პრეზიდენტის სახელზე შევიტანეთ. ეს მოთხოვნა 2017 წლის მარტიდან საგარეო საქმეთა სამინისტროში დგევს, რომელიც

ელის გრიგოლის ზენარისადმი ყოველდღიური ვედრების აღსრულებას.

მადლობა დღევანდელობას! ჩვენი საზოგადოების ერთერთი მთავარი მიზანი თბილისში გრიგოლ რობაქიძის ბიუსტის განთავსების შესახებ შესარულა და საქართველოს გამორჩეული მოქანდაკის და გერმანიის ქალაქ ჰანოვერის საერთაშორისო ევროპული აკადემიის ნამდვილი წევრის გიორგი შევაცაბაის ევროპულ დონეზე შესრულებულმა გრიგოლ რობაქიძის ქანდაკმა ბინა დაიდო მისივე სახელობის გამზირზე.

ჩვენი საზოგადოების უხელოესი მიზნებიდან უპირველესია, უმაღლეს სასწავლებლებში და საჯარო სკოლების დამამთავრებელი კლასების პროგრამებში შეტანილ იქნას გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებიდან შერჩეული პროზა-პოეზიის ნიმუშები. მეორე გრიგოლ რობაქიძის მამისეულ მინაზე სახლმუზეუმის აღდგენის საკითხის მოგვარება, რომელზედაც შვიდი წელია ჩვენი საზოგადოება და თვით თერჯოლის მუნიციპალიტეტი იბრძვის. მესამე განახლდეს უნდა ბრძოლა გრიგოლის ძვლების ჩამოტანის საკითხზე. მეოთხე და მესუთე „ლამარას“ სცენაზე ახლებრივი დადგმა და „პოეზიის აკადემიის“ შექმნისთვის სამართლებრივი საფუძვლების მოძიება, რომელიც თავად გრიგოლს ჰქონდა ჩაფიქრებული. პარალელურად, ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში მოძიებული და შედგენილი იქნას ბატონ გრიგოლის ბიბლიოგრაფია.

გენიალური გრიგოლ რობაქიძე, რომელიც თავს აცხადებდა ღვთაებრივად უბადლო პიროვნებად, რომელშიც სამყაროს ქმნადობა იყო განსხეულებულიო, ამგვარი მოაზროვნის შემოქმედებას მაღალი დონის მკვლევარნი სჭირდება, რომელიც შეძლებდნ არა მარტო თავად გრიგოლის, ასევე იმავე გრიგოლის მიერ ნანატრი რუსთაველის შემოქმედების მეცნიერული კვლევის სათანადო დონეზე აყვანას.

#### ავტორის მინაწერი:

გრიგოლ რობაქიძე უპირველესად ღვთიური არსის სისხლხორცეული განცდის შემოქმედია, მან თავისი ნაშრომებით ჩემში შემოიტანა ღვთის მადლი, მშობლიური კუთხე-კუნძულის გენია და სურნელება. გრიგოლის ნააზრევის სათანადო შემეცნებით ქართველი ჭეშმარიტად იპოვის საკუთარ ამაღლებულ ქრისტეანულ თავს.

გრიგოლ რობაქიძის მართალი დიდი შემოქმედების გვერდით, მისი მისხალ-მისხალი და წერტილოვანი მოაზრებანი განუმეორებელ მეცნიერულ-ფილოსოფიურ სიმდიდრეს მოიცავენ.

გრიგოლის აზრით ქართველის სინდისი და ლირსება მისი გვარ-სახელია, რომელსაც თავისი ცხოვრება-მოღვაწეობით განამტკიცებს.

ତୁଳନାରୂପକାର୍ଯ୍ୟଙ୍କ ମର୍ଦ୍ଦିଲାଙ୍କର ହିସେବରେ ମର୍ଦ୍ଦିଲାଙ୍କର ଗର୍ତ୍ତ-ଗର୍ତ୍ତରେ  
ଶୈଖିତାଫୁଲିରୁଣ୍ଡି ନାନାଲାଙ୍କର. ଏହି ମନୋର୍ଧବ୍ୟକ୍ତି ଯିବେ ମର୍ଦ୍ଦିଲାଙ୍କର ହିସେବରେ  
କ୍ଷେତ୍ରକୁଣ୍ଡିର ଲୋକରୂପକାର୍ଯ୍ୟଙ୍କରିବା, ରନ୍ଧନାଙ୍କର ଜ୍ଵାରଗୁଣ୍ୟରେମ୍ବିରୁ  
ଅଧିକିନିକୀର୍ତ୍ତିର ତାଙ୍କିରୁପାରୁଣ୍ଡି ଶିଳ୍ପୀଙ୍କର ନାନାମନ୍ତର୍ଯ୍ୟରେ ବସିଥିଲୁଗୁଣ୍ୟରେ  
ମର୍ଦ୍ଦିଲାଙ୍କର/ଶୈଖିତାଫୁଲିରୁଣ୍ଡି ମର୍ଦ୍ଦିଲାଙ୍କର ଏବଂ କାର୍ଯ୍ୟକାର୍ଯ୍ୟରେ  
ଅନ୍ତରେ ତାଙ୍କରାଙ୍କିରୁଣ୍ଡି ମର୍ଦ୍ଦିଲାଙ୍କର ଉପରେ ଉପରେ ଉପରେ ଉପରେ ଉପରେ  
- ତାଙ୍କରାଙ୍କିରୁଣ୍ଡି ମର୍ଦ୍ଦିଲାଙ୍କର. ଏହି କାର୍ଯ୍ୟକାର୍ଯ୍ୟର ନିର୍ମାଣକାରୀଙ୍କର  
ଶୈଖିତାଫୁଲିରିବା, କୁମିଳିକାରୁଣ୍ଡିର ନିର୍ମାଣ କାର୍ଯ୍ୟରେ ପରିବର୍ତ୍ତନ  
ପରିବର୍ତ୍ତନ, ମୁଦ୍ରାରୁଣ୍ଡିର ପରିବର୍ତ୍ତନ କାର୍ଯ୍ୟରେ ପରିବର୍ତ୍ତନ, -ମୁଦ୍ରାରୁଣ୍ଡିର  
ପରିବର୍ତ୍ତନ.

Digitized by srujanika@gmail.com



გარიბაძე  
ანდრიავარიპა

60

תְּמִימָנָה וְתַּחֲזִיקָה בְּעֵדָה וְבְּמִזְמָרָה וְבְּמִזְמָרָה

პროლეტარული მცენარეობა და „პედიკიური ქვეყნის მითი“

## (უკრნალ „პროლეტარული მწერლობის“ მიხედვით)

პროლეტარული მწერლობა ჩვენი მწერლობის  
ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. იგი მოიცავს იმ  
მწვავე პერიოდს ჩვენი ქვეყნის ლიტერატურისა,  
რომლის ფარგლებშიც ხელოვან ადამიანებს თავ-  
ისუფალი სიტყვის წარმოთქმა ხშირ შემთხვევაში  
მაღლულად/შეფარულად უწევდათ ან საერთოდ ვერ  
ახერხებდნენ. ამის პარალელურად, განვითარდა  
საბჭოთა მეხოტბე ასოციაცია – პროლეტარუ-  
ლი მწერლობა. იგი საბჭოთა იდეოლოგიისათვის  
შესაფერისი, კომუნისტური იდეის სწორხაზოვანი  
გამოხატულება გახლდათ, ყოველგვარი გადახსრის  
გარეშე, უპრეტენზიო, „ყველასთვის“ მისაღები.  
1921 წელს, ბოლშევკიზმის დამყარების შემდეგ,  
სახეცვლილება განიცადა ყველა სფერომ. ლიტერ-  
ატურა პარტიულ სამსახურში ჩადგა და ეს ძალიან  
ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. უპირველესი ნიშანი  
გახლდათ ის, რომ მწერლებს და მწერლობას მიეცა  
კონკრეტული მიმართულება, რომლის ფარგლებ-  
შიც უნდა ეხელმძღვანელათ, „ტოტალიტარიზმის,  
როგორც ძალადობრივი მმართველობის უპირვე-  
ლესი ნიშანი იდეოლოგიური დიქტატურის შექმნა,  
კლიშეების ფორმირება და დანერგვაა“ [რატიანი,  
ელბაქიძე 2016: 9].

პროლეტარულ მწერლობაში ბევრი მწერალი იყრიდა თავს. ისინი ეპოქის მადიდებელი ავტორები იყვნენ, ყოველი სტრიქონი და ტაეპი სწორედ ამ მოცემულობითაა ნასაზრდოობი. ისინი განსაკუთრებული სისათუთით ექცევიან და მოიხსენიებენ მათ, ვისაც მარქსისა და ლენინის იდეები მოსწონდა ან იზიარებდა. კალე ფერდონის შეკვეთი მე-19 საუკუნის მთელი ქართული მწერლობის ზენიტში მხოლოდ ეგნატე ნინოშვილს აყენებდა, „თავს შემოგავლებ მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობას, დიდ ილიასაც, ერის სახელით რომ უყვარდა ღმერთთან ბაასი“ [პროლეტარული მწერლობა 1927: 20]. ამის ერთადერთი მიზეზი კი გახლდათ ის, რომ „საქართველოში შენ იყავი

პირველი კაცი მარქსის იდეაბს რომ აცნობდი და-  
ჩაგრულ მასას. ...ჩემი ეგნატე, შენ თუ იყავი და-  
ჩაგრულთა მესაიდუმლე, მე გამარჯვების გზაზე  
შეძლგარ პროლეტართა ვარ მესაიდუმლე“ [იქვე,  
1927: 21].

პროლეტარული მწერლობა გამოირჩევა შეურიგებლობით მათ მიმართ, ვინც რაიმე სახ- ეცვლილება განიცადა. მათ უმაღვე გამოააშკარ- ავებდნენ. ბენიტო ბუაჩიძე ამხელს თითოეულს და ამგვარი „დაცემულობის“ ორგვარ მიზეზს გამოყოფს: პირველი მიზეზი, თავის დამკაიდრე- ბაა „ნების“ არსებობის კვალდაკვალ გაჩენილ ახალ ბურუუაზიულ წყობაში. ისინი ცდილობენ რევოლუციამდელ პერიოდთან ჰქონდეთ რაიმე კავშირი. მათი ფუნქცია, ბ. ბუაჩიძის მიხედვით, საკუთარი პირადი უქმაყოფილების გამოხატვაა. მას მოჰყავს ბევრი მაგალითი „მოძე ერიდან“ და გამოყოფს ესენინს, რომელიც მხოლოდ ძველი დროის ამბებზეა გადართული და მის შემოქმედე- ბას „წარსულის განწყობილებათა რესტავრაციას“ (იქვე: 38) უწოდებს. ქართველ მიმბაცველებსაც არ ივრწყებს და ტიციან ტაბიძის ლექსიდან „სერგეი ესენინ“ მოჰყავს ციტატები. იგი ამჩნევს, რომ ხე- ლოვნებაში შემალულადაც კი იგრძნობა მტრული დამოკიდებულება. ასეთ ადამიანებს კი რეალობის გარდაქმნასა და დამახინჯებაში ადანაშაულებს. მეორე მიზეზი კი გახლავთ, მერყევი ადამიანები, რომლებიც რევოლუციის გვერდით იდგნენ, მაგრამ მათი დამოკიდებულება ფასადური აღმოჩნდა. ამის მიზეზიც იკითხება ბენიტო ბუაჩიძის დასკვ- ნაში „ორგანიულათ გამოუტანჯელ“ [იქვე: 42] ადა- მიანებს მეტისმეტი რომანტიზმება უყვართ. ისინი ყველაფრის სწრაფ ცვლილებას მოელიან, მაგრამ ასე არ ხდება. სწორედ აქ მოიხსენიებს გალაკ- ტონ ტაბიძეს, რომელსაც არ ეყო მოთმინება და პესიმისტურ განწყობილებებზე გადაერთო. (ბუა- ჩიძე 1927: 37-43). არც ერთი ნაბიჯი, რომელშიც

კი შეიძლება იკითხებოდეს არსებული დროებით უკმაყოფილება, მიჩქმალული ვერ იქნება. ალბათ ნათელი წარმოსადგენია, ასეთი ადამიანების ცხოვრება, რომლებიც „დაცემულებად“ ჩამოყალიბდა. ბ. ბუაჩიძის თეორიები და კრიტიკა გამოირჩევა ზენოლითაც. იგი კონკრეტული მაგალითების მოტანით „ამხელს“ თითოეულ მტერალს და მათი „ვითომ“ ფასეულობებით გაოგნებულიც რჩება, „ეს წინამურების და მთაწმინდის პატარა ჩრჩილები წოინოსავით რომ ჩხავიან, ამჟღავნებენ გულის სიშავეს, ქმედით უუნარობას და დაუსრულებელ სიპატარავეს“ [პროლეტარული მწერლობა N3: 47]. მთავარი, რასაც მიანიშნებს, არის ის, რომ წარსულის მისტიკიზმი არაფერს მისცემს ქართულ ლიტერატურას, არამედ მან უნდა შეძლოს ანგულისთან შერიგება. თუმცა თავად ბუაჩიძეს „გამორჩა“ ერთი ფაქტი, თუ რატომ საუბრობენ ამდენს წარსულზე. ამის საფუძველი ერთია – ცდილობენ დაანახონ საზოგადოებას, თუ სად ვდგავართ, რა შეიცვალა და რა შეიძლებოდა ყოფილიყო. ავტორის მოსაზრებით, მხოლოდ გაბატონებული კლასის ადამიანებს შეუძლიათ შექმნან რაიმე ღირებული, რადგან ამისთვის მათ ყველა რესურსი აქვთ (იქვე: 49-50). „ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურა არსებობდა და ეს ძირითადი საზოგადოებრივი ფაქტორი განსაზღვრავდა ამ პერიოდის ქართული კულტურის განვითარების გზას“ [ჭილაძა 1986: 8].

ალსანიშნავია, ის იდეოლოგია, რომელიც ვრცელდებოდა უურნალ-გაზეთების საშუალებით. ყველაზე, რა თქმა უნდა, პროლეტარული საზოგადოების განსაკუთრებულობა იყო წარმოჩენილი. ნიშანდობლივია, თუ როგორ საშიშროებას ქმნიდა აღნიშნული საზოგადოებისთვის ყველა გარეშე ძალა, რომელიც მარქსისტული იდეებით არ იყო ნასაზრდოები. ლეო ესაკია, თავის წერილში „პროლეტარიატმა უნდა“ პირდაპირ აღნიშნავს, „ყველაზე უფრო დაუმუშავებელ, შიშველ ფრონტს... წარმოადგენს ხელოვნება, კერძოთ კი, მხატვრული ლიტერატურა“ [ესაკია 1927: 56]. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა პოლიტიკური მექანიზმი მაქსიმალურად აკონტროლებდა ყველა საზოგადოებრივ-სოციალურ სფეროს, მაინც დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა იმისთვის, რომ ლიტერატურა არ გასულიყო მისი კონტროლის სფეროდან. საბჭოთა ხელისუფლებამ ცენზურის მარწუხებში მოაქცია ლიტერატურული საზოგადოება და მცდელობა არ მოაკლო, რომ თავის ორბიტაზე გადმოეყვანა, თუმცა, როგორც ლეო ესაკია აღნიშნავს, მხატვრული ლიტერატურის კონტროლი უდიდეს რესურსს მოითხოვდა. რასაკვირველია, პარტიულობის პრინციპი მოიცავდა ყველაფერს – ლიტერატურას, მეცნიერებასა და ხელოვნებას. პარტიის რუპორი იყო პროლეტმწერლობა და ბუნებრივია, ყველა მის გზაზე უნდა დამდგარიყო. მაგრამ არ გამოუვიდათ და ამიტო-

მაც დაინტერესიები.

იმ მდგომარეობის ალსანიშნავად, რომელშიც მხატვრული ლიტერატურა აღმოჩნდა საბჭოთა ზეობის ხანაში, კარგად გამოხატავს ისეთი ტერმინები, რომლებიც დამკვიდრდა სამეცნიერო მომქცევაში – „დაცემულობა“, „გადახრები“, „რევუა“ [იქვე]. თავად პროლეტარი მწერლებიც კი ვერ გაექცნენ ამგვარ „ხარვეზებს“, „გადახრებიდან“ „უცოდველობამდე“ ძალიან სათუთ ხიდს გადიოდნენ. პლატონ ქიქოძის მითითებით, „გადახრები“ ლიტერატურაში იწყება მაშინ, როცა „ჩვენი მწერლები წარმოიდგენენ „საქართველოს“ როგორც ზეპლასიურ ცნებას, როცა დაინტერესებ ძველ ფეოდალურ, ერეკლესა და სააკადემის საქართველოს იდეალიზაციას“ [ქიქოძე 1927: 96]. პროლეტარი მწერალი ლალი, ლია უნდა იყოს და ბედნიერი. თუმცა მწუხარებას არავინ უკრძალავს, როგორც ქიქოძე აღნიშნავს, ლენინის გარდაცვალებას როგორ შეიძლება არ დაემზუხრებინა მწერლები, თუმცა პესიმიზმამდე მისვლა ეს მწერლობისა და მწერლების ფუნქცია არ არის. „პროლეტარული მწერლისთვის არ შეიძლება არ არსებობდეს პიროვნება, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ, როგორც პარმონიული ნაწილი კოლექტივისა“ [იქვე: 96]. აქვე შეიძლება ითქვას, მწუხარება – ბედნიერების პარმონიული თანაარსებობა პროლეტარული ლიტერატურის ერთგვარ სიმბოლოდაც კი შეიძლება ჩაითვალოს. მრავალფეროვნება, აზროვნების მრავალგვარობა ამ ლიტერატურისთვის არ არის ტრადიციული, „განსხვავება უნდა არსებობდეს, რა თქმა უნდა, არა აზროვნებაში, არამედ თემებში და ფორმაში“ [ქიქოძე 1927: 106]. საბჭოთა ლიტერატურისთვის ნიშანდობლივი, „უპირველესი მისწრაფება უნდა ყოფილიყო კომუნიზმის იდეების ძლევამოსილების, ყველა სხვა წყობილებასთან შედარებით საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების უპირატესობის ჩვენება“ [გაფრინდაშვილი 2010: 33].

ბოლშევიკური რეჟიმის დამკვიდრების შემდეგ, მათი დანაპირები და ხალხის მოლოდინები ნელ-ნელა შორდებოდა ერთმანეთს. ამ პროცესის ერთ-ერთი ძლიერი ხელისშემსრულებლი ფაქტორი სწორედ პროლეტარული მწერლობა იყო, რომელიც მხოლოდ გამორჩეულ, აღმშენებლობით აქტიურ ქალაქს და ქალაქზე მეტად სოფლის განსაკუთრებულ ადგილს წარმოაჩენდა. მკვლევრებს, იმდა რატიონა და მაკა ელბაქიძეს, ნიშნეულად აქვთ რამდენიმე ეტაპი წარმოჩენილი, პირველი – 1921-1924 წლებია, როცა ილუზიების ქვეშაა საზოგადოების დიდი ნაწილი და მეორე, 1924-1929 წლები, რომელიც გამოირჩევა ანტისაბჭოთა აჯანყებების სიხშირთ, შესაბამისად იმატებს რეპერესიები (ელბაქიძე, რატიანი 2016: 13). სწორედ ასეთი სიტუაციების ფონზე, პროლეტარული მწერლობა დიდ როლს ასრულებდა და მთელი რიგი საკითხების დადებით რაკურსში



ნარმოჩენით იყო დაკავებული. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კი გახლდათ „ბედნიერი ქალაქის“, „ბედნიერი ქვეყნის“ არსებობა.

„ბედნიერ ქვეყანაში“ ერთი დევიზით ვითარდება ყოველივე – „პროლეტარული საზოგადოებრიობა უკარნახებს თავის მწერალს როგორც შემოქმედებით პათოსს, ისე ფორმას“, „ადამიანის ბუნება განმსჭვალული უნდა იყვეს პროლეტარული ქალაქის, საბჭოთა ცხოვრების სიყვარულით“ [იქვე: 106]. ნათლად გამოჩნდა, თუ როგორ დღის წესრიგს სთავაზობდა საბჭოთა ხელისუფლება თავის მეხოტბეთა გუნდს. პარტიული წესდებიდან უშუალოდ მიეთითა ყველას, რისი გამოხატვის უფლებაც ჰქონდათ. რა უნდა ხდებოდეს მწერლობაში, როგორი უნდა იყოს საბჭოთა მოქალაქე – ისეთი, რომელიც ბედნიერებას ასხივებს საბჭოთა ქალაქსა თუ სოფელში ცხოვრებით. დაკვეთა იყო ასეთი და შესრულებასაც მოითხოვდა. ფაქტობრივად გამოდის, რომ კარგ საბჭოთა მოქალაქედ მაშინ ყალბიდებოდა ადამიანი, თუ მას გაცნობიერებული ჰქონდა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები და ცხოვრების სტილით იყო პროლეტარი, საბჭოთა ხელისუფლების მიზანიც ხომ სწორედ ეს იყო?! იდეოლოგიურ მანქანას უნდა ჩაეყლაპა ყველა, რათა ბოლომდე მისულიყო იდეა – უდიდესი სოციალისტური სამყაროს შექმნისა. სხვა მხარეს მდგომი მწერლები და მათი პროზა თუ პოეზია უპრალოდ „დამაბნელებელია“ [იქვე: 113].

ყოველთვის ვერ აკმაყოფილებდა პროლეტარი მწერალი იმ მოთხოვნებს, რომელთაც უყენებდა საბჭოთა ხელისუფლება, თუმცა ეს ფაქტი შეუმჩნეველი არ და ვერ რჩებოდა სისტემისთვის. სწორად რეაგირების მექანიზმი ეგრევე იროვებოდა და იწყებოდა „იდეური დაქანების ლიკვიდაციის პროცესი“ [ლუარსამიძე 1927: 145]. ავტორის თქმით, პოეზია არ დაექვემდებარა „ნების“ იდეებს რუსეთში. მისი აზრით, ვერ შექმნის ვერაფერს ლირებულს, თუ მან არ გაითვალისწინა კომუნისტური პარტიის „ნესდება“. ავტორი ევროპული ლიტერატურის უმთავრეს ძეგლებსაც შეეხო და საბჭოთა პათოსით ჰამლეტისა და დონ კიხოტის ლიტერატურული პიროვნები შეადარა „ნამდვილ“ საბჭოთა მოქალაქეს. ავტორი თვლის, რომ ზნებორივად არც ჰამლეტი და არც დონ კიხოტ ლამანჩელი არ დგას საბჭოთა მოქალაქეზე მაღლა. დარწმუნებით ვიტყვი, რომ არ ვიცოდე კონკრეტული სტატიის არსებობა, ავტორის სიტყვები მოგვეჩენებოდა რიმელიმე საბჭოთა ყრილობაზე ნარმოთქმულ იდეურ მოწოდებად – „ბოლშევიზმი, საღ განწყობილებათა მონოლიტი, ეს უნდა იცოდეს პროლეტპოეტმაც“ [ლუარსამიძე 1927: 147].

საკუთარი კლასის მსახურება კოლექტიური იდენტიფიკაციის ერთ-ერთი სახასიათო მოცემულობაა, რომელიც ბავშვობიდანვე, ადრეული ასაკიდანვე ყალიბდებოდა. ბელა წიფურია თვ-

ლის, რომ იდეოლოგის ინდოქტრინაციაც პატარა ასაკიდანვე იწყებოდა, თუმცა მათ აუცილებლად ეძლევათ იმის შესაძლებლობა, რომ თავად აირჩიონ ჭეშმარიტი ლირებულებები (წიფურია 2016: 82). ცალკე საკითხია რამდენად უტოვებდა რეჟიმი ადამიანს ამის საშუალებას, ვინაიდან ის ყოველმხრივ შეზღუდული იყო და თუ ამას არ დაემორჩილებოდა, სასჯელიც არ დაყოვნებდა. პროლეტარი მწერლის გზა იმთავითვე განსაზღვრული გახლდათ, „ეროვნება, ისტორია, ტრადიცია, აზროვნება, მისწრაფება მხოლოდ დეტალებია მასშტაბური წითელი საბჭოთა მარკირის ფონზე“ [რატიანი 2018: 135]. ამის ფონზე „ბედნიერი ქალაქის“ ნარმოჩენა სასიცოცხლო მნიშვნელობის მოვლენა გახლდათ, ვინაიდან რეჟიმს სჭირდებოდა ისეთი რაღაც გაეკეთებინა, რაც ხალხის თვალში სწრაფ ნარმატებასა და დიდებას მოუტანდა. მიუხედავად იმისა, რომ იური ბორევის აზრით, საბჭოთა ადამიანი იძულებით იყო ჩართული რეჟიმის საკეთილდღეოდ (ნიკოს ბერევ 2008: 58-59), ცალსახად ვერ დავეთანხმებით ამ მოსაზრებას, რადგან ხალხს და მათ შორის პროლეტარ მწერლებს, სჯეროდათ (ნაწილს მაინც) ბოლშევიზმის სიკეთეების და იმედოვნებდნენ, ეს რეჟიმი შეცვლიდა უთანასწორობას. თუმცა დროთა განმავლობაში, მკვეთრად გამოჩნდა, რომ ერთი უთანასწორობა მეორე უთანასწორობითა და ძალადობით ჩანაცვლდა. იძულებით ჩართვას ვხედავთ, როცა პირდაპირი დაკვეთები იწყებოდა მაშინ, როცა პროლეტარი მწერალი მათვის არახელსაყრელ გეზს აიღებდა. ამ „არასწორ გეზს“, როგორც ვიცით, ისედაც ბევრი შეენირა. პროლეტარული მწერლობისთვის, ჩვენი დაკვირვებით, უდიდეს მიზანს ნარმოადგენს ბედნიერი ქვეყნის/ქალაქის ნარმოჩენა. საზოგადოებაზე ძალიან ბევრს მუშაობენ, თუ რაკუთხით უნდა მიაწოდონ კონკრეტული საკითხის მნიშვნელობა. ეპოქის ადამიანი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ყველაფერი, რაც მის გარშემოხდება, მხოლოდ და მხოლოდ უკეთესობისთვისაა. მუშათა კლასის ადამიანი იპრძვის იმისთვის, რომ ქალაქი გაპრწყინებული იყოს. მისი ხვალინდელი დღე სწორედ ამ იდეას უკავშირდება, „პროლეტარული პოეტის ქალაქი, ეს უპირველეს ყოვლისა მომავლის პერსპექტივაა – კოლექტივის ნებით განპირობებული“ [ბუაჩიძე 1927: 75]. მისი აღმშენებლობისა და დაწინაურების კერა ქალაქია. ქალაქი აძლევს მას ყველაფერს, რაც კი შეიძლება ცხოვრებაში სურდეს. ქალაქი აყვავებულობისა და ბედნიერების კერაა, სადაც ყველა ხალისით ცხოვრობს/უნდა ცხოვრობდეს. რეჟიმის გადაწყვეტილება ასეთია და, ცხადია, პროლეტარული მწერლობაც მის კვალდაკვალ მოძრაობას იწყებს.

„რა უყოთ, ძველი კლდე თუ ინგრევა,  
რკინის ხელები თუ სწვდება ყველგან  
ამ ახალ გზებით შემოიჭრება  
თქვენში მომავლის და მზის ქვეყანა...“





[ბუჟაჩიძე 1927: 168-169].

კარლო კალაძის ეს ლექსი ნათლად სახავს მომავლის ქალაქის იდეას. ძველის ცვლილების აუცილებლობას და იმ იმედს, რომლითაც უნდა ცხოვრობდეს საბჭოთა მოქალაქე.

პროლეტარი მწერლისთვის მთავარი ფუნქცია სოფლის გაქალაქების აუცილებლობაცაა, რომ ის მის მოძრავ რიტმში ჩაერთოს. ქალაქია მუშათა კლასის დასაქმებისა და ბედნიერების წალკოტი, სწორედ ამიტომაც განსაკუთრებულად უყვართ და სოფლის დაახლოვებასაც ცდილობენ, რათა ერთიან ჭრილში შექმნან რეჟიმის მოსაწონი წყობა. ალიო მაშაშვილის გაბაასება ნიკოლოზ ბარათაშვილთან „მე და ბარათაშვილი“, თვალსაჩინო ნიმუშია იმისა, თუ როგორ საქართველოს ნარმოიდგენენ პროლეტარი მწერლები და რა არის მათთვის მიუღებელი:

„აქ ვერ იხარებს შენი სუმბული…“

შენ ვერ გაიგე შრომის სახელი,

დღეს საქართველო ცეცხლის გულია“ .

„საქართველოში მოკვდა წარსული,

ტფილისი მზიან დროშებს უცინის“ (იქვე: 174).

ქალაქის განსაკუთრებული ადგილი თითოეული პოეტისა თუ მწერლის შემოქმედებაში იგრძნობა. ალსანიშნავია, რომ ქალაქი ასოცირდება აღმშენებლობასთან და ყოველივე დადებით ძრასთან. სოფლები უნდა ბაძავდნენ ქალაქებს, რადგან მუშათა კლასისა და ეპოქის მოთხოვნილებები ერთიანად სწორედ მათში ნარმოჩინდება. ფრიდონ ნაროუშვილი ლექსს „ქალაქი ოფუცხოვოში“ ნარმოაჩენს სოფლის წინსვლას, მისი მუშაობის სიჩქარეს და ადამიანთა ამ ფერხულში ჩაბმას. თავად სათაურიც, რომ სოფელში ქალაქია, მიგვანიშნებს, თუ საითქენ აქვს პროლეტარ მწერალს გეზი აღებული:

„მოკვდა დღის და მზის რამით გათიშვა –  
სადგურის, ვანერ ხელს ადგილკომი.“

გაინავარდებს ეკრანზე ასე

ჩვენი ქალაქი ოფუცხოვოში“

[ნაროუშვილი 1927: 19].

და ამ მთლიანი „აღმშენებლობის“ კვალადაკვალ პროლეტარი მწერლები იდეურად მაინც დარწმუნებულები იყვნენ, რომ ქვეყანა, ქალაქი მხოლოდ წინ და წინ მიდიოდა:

„ჩემი ეგნატე: შენ თუ იყავი დაჩაგრულთა  
მესაიდუმლე.“

მე გამარჯვების გზაზე შემდგარ პროლეტართა

ვარ მესაიდუმლე“

[ფეოდოსიშვილი 1927(N1): 21].

„ბედნიერი ქალაქი“ რომელსაც პროლეტარი მწერლები აღწერენ, მუდმივად მუშა, მუდმივად ცვლილებისკენაა ორიენტირებული და მასში რაღაც ყოველთვის ახალი ხდება. შექებულია მისი თითოეული რიტმი და მუშების შემართება. მუშის მშვიდი, განონასწორებული, გადაღლილი, თუმც

კი წინსვლაზე ორიენტირებული სახეა გამოხატული ელიზბარ პოლუმორდვინოვის მოთხოვნაში „ორი მზე“. მოთხოვნას გაცნობისას მკითხველებს იმთავითვე გაგვიჩნდება განცდა, რომ ყველა დეტალი საათის ისრებივითაა აწყობილი და ერთიც რომ გამოაკლდეს, დაირღვევა სიმშვიდე. საერთო ფერხულში დადებითი ნოტაა, ამუშავებული, ამოძრავებული ქალაქი შუალამიდან იწყებს სიცოცხლისუნარიანობას. როგორც ავტორი, ისე პერსონაულებიც დარწმუნებულები არიან, რომ მშენებლობით ისინი იმ დრად საქმეს ასრულებენ, რასაც რეჟიმის იდეები გადმოგვცემს. ამიტომაც ავტორი თავის მოთხოვნას ამ სიტყვებით ასრულებს, „დაიცა მზეო, ტფილისი ავჭალაში მზეს იშენებს“ [პოლუმორდვინოვი 1927: 26]. დაკვირვებით უკვე ვხვდებით, რომელ „ორ მზეზეა“ საუბარი. აქედან მეორე დაზუსტებით ის ქალაქია, რომლის მშენებლობაც ესოდენ გამორჩეული მოვლენა იყო. რადგან მუშათა კლასი ამით მხოლოდ და მხოლოდ ბედნიერებას განიცდიდა. მათი მეთაური ჯავარიც სახეა იმისა, თუ როგორი დამოკიდებულება და შემართება უნდა ჰქონდეთ იმ საქმისადმი, რასაც ბედნიერი ცხოვრებისთვის ასრულებენ. სიმონ წვერავას მოთხოვნა „მგლების“ პერსონაჟი ბაგრატიც ასევეა, ფეხს უწყობს და, „ახალი ეპოქის მაჯის ცემას გულის ძეგრით მიყვება“ [წვერავა 1927: 30]. ბაგრატს, რომელიც საავადმყოფოშია და ძლივს გადარჩა, ერთი გამორჩეული სადარდებელი აქვს. იგი იმაზე წუხს, რომ მუშაობას ჩამორჩა და შეიძლება შეაფერხა კიდევაც, თუმცა მან ზუსტად იცის, „ერთი კაცის ხელი მასაში არაფერია, მთავრია კოლექტივი“ [იქვე: 31]. პროლეტარი მწერალი მარტო ამასაც არ სჯერდება და კონტრასტით ნარმოაჩენს, თუ როგორი ყოფა იყო ადრე, ბაგრატის მამის – ბათლომეს სიტყვით გამოსვლა სწორედ ამ ფაქტს ემსახურება. იგი ძველი დროის წარმომადგენელია და იცის, საკუთარ თავზე განუცდია, რა მძიმე ყოფა იყო, თუმცა მაინც სოფელს ამჯობინებს. საკუთარი შვილითა და მისი გადაწყვეტილებით ამაყობს, იცის, რომ ქალაქი უნდა ააშენოს, „ასე ითხოვს დღევანდელი დღე“ [იქვე: 32]. საკუთარ თავსაც ასე აფასებს, „ჭურში ვყოფილვარ. ესეც კარგია ამეხილა თვალები“ [იქვე]. იგი, შეიძლება აღვინიშნოთ, არ და ვერ გამოდგება ახლანდელი ყოფის „აღმშენებლად“, მაგრამ საკუთარი შვილის გადაწყვეტილებაში ბოლომდეა დარწმუნებული. ბაგრატის გამოჯანმრთელებისა და მოლონიერების კვალდაკვალ, მწერალი ქალაქის მუშაობის რიტმს ნარმოაჩენს. იგრძნობა ამაღლებული განწყობა და სულისკვეთება. ამას საზეიმოდ თან ერთვის ბაგრატის კომკავშირის მეშვიდე ყრილობაზე წასვლა. თითქოს ქალაქიც ეხმიანება მის ამდაგვარ დაფასებას. თუმცა მთავარი დაფასება იქ ელოდება, სადაც, „სიხარულია და გამლილია გული ახალი ცხოვრების“ [იქვე: 33].





ნიკო ასლამაზაშვილის მოთხრობაში „ჩვენები მოდიან“ – სათაურიდანვე ჩანს მწერლის მოტივები. მთელი მოთხრობა აგებულია იმ მთავარ ამბავზე, რომელიც გამოიწვია წითლების მოსვლამ. მოთხრობაში კონკრეტული ოჯახური ტრაგედია განზოგადებულია და წარმოგვიდგენს ისეთი ქვეყნის მდგომარეობას, რომელშიც უსამართლობა სუფევდა. ხოლო წითლების გამოჩენა, მმართველ წრეებში დამკვიდრება – ხსნასთან, იმედთან და სიხარულთანაა დაკავშირებული. მიხაკოსა და ვანოს დიალოგი სანიმუშოა იმ თვალსაზრისით, თუ როგორი ზარ-ზეიმითა და უმრავი იმედით შეჰყურებდა საზოგადოება წითლების შემოსვლას:

„ნუ გეშინიან, ჩვენები მოდიან.  
– ვინ ჩვენები? გაიკირვა მიხომ.

წითლები... მიხოს ცრემლები გადმოსცვივდა. ის ახლა მხოლოდ წითლების მოსვლას ელოდა, სხვა ყველაფერი დაავიწყდა“ [ასლამაზაშვილი 1927: 16-17].

წითლები მხსნელად ევლინებიან მიხოს, მას ციხიდან გამოუშვებენ და თავისი დასთან ნანატრი მომენტით ასრულებს მწერალი თხრობას. მიზანი მიღწეულია, ცალსახად წარმოჩნდა, თუ როგორი შვება იყო მუშათა კლასისთვის მათი შემოსვლა.

დითირამბებს უძლენის პროლეტარი ავტორი, სანდრო ეული ახალ ერას, ახალ ეპოქას:  
„ჩრდილოეთიდან ოქტომბერი დიდხანს გვიმზერდა და თორმეტ თვეში არჩევანი ერგო თებერვალს... და ხელი მისცა თბილისიდან მოსკოვს,  
ლენინგრადს“

[ეული 1927: 18].

ავტორი დარწმუნებულია, რომ ასეთი ცვლილება საქართველოს მხოლოდ დიდებასა და თავისუფლებას უქადის, „საქართველოში დღე დგებოდა და გამოდარების“ [იქვე: 18]. აქვე, ალსანიშნავია პარალელი კოლაუნადი სამართლის „25 თებერვალთან“ – რატომ აფასებდა ერთსა და იმავე მოვლენას სხვადასხვაგვარად ორი თანამედროვე პოეტი?..

„წითელი დროშით, მოლერილ ყელით,  
თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით  
შემოძიოდა სიკვდილი ცელით!“.

საბჭოთა პერიოდის უურნალ-გაზეთები, როგორც ვნახეთ, მხარს უბამს კომუნისტურ რეჟიმს, მას რაცხენ ადამიანთა გადამრჩენელად. ძევლი დროება კი ზედმეტი ტვირთია: „წარსულის ხავსი ვინ უნდა მოსპოს, აზიის მზეში სისხლი ქართველის!“ [კალაძე 1926: 8]. ნიშანდობლივია, რომ განხილულ ტექსტებში არსად გვხვდება ეროვნული მომენტი, როგორც ქვეყნის წინსვლის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ელემენტი, პირიქით ქვეყნის წინსვლა მხოლოდ „საბჭოების მზეს“ შეუძლია. უაღრესად ყურადსალებია ეს ფაქტი, ვინაიდან პროლეტარულმა მწერლობამ, რაც მთელ ქართულ მწერლობას გასდევდა, ერთი ხელის მოსმით გააქრო ეროვნულობა. ჰავიოგ-

რაფიიდან მოყოლებული ერთ-ერთი უმთავრესი თემა სწორედ ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული ღირებულებები იყო. თუმცა პროლეტარულმა მწერლობამ იმ ნანილს შეუტია, რომელიც ყველაზე სახიფათო იყო მისთვის. „ბედნიერი“ ქვეყნის ფენომენი ყოველგვარი ეროვნული მოტივისგან დაცლილად წარმოადგინა, რომელსაც რელიგიური ნაწილიც გამოაცალა. ამის მიზანად შეიძლება დაგასახელოთ ის, რომ ქართველ ხალხს არ დაუტოვა არც ერთი ხელჩასაჭიდი სამუალება, სადაც თავის შეფარებას შეძლებდა. ეროვნულობისგან დაცლილ „ფენომენს“ აკაკი ბაქრაძე „ორლობის მწერლობას“ [ბაქრაძე 1190: 31-42] უწოდებს. მწერლობა მხოლოდ საბჭოთა სამსახურსა და მსახურებაში ჩადგა.

„ბედნიერი“ ქვეყნის წარმოჩენის პარალელურად, არსებობდა მეორე ფლანგი, რომელთა ლიტერატურა დანუნებული, გამოუსადეგარი გახლდათ. ისინი ვერ აქმაყოფილებდნენ მათ „მოთხოვნებს“. საბჭოთა სისტემა, მთელი იდეოლოგიური ბრძოლების განმავლობაში, რომელიც მათივე აზრით, მიმართული იყო დიადი საბჭოთა სოციალისტური იმპერიის შექმნისკენ, ებრძოდა ყველა განსხვავებულად მოაზროვნეს. პროლეტარმა მწერლებმა თავიანთ მესიანისტურ იდეად გაიხადეს თანადროულად მცხოვრები ქართველი მწერლების ასპარეზიდან გაქრობა და ე.ნ. „საბჭოთა კრიტიკით“ ცდილობდნენ მათი შრომების ლიტერატურული მნიშვნელობის გაუფასურებას. პროლეტარული მწერლობის ქვეშ შექმნილი პროზაული თუ პოეტური ნაწარმოებები პოლიტიკური დაკვეთის ნაწილია. ჩვენ მიერ მაგალითებად განხილული ნაწარმოებები მოწმობს, თუ რაოდნენ დიდი ყურადღება ექცევიდა „ბედნიერი ქვეყნის“ წარმოჩენას. „ბედნიერი“ ქვეყანა, რომელიც დაცლილი ყოველგვარი ეროვნულობისგან, აქ მთავარი საერთო ფონი, საერთო ცხოვრებაა, რომელშიც პიროვნულობა, ინდივიდუალურობა მოველებულია. პროლეტარი ავტორის მთავარი სამიზნე საბჭოთა სისტემის „სიკეთების“ გამოვლენა და მისი გაცნობაა. მიუხედავად ამგვარი დამოკიდებულებისა, ცალსახად არ უნდა შეფასდეს პროლეტარ მწერალთა შემოქმედების რაკურსი, რადგან ვთვლით, რომ მათი მოღვაწეობა კონკრეტული ისტორიული პერიოდის, პოლიტიკური წყობის, საზოგადოებრივი მზაობისა და მოლოდინების შერწყმითა მიღებული. აღსანიშნავია, რომ პროლეტარ მწერალთა ნაწილი გარკვეული პერიოდის შემდეგ რეჟიმის სამიზნეც გახდა. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ მათ მთელი გულით სწამდათ და სჯეროდათ ბოლშევიზმის ყოვლისმომცველობა, თუმცა შედეგების ფონზე, მათი მოლოდინები არ გამართლდა. საზოგადოდ კი, ამ „ბედნიერ“ ქვეყანაში არაფერი ხდებოდა ისეთი, რომელიც დიადი ქვეყნის პრესტიუს შებღალავდა.





21 ნოემბერს თელავის მუნიციპალიტეტის ნარჩინებულ სკოლის მოსწავლეთა დაჯილდოების ღონისძიება გაიმართა.

მოსწავლეებს, რომლებმაც სკოლის საბაზო საფეხური ნარმატებით, ყველა საგანში უმაღლესი შეჯასხებით დაასრულეს, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ ღებულობები, თელავის მუნიციპალიტეტის მერიამ კი უსადენო ყურსასმენები და სიმბოლური საჩუქრები გადასცეს.

საბაზო საფეხურის ნარმატებით დასრულება სკოლის მოსწავლეებს თელავის მუნიციპალიტეტის მერთან, ლევან ანდრიაშვილთან ერთად, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი ალადაშვილმა, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ თენგიზ მთავარელიშვილმა და თელავის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა მარი რომანიშვილმა მიულოცეს.

